პალიტრა მედია

ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
16 ოქტომბერი ოთხშაბათი 2013
№244(14 160) ფასი 80 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შერმას 10x10

სარაგოსამ ევროთასი მოგებით გახსნა

13



# რა არის ფეხბურთი?

**ბურთი, სტადიონი, ჩავიმ გადასცა ინიესტას, ინიესტამ თავისი შესანიშნავი ფინტებით მოატყუა ერთი, მოატყუა მეორე, მოატყუა მესამე, გადასცა ნეგრედოს...**



## დარტყმა, არის!





2





# ყოფნა-არყოფნა...

## ჯერ 18 გაზეთის დაბეჭდვამდე

### საგზურები გაინაღდეს

| | | |
|---|---|---|
| ბრაზილია | იტალია | გერმანია |
| იაპონია | კოსტა რიკა | კოლუმბია |
| ავსტრალია | აშშ | ბოსნია |
| ირანი | არგენტინა | ინგლისი |
| ს. კორეა | ბელგია | ესპანეთი |
| ჰოლანდია | შვეიცარია | რუსეთი |

### პლეი ოფში ითამაშებენ

| განთესილები | გაუთესავები |
|---|---|
| ხორვატია | საფრანგეთი |
| პორტუგალია | უკრაინა |
| საბერძნეთი | რუმინეთი |
| შვედეთი | ისლანდია |

პლეი ოფის წილისყრა გაიმართება 21 ოქტომბერს

მუნდიალი 2014. შესარჩევი ეტაპი

15.10. ალბასეტე. კარლოს ბელმონტე. 17 300 მაყურებელი

| | |
|---|---|
| ესპანეთი | 2 |
| საქართველო | 0 |

1:0 ნეგრედო (26), 2:0 მატა (61)

| ესპანეთი 4-3-3 | საქართველო 4-4-1-1 |
|---|---|
| კასილიასი | ლორია |
| როდრიგო | ლობჟანიძე |
| რამოსი | ხიდეშელი |
| პიკე | კაშია |
| ხუანფრანი | კვირკველია |
| ჩავი | ხუბუტია |
| ბუსკეტსი | შ. გრიგალაშვილი |
| ინიესტა | ძარია |
| ნავასი | ა. კობახიძე |
| პედრო | ე. გრიგალაშვილი |
| ნეგრედო | გელაშვილი |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| ვ. დელ ბოსკე | თ. ქეცბაია |

**ესპანეთი**

58. პედრო - **მატა**
66. ჩავი - **კოკე**
82. ინიესტა - **ისკო**

სათადარიგო: რეინა (მ), ვალდესი (მ), არბელოა, ფაბრეგასი, ი. მარტინესი, მიჩუ, მონრეალი, სილვა, სუარესი.

**საქართველო**

70. შ. გრიგალაშვილი - **ებრალიძე**
77. ე. გრიგალაშვილი - **ხმალაძე**
88. გელაშვილი - **მოდებაძე**

სათადარიგო: რევიშვილი (მ), კვასხვაძე (მ), კვახაძე, დვალიშვილი, ცხადაძე, თომაშვილი, ფოფხაძე, ლვინიანიძე.

გაფრთხილება: ხუბუტია (55)

არბიტრი: ფ. მაიერი (გერმანია)

**სტატისტიკა**

| | | |
|---|---|---|
| 19 | კარში დარტყმა | 3 |
| 6 | ზუსტი დარტყმა | 2 |
| 15 | კუთხური | 1 |
| 10 | ჯარიმა | 4 |
| 1 | თამაშგარე | 0 |
| 0 | გაფრთხილება | 1 |
| 63% | ბურთის ფლობა | 37% |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ესპანეთი | 8 | 6 | 2 | 0 | 14-3 | 20 |
| 2. საფრანგეთი | 8 | 5 | 2 | 1 | 15-6 | 17 |
| 3. ფინეთი | 8 | 2 | 3 | 3 | 5-9 | 9 |
| 4. საქართველო | 8 | 1 | 2 | 5 | 3-10 | 5 |
| 5. ბელარუსი | 8 | 1 | 1 | 6 | 7-16 | 4 |

...გუშინ აზერბაიჯანმა ათი კაცით გაუთანაბრა რუსეთს, სომხეთი კი იტალიას ორჯერ უგებდა. ჩვენს მეზობლებს უკვე სხვა ამოცანები აქვთ, ვიდრე საქართველოს ამ ნაკრებს....

# დაპატენტებული სტრატეგია



სანდრო კობახიძეს (№10) გატანა შეეძლო

ჩვენებს ეტყობოდათ მონდომება. სათამაშო დისციპლინა დარღვეული იყო თემურ ქეცბაიას განწვრთნილ გუნდში, ამასაც ვერ ვიტყვით. უბრალოდ, საქართველოს ამ ნაკრებმა არ იცის სხვანაირად თამაში. მეტოქის შეტევების ჩაშლა, გრძელი გადაცემები, კონტრშეტევაში ორი-სამი ფეხბურთელით წასვლა - ეს გუნდი ამას წლებია,ჯჯლუმშფ აკეთებს და ცდილობს, დაგვაჯეროს, რომ პერსპექტივა აქვს...

შეხვედრის პირველი წუთები ნერვული იყო. **გიორგი ლორიას** ორჯერ კი გაუვარდა ბურთი, თუმცა მაინც აგულიანებდა დაცვას და პირველი წუთების შემდეგ რამდენჯერმე ითამაშა კარგად.

ჩვენი ნაკრების დაცვა თითქოს სწორად თამაშობდა, სივრცეს მაქსიმალურად უზღუდავდა ისეთ მეტოქეს, ბურთის გაგორებაში ბადალი ძნელად რომ მოეძებნება.

ესპანეთს თამაში ფრთხილად არ დაუწყია, მაღალი ტემპი შესთავაზა ქეცბაიას გუნდს, რაც იმავდროულად ნიშნავდა იმას, რომ გახსნილი თამაშით ცდილობდა მატჩის მოგებას. რა თქმა უნდა, საქართველო ამაში ვერ და არ აჰყვებოდა **ვისენტე დელ ბოსკეს** გუნდს.

იყო პოზიტივებიც: საქართველოს ნაკრებმა პირველ ტაიმში სამჯერ დაარტყა კარში, აქედან ორჯერ - შორიდან, ერთხელ კი ფეხმალი **ნიკა გელაშვილი** დაუსხლტა ესპანელებს, მარჯვნიდან შეიჭრა საჯარიმოში და **იკერ კასილიასს** შეაწყვეტა ბურთი, დამატებაზე კი **სანდრო კობახიძემ** ვერ იყოჩაღა.

**ხესუს ნავასი და პედრო როდრიგესი** ფლანგებიდან გვარიანად ურთულებდნენ საქმეს საქართველოს დაცვას, თუმცა პირველ წუთებში ესპანეთმა ასეთნაირადაც ვერ გატეხა ქეცბაიას დაცვა...



ნეგრედოს მაკრატელა

ჭადრაკში არის სტრატეგიები, დაცვის ნაირსახეობებით რომ მოიხსენიებენ. „ქეცბაიას დაცვა" - ესეც უკვე კარგად ჩამოყალიბებული, საკუთარი ხელწერით ბეჭედდასმული, დაპატენტებული სტრატეგიაა, რომლითაც, უმეტეს შემთხვევაში, შესაძლებელია, არ წააგო თამაში დიდი ანგარიშით, ზოგჯერ კი ფრეს გამორჩე ძლიერ მეტოქესთან და ხანდახან მოიგო კიდეც...

გუშინ ამ სტრატეგიამ ერთხელაც გაამართლა და ეს ირონია არ გეგონოთ. ასეთია ჩვენი ნაკრების სახე - ბურთის უმისამართოდ მოგერიება; გრძელი, უმისამართო გადაცემები და იშვიათი აფეთქებები, რომელსაც, შესაძლოა, გოლიც მოჰყვეს...

**ანდრეს ინიესტა** კი პატარა გენიოსია. გუშინ თავისი საუკეთესო მატჩი არ უთამაშია, მაგრამ ესპანელების პირველი გოლი, ფაქტობრივად, მან შექმნა - პედროს უზადო გადაცემას ისეთი საგოლე პასი მიაყოლა, **ალვარო ნეგრედოს** ბურთის შეგდება ალარ გასჭირვებია.

ნეგრედო ძალიან მოწადინებული იყო, ლამის ნემსის ყუნწში ძვრებოდა გოლის გასატანად, მოხდენილი „მაკრატელაც" შეასრულა და ლორიამაც ჩინებული რეაქციით ჩაუშალა ჩუბინობა.

პირველი ტაიმი „მშრალად" მაინც ვერ ჩავამთავრეთ და არწაგების შანსი იოტზე მეტად დაპატარავდა. შესვენების შემდეგ ესპანელებმა ჩვენს საჯარიმოსთან რამდენჯერმე შტურმისმაგვარი მოაწყვეს, თუმცა გოლთაცვენას მაინც ვერ გამორჩნენ...

ესპანურმა შემოტევებმა ერთხელ მაინც მოარღვია ჩვენი დაცვა - **გიორგი ხიდეშელის** მიერ უხეიროდ მოგერიებულ ბურთს **ხუან მატამ** ლორიას კარში მოუძებნა ადგილი.

ესპანეთის კარისკენ სტანდარტული სიტუაცია ბევრი არ იყო, თორემ ჩანდა, ქეცბაია როგორ მოუწოდებდა ფეხბურთელებს მეტოქის საჯარიმოში ჩასვლისკენ...

საბოლოოდ, ალბასეტემ ადვილად მოგვინელა...

საქართველოს ნაკრებისგან დაღლილი და მოშლილი იქნები, თუ მასზე გული შეგტკივა. ჩვენმა გუნდმა ეს ციკლიც ცუდად ჩაამთავრა და ახლა უკვე ანალიზის დრო დგება - რა გვინდოდა, რა მივილეთ, უნდა შევცვალოთ რამე თუ ისევ ქეცბაიას ვენდოთ?..

**ჰაინრიხ ბიოლი** ამბობდა - ხალხს არავინ უფუჭებს გუნებას ისე, როგორც საბრალო კლოუნიო.

გუშინ ჩვენი ეროვნული ნაკრების ამოცანაც ეგ იყო - არ დამსგავსებოდა საბრალო კლოუნს და, ვფიქრობ, ეს მიზანი შეასრულა - დიდი ანგარიშით არ დააჯაბნინა თავი ესპანეთს.

სულ ეს არის ჩვენი ნაკრები და ამას შეგუებულები ვართ...

ვიტ ჯორჯია

# კლუბი და ფეხბურთელები შეთანხმდნენ

ფინანსური პრობლემების გამო, „ვიტ ჯორჯიას" ფეხბურთელები სამი დღე სავარჯიშოდ არ გადიოდნენ, თუმცა გუშინ ყველაფერი მშვიდობით დასრულდა - გუნდმა სრული შემადგენლობით ივარჯიშა და ეროვნული ჩემპიონატის მომდევნო ტურში, 20 ოქტომბერს, ოპტიმალური შემადგენლობით ესტუმრება „ზესტაფონს".

ეს იმას არ ნიშნავს, რომ „ვიტ ჯორჯიაში" ყველანაირი პრობლემა გადაიჭრა, თუმცა გუნდი დაუბრკოლებლად აგრძელებს ვარჯიშს და ჩემპიონატში გამოსვლას - ესეც ფაქტია. ფეხბურთელების გაფიცვა არც ერთ მხარეს არ აძლევდა ხელს, ამით კლუბიც დაზარალდებოდა და გუნდიც. ხოლო ის, თუ როდის დაიბრუნებს „ვიტ ჯორჯია" საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთი მოწინავე გუნდის სტატუსს, ეს პერსპექტივა მომავალი სეზონისთვისაა გადადებული.

მოსალოდნელი ცვლილება

# დევდარიანი და დილა: ყველაფერი დღეს უნდა გაირკვეს


გიორგი დევდარიანი

„ლელო" ადრეც წერდა, რომ შესაძლო იყო, **გიორგი დევდარიანისა** და გორის „დილას" თანამშრომლობას წერტილი დასმოდა. როგორც შევიტყვეთ, დევდარიანი და კლუბის ხელმძღვანელობა დღეს შეხვდებიან ერთმანეთს და ამ წერტილსაც დასვამენ.

დევდარიანმა „დილა" წინა სეზონის დასრულების შემდეგ ჩაიბარა და მოკლე დროში ჩამოაყალიბა ისეთი გუნდი, რომელმაც ევროპალიგის ორი შესარჩევი ეტაპი გაირა, პლეოფში კი ვენის „რაპიდთან" დამარცხდა. გორელებმა წლევანდელ ევროსარბიელზე აზრიანი თამაშით დაგვამახსოვრეს თავი. როგორც იტყვიან ხოლმე, გუნდს მწვრთნელის ხელი ეტყობოდა...

ევროტურნირებიდან გავარდნის შემდეგ, „დილა" ორმა წამყვანმა ფეხბურთელმა - **ლაშა გვალიამ** და **გიორგი ილურიძემ** დატოვა. ეროვნულ ჩემპიონატშიც გუნდი არასტაბილურად თამაშობს და ამ დროისთვის მე-7 ადგილზეა.

დატოვებს თუ არა დევდარიანი „დილას", ეს უფრო მწვრთნელის გადასაწყვეტია - ასეთია ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაცია, დანარჩენი კი დღეს გამოჩნდება...

გვერდი მოამზადა
**დავით თავართქილაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალგაზრდული ნაკრები

**გიორგი ჭანტურიას** ჰოლანდიური ერედივიზიონის მე-3 ტურის შემდეგ არ უთამაშია. არნემის „ვიტესმა" შინ „ტვენტე" 1:0 რომ დაამარცხა და გიორგი 18-კაციან განაცხადშიც ვერ მოხვდა, მაშინ გაირკვა, რომ კიდევ 7 მატჩს ვერ ჩაატარებდა - ფიფამ რუსეთში მიღებული დისკვალიფიკაცია აუმოქმედა...

საბედნიეროდ, დისკვალიფიკაცია საერთაშორისო შეხვედრებს არ შეეხო და „ვიტესის" ქართველმა ლეგიონერმა საქართველოს ახალგაზრდულ გუნდში ჰოლანდიისა და შოტლანდიის წინააღმდეგ ითამაშა. 21-წლამდელთა თავკაცი ალექსანდრე ჩივაძე ჭანტურიას ენდო და გუნდის კაპიტნადაც დანიშნა.

საინტერესო და საყურადღებოა ერთი ეპიზოდი: ემოციური და ფეთქებადი ჭანტურია აშკარად შეცვლილი ჩანს, რაზეც შოტლანდიასთან შეხვედრის მეორე ტაიმში მომხდარი ფაქტი მეტყველებდა: როცა სტუმარ-მასპინძელს პატარა კონფლიქტი მოუვიდა, გიორგი მათ შორის გამშველებლად ჩადგა...

ჭანტურიას შოტლანდიასთან მოგებული მატჩის შემდეგ ვესაუბრეთ:

# გიორგი ჭანტურია: ეტყობა, ეროვნულ ნაკრებში თამაშს ჯერ არ ვიმსახურებ

**- ბოლო სანაკრებო შეხვედრებს როგორ შეაფასებდით?**

- ჰოლანდიასთან თამაშზე რა უნდა ვთქვა?! შესაძლოა, ჩვენზე უკეთესი გუნდი იყო, მაგრამ ასეთ ნაგებას არ ვიმსახურებდით. ძალიან უხეში შეცდომები დავუშვით და მიმაჩნია, რომ სამარცხვინო ანგარიშით მხოლოდ ამის გამო წავაგეთ. მაგრამ ამ შედეგისთვის მაყურებელს ბოდიში მოვუხადეთ მეც და ბიჭებმაც.

**- შოტლანდიასთან ხასიათი გამოგვიკეთეთ...**

- იმიტომ, რომ ჰოლანდიასთან წაგებას ძალიან განვიცდიდით და მოსაგებად ყველაფერი გავაკეთეთ. მგონია, რომ გულშემატკივრის წინაშე გარკვეულწილად რეაბილიტაცია მაინც მოვახერხეთ. მცირე ეპიზოდებს თუ არ ჩავთვლით, 90 წუთის განმავლობაში ჩვენი უპირატესობა აშკარა იყო.

**- მაგრამ პირადად თქვენ პენალტი ვერ გამოიყენეთ. ზედმეტად თავდაჯერებული ხომ არ იყავით 11-მეტრიანის შესრულებისას?**

- მეკარემ არ უნდა შენიშნოს, რომ საკუთარი თავის არ გჯერა. მაგრამ პირველი დარტყმა გავიტანე და ვერ გავიგე, მსაჯმა რატომ არ ჩათვალა. ეტყობა, რომელიღაც შოტლანდიელი ადრე შევარდა საჯარიმოში და ამის გამო გამამეორებინა დარტყმა... მთავარი მაინც ისაა, რომ მოვიგეთ.

**- დისკვალიფიკაცია როდის გიმთავრდებათ?**

- უკვე დამთავრდა და როცა ჰოლანდიაში ჩავალ, ვითამაშებ კიდეც.

**- მართალია, თითქოს ჰოლანდიელები თქვენს დასჯას არ აპირებდნენ?**

- ასე უნდა ყოფილიყო, მაგრამ რუსებმა მოითხოვეს - კოკორინმა თამაშები გამოტოვა და ჭანტურიაც დასაჯეთო.

**- ამ პერიოდში ფორმას როგორ ინარჩუნებდით?**

- უთამაშებლად ეს ძნელია, მაგრამ გუნდთან ერთად ვვარჯიშობდი. ჯანმრთელი ფეხბურთელისთვის ძალზე რთულია ასეთ სიტუაციასთან შეგუება. პატარა ტრავმა კი მაწუხებდა, მაგრამ არაფერია, უკვე მოვირჩინე.

**- რუსეთის პრემიერლიგაში თამაშმა რამე შეგძინათ?**

- ისეთ კარგ მწვრთნელთან ვთამაშობდი, შეუძლებელი იყო, ბევრი არ მესწავლა და იქ გატარებულ პერიოდში მიღებული გამოცდილება მომავალშიც გამომადგება.

**- 2008 წლის აგვისტოს ომამდე დიდი ხნით ადრე, ვალერი გაზაევს ქართველი მოთამაშეების აყვანა არ სურდა. ახლა დამოკიდებულება შეცვალა, მაგრამ პირად ურთიერთობაში როგორ განწყობას ავლენდა?**

- დამიჯერეთ, ძალიან კარგი ურთიერთობა გვქონდა. გაზაევი კარგი მწვრთნელიც არის და პიროვნებაც. საერთოდ, გუნდშიც არანაირ აგრესიას არ ვგრძნობდი. პირიქით, აშკარა პატივისცემასა და სითბოს ავლენდნენ.

**- ცენტრფორვარდი არ ხართ, მაგრამ „ვიტესიდან" ბონის წასვლამ შემადგენლობაში ადგილი გამოათავისუფლა და ძირითადში დამკვიდრების მეტი შანსი გაქვთ...**

- ჩემთვისაც არ აქვს მნიშვნელობა, ფლანგზე დამაყენებენ თუ ცენტრალურ თავდამსხმელად. თამაში დიდი სიამოვნებაა და მთავარია, გუნდის ინტერესი გაითვალისწინონ.

**- კლუბშიც და ნაკრებშიც თამაშის საკუთარ თავზე ალება გიყვართ. ამას მწვრთნელებიც გავალებენ?**

- გააჩნია სიტუაციას და თამაშს. არის კონკრეტული ვითარება, როცა მწვრთნელი არ და ვერც გეტყვის, რომ თამაში საკუთარ თავზე აიღო, მაგრამ თავად უნდა მიხვდე, რომ ინიციატივის ალება აუცილებელია. ზოგჯერ მწვრთნელი ამას მავალებს კიდეც.

**- ასეთი რამ არასოდეს მომხდარა - სამ ქართველს ჰოლანდიის ერედივიზიონის გუნდის ძირითადში ერთად მოხვედრის შანსი გაქვთ - თქვენ, კაშიას და ყაზაიშვილს...**

- ეს ჩვენთვის ძალიან კარგია, რადგან „ვიტესის" მიზანი ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრაა - ჩვენი სურვილიც და მიზანიც სწორედ ამ დონის ტურნირში მონაწილეობაა.

**- რამდენად რეალურია, რომ „ვიტესმა" წლეულს ჩემპიონობისთვის იბრძოლოს?**

- ალბათ, ამას ახლა ვერ შევძლებთ, რადგან პსვ და „აიაქსი" ყველა კონკურენტს აშკარად სჯობიან. მაგრამ მაღალი ადგილისთვის აუცილებლად ვიბრძოლებთ.

**- ჰოლანდიაში რომ ქართველი თამაშობს, შეუძლებელია, ეროვნულ ნაკრებში მოხვედრის პრეტენზია არ ჰქონდეს...**

- ეტყობა, ჯერ საამისოდ მზად არ ვარ. მაგრამ იმედია, ნაკრების მწვრთნელთა ყურადღებას მალე დავიმსახურებ.

**მერაბ მამულაშვილი**



გიორგი ჭანტურია (№10)

პორტრეტი

# ჩივაძის ფეხბურთელი

**ფეხბურთელს ბოლომდე რომ ენდობი, ეს წმინდა საქმეა - მოთამაშე მწვრთნელის ნდობას რომ გრძნობს, ტვირთი ეხსნება და თამაში უადვილდება. თუ როგორი მწვრთნელია ალექსანდრე ჩივაძე, ამაზე კამათი შეიძლება, ოლონდაც, ვერავინ უარყოფს, რომ ჩივაძემ კარგად იცის ფეხბურთელის ფასი - ისეთი ფეხბურთელი უყვარს, ვინც მართლა ფეხბურთს თამაშობს, „პიტბულის" ფორმაციის მოთამაშე მის გემოვნებაში არ ჯდება...**

ჟურნალისტობასთან ერთად, სხვადასხვა კლუბში მომიწია სელექციონერობამ და საქართველოს ქვედა ლიგების მატჩებს ხშირად ვესწრებოდი. **გიორგი ქვილითაიას** თამაში პირველად მაშინ ვნახე, „სასკოს" ფეხბურთელი რომ იყო. მას რამდენიმე პოზიციაზე შეეძლო თამაში და ყურადღებას ამითიც იქცევდა.

*„როცა „სასკოში" ვიყავი, მითამაშია შეტევის მარცხენა ფლანგზეც და შუა ხაზშიც, თავდამსხმელის უკან, როცა გუნდს დასჭირდებოდა, პოზიციის შეცვლა მიწევდა"*, - ამბობს ქვილითაია, ვინც უკვე ჩამოყალიბებული, ნომინალური ცენტრფორვარდია.

წინა სეზონში ქვილითაიამ გოლების გატანას ისე მოუხშირა, უმაღლესი ლიგის წამყვანი გუნდების ყურადღება დაიმსახურა. იმავე სეზონში, პირველი ლიგის შეხვედრაში, „სასკო" დილმის ბაზაზე ესტუმრა „დინამო 2"-ს და 4:2 დაამარცხა. დინამოელებს სამი გოლი სწორედ ქვილითაიამ გაუტანა, იმ თამაშის მერე, მისი, როგორც ფეხბურთელის, ფასი გაიზარდა.

*„იყო დაინტერესება „დინამოდან", „ზესტაფონიდან", გორის „დილადან", რუსთავის „მეტალურგიდან", ქუთაისის „ტორპედოდან"... მაგრამ უნგრეთში, „დიორი ეტოში" წავედი, ევროპულ კლუბი ვარჩიე, კონტრაქტი ექვსი თვე პლუს ხუთი წლის სისტემით გავაფორმე. ექვსი თვის მერე კონტრაქტში რაღაც-რაღაცები უნდა შეცვლილიყო, თუმცა ასე არ მოხდა და უნგრეთიდან წამოვედი"*, - გვითხრა ქვილითაიამ.

ზაფხულში, საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს ავსტრიაში ჰქონდა შეხვედრა და ჩივაძემაც პირველად მაშინ გამოიძახა ქვილითაია. 21-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელი ამ თავდამსხმელით კმაყოფილი დარჩა - თავისი გემოვნების ფეხბურთელი დაინახა.

„დიორიდან" წამოსვლის შემდეგ ქვილითაიას უქმობამ მოუწია, რამდენიმე ხანი უგუნდოდ იყო.

*„უნგრეთიდან რომ ჩამოვედი, ტრავმა მქონდა და ვერც ერთ გუნდში ვერ მივედი, მერე გორის „დილაში" მიმიწვიეს ლევან სილაგაძემ და გიორგი დევდარიანმა, ვინც ჯერ კიდევ 19-წლამდელთა ნაკრებიდან მიცნობდა"*, - ამბობს ქვილითაია.

გიორგიმ საფეხბურთო გზა „ნორჩი დინამოელიდან" დაიწყო. მაშინ ამ გუნდს **თენგიზ კაცია** წვრთნიდა, შემდეგ გუნდმა სახელი შეიცვალა და ასე შეიქმნა „სასკო", რომელსაც ისევ კაცია ჩაუდგა სათავეში. *„ჩემს მწვრთნელებს, კაციას და შალვა კვარაცხელიას, მადლობას ვუხდი ყველაფრისთვის"*, - ესეც გვითხრა ქვილითაიამ.

ჩვენმა ახალგაზრდულმა ნაკრებმა 10 ოქტომბერს ჰოლანდიასთან 0:6 რომ წააგო, მომდევნო შეხვედრა ოთხი დღის შემდეგ ჰქონდა შოტლანდიასთან. ჰოლანდიასთან ჩივაძემ ცენტრფორვარდად **დავით სხირტლაძე** ათამაშა, შოტლანდიასთან კი გარისკა და სხირტლაძის ნაცვლად ქვილითაიას ენდო.

*„რისკის ფაქტორი მართლაც არსებობდა. შოტლანდიასთან თამაშის წინ ჩივაძე დამელაპარაკა. ვუთხარი, რომ მზად ვიყავი სათამაშოდ, ჯანს არ ვუჩივი-მეთქი. მწვრთნელიც მენდო და მისი მადლობელი ვარ"*.

შოტლანდიასთან მატჩის შემდეგ, პრესკონფერენციაზე, ჩივაძემ თქვა - ქვილითაია მეტს იმსახურებსო. ამ თავდამსხმელს „დილაში", ჯერჯერობით, მეტწილად შეცვლებზე უწევს თამაში და ჩივაძე ალბათ ამას გულისხმობდა.

*„ორი თვე გამიცდა, შესაბამისად, ვერ გავიარე წინასასეზონო მოსამზადებელი შეკრება. 25 დღეა, რაც თამაში დავიწყე"*, - განმარტავს ქვილითაია.

გიორგის ისიც ვკითხეთ, თუ რა კონკრეტული დავალება მისცა მწვრთნელმა შოტლანდიასთან მატჩისთვის:

*„ბურთი უნდა შემენარჩუნებინა, ნახევარმცველებსა და მცველებს უნდა დავხმარებოდი წინ ამოსვლაში"*.

ქვილითაია შოტლანდიასთან გატანილ ორივე საგოლე კომბინაციაში მონაწილეობდა.

*„ვარჯიშებზე ვამუშავებდით მსგავს კომბინაციებს. იმას როდი ვამბობ, რომ ზუსტად ასეთი კომბინაციები გვქონდა დაგეგმილი, თუმცა ჰოლანდიასთან მატჩის შემდეგ ჩივაძე შორეულ დარტყმებზე მიგვითითებდა და შოტლანდიასაც ორივე გოლი შორიდან გავუტანეთ"*.



გიორგი ქვილითაი (№11)

ქვილითაია რბილი მანერით მოთამაშე თავდამსხმელია და თავით თამაშიც კარგად ეხერხება.

*„ვფიქრობ, თავით თამაში ნორმალურად გამომდის, თუმცა მირჩევნია, ბურთი მივილო და მერე გადავაწოდო თავისუფალ ზონაში თანაგუნდელს, ვიდრე მხოლოდ იმაზე ვიფიქრო, რომ როგორმე მოვიგო პირველი ბურთი და მცველების ზურგს უკან გავგზავნო. უფრო ბურთის შენარჩუნებაზე ვზრუნავ"*.

ბოლოს ქვილითაიამ ისიც გვითხრა - 20 წლის ვარ, რაღაც-რაღაცები ჯერ კიდევ მოსამატებელი მაქვს და იმედია, ასეც მოხდებაო.

**დავით თავართქილაძე**

ლეგიონერი

# საბა კვირკველია: წაგებაზე ლაპარაკი ზედმეტი იყო



საბა კვირკველია (№3)

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ცენტრალური მცველი **საბა კვირკველია** ყაზანის „რუბინში" ადგილის დამკვიდრებას ცდილობს. წლეულს, რუსეთის პრემიერლიგაში ჩატარებულ 12 ტურში 21 წლის ქართველმა მცველმა გუნდის ფორმა 3-ჯერ მოირგო, მაგრამ წინ მთელი სეზონია და სჯერა, რომ მოედანზე უფრო ხშირად გამოჩნდება.

*„ჩვეულებრივად ვარ გუნდში, ძირითადის შემადგენლობასთან ერთად ვვარჯიშობ, რამდენიმე შეხვედრა ჩავატარე და მჯერა, მალე უფრო მეტი სათამაშო პრაქტიკა მექნება. ისიც მაიმედებს, რომ პრემიერლიგის 18-კაციან განაცხადშიც მუდმივად ვარ, ევროპალიგის განაცხადშიც შემიყვანეს, რაც იმას ნიშნავს, რომ მწვრთნელი მენდობა"*, - ამბობს კვირკველია.

„რუბინის" მცველი ახალგაზრდული ნაკრების განვლილ შეხვედრებზეც გველაპარაკა: *„ჰოლანდიასა და სლოვაკეთთან წაგებების შემდეგ, ჯგუფში წარმატებული გამოსვლისთვის და იმისთვის, რომ შემდეგ თამაშებს აზრი ჰქონოდა, შოტლანდიასთან გამარჯვება ჰაერივით გვესაჭიროებოდა. ამიტომ განსაკუთრებული მონდომებით გავედით მოედანზე - წაგებაზე ლაპარაკი ზედმეტი იყო. რა თქმა უნდა, შოტლანდიასთან თამაშითაც კმაყოფილი ვარ და შედეგითაც. ბიჭებმა მოსაგებად ყველაფერი გავაკეთეთ და ვფიქრობ, ჯგუფიდან გასვლის შანსი გვაქვს. წინ უმძიმესი მატჩებია, თუნდაც იმავე შოტლანდიასთან - გასვლაზე. მაგრამ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ მომდევნო თამაშები ჩვენთვის სასარგებლოდ დავასრულოთ და ხალხს ჰოლანდიასთან წაგება კარგი თამაშით დავავიწყოთ. ჩვენი გუნდის შესაძლებლობებში დარწმუნებული ვარ"*.

**მერაბ მამულაშვილი**

მწვრთნელი

# დარასელია: აზერბაიჯანი თუ ისევ ისრაელი?

**გიორგი დარასელია** სამწვრთნელო კარიერას ისრაელში ან აზერბაიჯანში გააგრძელებს. ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, გორის „დილას" ყოფილ მწვრთნელსა და საქართველოს ნაკრების ექსნახევარმცველს საინტერესო წინადადებები აქვს. მას აზერბაიჯანში იწვევენ, სადაც მის პასუხს სამი კლუბი ელის. მაგრამ ის ამჟამად ისრაელშია და იქაც განიხილავს წინადადებას კლუბისგან, რომელიც უმაღლესი ლიგიდან გავარდა, მაგრამ მიზნად დაბრუნება აქვს განზრახული. ლაპარაკია რამათ განის „ჰაპოელზე", რომელიც 5 ტურის შემდეგ ლეუმით ლიგის გათამაშებაში ჯერ მხოლოდ მე-11 ადგილზეა. კომენტარისთვის დარასელიას გუშინ ისრაელში დავუკავშირდით:

*„დიახ, რამათ განის „ჰაპოელში" მიწვევდნენ. ეს გუნდი ისრაელის თასის მფლობელია და ახლახან ევროპალიგაზეც ითამაშა. თავიდან თანახმა ვიყავი, თუმცა მოსაფიქრებლად მაინც დრო მოვითხოვე. პირობებს რომ გადავხედე, უმაღლეს ლიგაში დასაბრუნებლად საკმარისი არ იყო და უარი ვუთხარი. ასევე უარი ვთქვი უმაღლეს ლიგის „რამათ ჰაშარონზეც" - ბოლო ადგილზე იყო, უამბიციო გუნდში მუშაობას კი აზრი არ ჰქონდა. მირჩევნია, დაველოდო, რადგან წინადადებები არის, თუნდაც აზერბაიჯანიდან. უკეთესი ვარიანტი აუცილებლად გამოჩნდება. შესაძლოა, მომავალ კვირაში რომელიმე გუნდი მაინც ჩავიბარო"*, - გვითხრა დარასელიამ.

შეგახსენებთ, რომ დარასელია ბოლოს ხაბაროვსკის „სკა ენერგიაში" მუშაობდა. სწორედ მისი ხელმძღვანელობით მიაღწია კლუბმა თავისი არსებობის ისტორიაში საუკეთესო შედეგს - პირველ ლიგაში წარმატებული თამაშით პლეი ოფში


გიორგი დარასელია

მონაწილეობის უფლება მოიპოვა, სადაც „როსტოვთან" ორივე მატჩი წააგო (0:2, 0:1).

დარასელიას ხაბაროვსკში დარჩენასა და კონტრაქტის გაუმჯობესებას სთავაზობდნენ, მაგრამ არ ისურვა - რთულ კლიმატურ პირობებთან შეგუება გაუჭირდა.

მაშინ ამბობდა, რომ წინადადებები რუსეთშიც ჰქონდა და ისრაელშიც, მაგრამ აქაც ერთ პრობლემას აწყდებოდა - კლუბის უამბიციობა.

დასანანი კი არის, რომ ასეთი საინტერესო სპეციალისტი საქართველოში ვერ დასაქმდა. გორის „დილაში" მან საკუთარი თავი კარგად წარმოაჩინა და ამბობდა კიდეც - ვითარება რომ არ არეულიყო, სიამოვნებით დავრჩებოდიო, მაგრამ... სტაბილური გარემო და მსგავსი ფუფუნება საქართველოში სადა არის?..

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერი


გიორგი ალავერდაშვილი

# ალავერდაშვილი ამხანაგურ თრილერში

**გიორგი ალავერდაშვილი** სექტემბერში რუმინეთის ლიგა A-ს (უმაღლესი ლიგა) „გაზ მეტანში" ჩაირიცხა. **აკაკი ხუბუტიას** ყოფილ კლუბთან მან 3-წლიანი კონტრაქტი გააფორმა და გახარებული იყო - ცხადია, ლიტვასთან შედარებით, რუმინეთის ჩემპიონატი ბევრად მაღალი დონისაა და თავის გამოჩენისა და წინსვლის მეტ შანსს იძლევა. 25 წლის თავდამსხმელის მიზანი კი ის არის, რაც შეიძლება ძლიერ ევროპულ ლიგაში მოხვდეს. საგულისხმოა, რომ ამის გამო, ალავერდაშვილი არც ხელფასს ხარბდება და არც სინჯებზე წასვლა ეთაკილება.

შეგახსენებთ, რომ 25 წლის თავდამსხმელმა მოკლე ხანში სამი ლიტვური კლუბის („ბანგა", „კრუოია", „შიაულიაი") ფორმა მოირგო, ჩემპიონატის 29 მატჩში 20 გოლი მიითვალა, ოთხიც - თასზე.

25 სექტემბერს ალავერდაშვილმა „გაზ მეტანში" სადებიუტო შეხვედრა ჩაატარა. რუმინეთის თასის 1/16 ფინალში მისი გუნდი გასვლაზე ბოლდეშტის „პერტოლისტულს" შეხვდა და 4:0 გაანადგურა. გიორგი მოედანზე 58-ე წუთზე გამოჩნდა.

ახლა კი ალავერდაშვილმა ახალი გუნდის ფორმა ჩემპიონთა ლიგის ყოფილ მონაწილე „კლუჟთან" საკონტროლო შეხვედრაში მოირგო:

*„ამხანაგური შეხვედრა კი იყო, მაგრამ ჩემთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ახლა ყველა მატჩში თუ ვარჯიშზე მაკვირდებიან და თავის გამოჩენა მსურს. თამაში 3:3 დამთავრდა. მოედანზე თავიდანვე ვიყავი, საგოლე გადაცემა გავაკეთე და ვთვლი, რომ შეტევების გამწვავებითაც გამოვიჩინე თავი. თუ გახსოვთ, „კლუჟმა" „მანჩესტერს" „ოლდ ტრაფორდზე" მოუგო, ახლა ცოტა კი დასუსტდა, მაგრამ მაინც ძლიერი გუნდია და ასეთ მეტოქესთან კარგი თამაშით თავდაჯერებული ხდები. ახლა, 30 ოქტომბერს, თასის მერვედფინალში, „ასტრას" ვხვდებით. ნელ-ნელა გუნდსაც ვეგუები და ვგრძნობ, უკეთესად ვარ. მთავარია აქ კარგად ვითამაშო და მერე იქნებ რომელიმე, უფრო უკეთეს ლიგაში წავიდე. ისე, რუმინეთის ჩემპიონატში იმდენად კარგი დონეა, აქ პროგრესი სავსებით შესაძლებელია".*

**მერაბ მამულაშვილი**

პირველი ლიგა

## VII ტური

### A ზონა

**მეშახტე-დინამო 2 (თბ) 1:2**

13.10. ტყიბული. ვლადიმერ ბოჭორიშვილი. 400 მაყურებელი

1:0 ბ. კოლუაშვილი (53), 1:1 ნ. დიასამიძე (60), 2:1 ბ. რუხაძე (75)

მეშახტე: დ. მემარნიშვილი, გ. გვენეტაძე. ნ. ხარაბაძე (87. ბ. ჯიშიაშვილი), ლ. ჯანგიძე, ი. ჭანკვეტაძე, ი. კილაძე, თ. სანიკიძე, ბ. კოლუაშვილი, მ. ყლენტი, ლ. გაბრიჭიძე (75. გ. დიაკონიძე), ო. გიორგობიანი.

სათადარიგოები: ა. ქაშაკაშვილი, ა. სახელაშვილი, დ. სოფრომაძე, გ. გიგაური, თ. გოგიჩაძე

მწვრთნელი: დ. რუხაძე

დინამო2 (თბ): ლ. ტყეშელაშვილი, ლ. შერგელაშვილი, გ. სამხარაძე, ბ. მახარობლიძე, გ. ლობჟანიძე, ა. სარიშვილი, თ. კიტოვანი (53. ს. ლობჟანიძე), მ. ჯიშკარიანი (70. ბ. რუხაძე), ვ. ბაჩიაშვილი, ნ. დიასამიძე, ვ. მატიაშვილი (58. ბ ზივზივაძე).

სათადარიგოები: ბ. მუმლაძე, შ. გვაზავა, ზ. თევზაძე, გ. კულუა

მწვრთნელი: მ. ყვანია

გაფრთხილება: ი. კილაძე, მ. ყლენტი, გ. გვენეტაძე - ა. სარიშვილი

არბიტრი: ზ. ანიაშვილი

**საპოვნელა-გაგრა 2:1**

12.10. თერჯოლა. ცენტრალური. 500 მაყურებელი

საპოვნელა: ა. გიორგაძე, ა. ბუცხრიკიძე (66. ვ. ჭრელაშვილი), დ. ბაქრაძე, დ. ჩხიკვაძე, ზ. ენდელაძე, ს. შულლაძე, ლ. შავგულიძე, ს. ცქიფურიშვილი, ნ. სირაძე, იაგო დეისაძე (78. ზ. აბულაძე), იაკობ დეისაძე (88. თ. დარსაველიძე).

სათადარიგოები: დ. არეშიძე, რ. რობაქიძე, ვ. კახეთელიძე, ვ. ცხადაძე

მწვრთნელი: მ. გენაძე

გაგრა: გ. ბეგაშვილი, ც. ხარაბაძე, ლ. კალანდაძე, გ. გადრანი, ვ. ჭაბუკიანი, გ. ფალავანდიშვილი (17. ზ. ქარდავა, 46. კ. ზარნაძე), რ. ცაცკრიალაშვილი, თ. ყიშკარიანი, რ. კაკუბავა (71. ნ. ხოჯაშვილი), ნ. ჭკუასელი, ა. ოვონიკოკო.

სათადარიგოები: ა. მუსელიანი, ბ. ქარდავა, გ. დობორჯგინიძე, თ. მოსიაშვილი

მწვრთნელი: ზ. ჯელაძე

გაფრთხილება: დ. ბაქრაძე - რ. ცაცკრიალაშვილი, ვ. ჭაბუკიანი

არბიტრი: ა. ნონიკაშვილი

**ალგეთი-ჩხერიმელა 2:1**

12.10. თბილისი. ავაზა. 150 მაყურებელი

1:0 ა. ონუაკლუსი (9), 1:1 კ. უკუბილე (11), 2:1 გ. ჭოველიძე (48)

ალგეთი: მ. ძიძიგური, რ. კიკალიშვილი, ი. ალასანია, გ. ჭოველიძე, გ. პატარქალიშვილი, მ. კობერიძე (46. ზ. ტიელიძე), ვ. ნემსაძე (77. ი. ჯოჯიშვილი), თ. მოსიაშვილი, ი. სვანიძე, დ. დარციმელია (73. მ. მახათაძე), ა. ონუაკლისი.

სათადარიგოები: ე. ანიგბო, გ. ჩიქოვანი, ლ. ეზიეშვილი, თ. ბახტურიძე

მწვრთნელი: ე. გუგუშვილი

ჩხერიმელა: მ. ლომსაძე, თ. ლურსმანაშვილი, გ. მეტრეველი, ლ. მჭედლიშვილი, გ. ჯიმშელეიშვილი (83. კ. ოკონკვო), გ. კუკბილე, გ. ზაქარაშვილი. დ. კოსტავა, ი. ჩუბინიძე, გიორგი კიკნაძე, ზ. ქურდობაძე.

სათადარიგოები: ბ. ოკრიბელაშვილი, გ. ნიქაბაძე

მწვრთნელი: ე. ჯიმშელეიშვილი

გაფრთხილება: ი. ალასანია, გ. პატარქალიშვილი, ა. ონუაკლუსი - თ. ლურსმანაშვილი, გ. მეტრეველი, ლ. მჭედლიშვილი, გ. ჯიმშელეიშვილი, დ. კოსტავა, ზ. ქურდობაძე

არბიტრი: გ. ავაზაშვილი

**კოლხეთი (ფ)-შუქურა 0:1**

12.10. ფოთი. ფაზისი. 500 მაყურებელი

0:1 ლ. ელიზბარაშვილი (55)

კოლხეთი: ლ. ძაგანია, გ. კილასონია, პ. ცხვიტარია, გ. ჩადუნელი (75. ა. ჯანელიძე), გ. ლემონჯავა, ა. სარსანია (46. ლ. გულუა), ო. გოგონაია, ლ. კაკულია, ა. ქორჩილავა, გ. ჭედია, ზ. ქანთარია (27. ლ. კუკავა).

სათადარიგოები: გ. კრასოვსკი, ი. მაღრაძე კ. ბარამიძე, მ. ლორია

მწვრთნელი: ზ. ინიაშვილი

შუქურა: თ. კაკალაძე, ზ. ტულუში, ა. ბრაჭული, ვ. შეროზია, ლ. ელიზბარაშვილი, გ. ჩელებაძე, ნ. მაჭავარიანი (90. მ. ფუტკარაძე), ზ. მალანია, რ. ლობე (70. ა. ბაჯელიძე), მ. კაკალაძე, ი. ტაკიძე.

სათადარიგოები: დ. გაბელია, გ. გერმოზაშვილი, მ. ქათამაძე, მ. კოპალიანი, მ. მამულაძე

მწვრთნელი: ვ. ჩხარტიშვილი

გაფრთხილება: ლ. კაკულია, ო. გოგონაია - ზ. მალანია

არბიტრი: ა. კრიჭაშვილი

**მერცხალი-ადელი 1:2**

12.10. ოზურგეთი. ცენტრალური. 300 მაყურებელი

0:1 ლ. კარაკულიანი (44), 0:2 გ. სირაბიძე (61), 1:2 ვ. ჯაყელი (66, პენალტით)

მერცხალი: ი. მურუსიძე, ს. გ. ჩიგოგიძე, მ. ქობულაძე, გ. მექვაბიშვილი, ჯ. პაპავა, ჯ. კალანდაძე, დ. სურგულაძე, ლ. კოტრიკაძე (46. გ. ჯამაშურიძე), ლ. ჩხაიძე (57. გ. გოგუაძე), ვ. ჯაყელი, ნ. ხინთიბიძე.

სათარიგოები: ს. ვ. ჩიგოგიძე, ლ. ესაძე, თ. ჩხატარაშვილი, გ. ცერცვაძე, რ. ჭაფოძე

მწვრთნელი: მ. ვანიძე

ადელი: ნ. ნაროზაშვილი, ნ. წულუკიძე, ვ. ივანიაძე, გ. ცაბუტაშვილი, ლ. ცხადაძე (90. ზ. კონცელიძე), დ. ჯალაღანია, თ. გიორგაძე (78. თ. მჟავანაძე), ლ. ბერუაშვილი, გ. სირაბიძე (57. დ. რუხაია), ზ. მჟავანაძე, ლ. კარაკულიანი.

სათადარიგოები: ფ. მოროტია, გ. თურმანიძე, ლ. მიქაძე, ბ. ხურციძე

მწვრთნელი: ს. ნასუაშვილი

გაფრთხილება: გ. მექვაბიშვილი

არბიტრი: დ. სანოძე

**სქური-იმერეთი 1:0**

12.10. წალენჯიხა. საშა კვარაცხელია

1:0 თ. ფურთუხია (16)

სქური: ნ. ჯოლოგუა (46. ტ. ხარჩილავა), დ. რაფავა, ჯ. ყურუა, ა. მიქენაია, ა. კალანდია (65. ლ. მორგოშია), თ. ფურთუხია, ზ. ქვარცხავა, ლ. ბოჯგუა, გ. სართანია, გ. ჭკუასელი, ბ. ხოჯანაშვილი (89. ზ. ლარიბაშვილი).

სათადარიგოები: ბ. სვანიძე, დ. შონია, გ. კვირკვია, მ. მაჭუტაძე

მწვრთნელი: გ. ციკოლია

იმერეთი: ს. მეძველია, ვ. ბრეგაძე, გ. ხელაძე, ლ. გაჩეჩილაძე, დ. გოდერიძე (75. თ. ბაბუნაშვილი), ზ. სადილიანი (46. დ. კუხალაშვილი), ჯ. კილაძე, ბ. ჩხეტიანი, გ. აშვეთია, გ. მანაგაძე, ს. ჯალაღანია (59. დ. ხაბურძანია).

სათადარიგოები: გ. ბერძენაძე, ლ. გაბუნია, თ. ვაშაკიძე, ლ. ტაბიძე

მწვრთნელი: დ. ჭელიძე

გაფრთხილება: თ. ფურთუხია - ლ. გაჩეჩილაძე, მ. აშვეთია

არბიტრი: ი. კვირიკაშვილი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საპოვნელა | 6 | 5 | 0 | 1 | 12-2 | 15 |
| 2. კოლხეთი (ფ) | 6 | 5 | 0 | 1 | 12-2 | 15 |
| 3. ალგეთი | 6 | 5 | 0 | 1 | 11-4 | 15 |
| 4. შუქურა | 6 | 4 | 1 | 1 | 15-6 | 13 |
| 5. მეშახტე | 6 | 4 | 1 | 1 | 14-5 | 13 |
| 6. გაგრა | 7 | 3 | 3 | 1 | 15-8 | 12 |
| 7. სქური | 7 | 3 | 0 | 4 | 7-11 | 9 |
| 8. დინამო 2 (თბ) | 7 | 2 | 1 | 4 | 7-10 | 7 |
| 9. ჩხერიმელა | 6 | 2 | 1 | 3 | 6-13 | 7 |
| 10. კახეთი | 6 | 2 | 0 | 4 | 4-9 | 6 |
| 11. იმერეთი | 7 | 1 | 2 | 4 | 3-11 | 5 |
| 12. ადელი | 7 | 1 | 0 | 6 | 6-20 | 3 |
| 13. მერცხალი | 7 | 0 | 1 | 6 | 6-17 | 1 |

**მომდევნო ტური**

**18 ოქტომბერი**

გაგრა-იმერეთი
ადელი-სქური
შუქურა-მეშახტე
ჩხერიმელა-კოლხეთი (ფ)
საპოვნელა-ალგეთი

**19 ოქტომბერი**

დინამო 2 (თბ)-კახეთი

### B ზონა

**სამგურალი-ლოკომოტივი 2:1**

13.10. სამტრედია. ე. მანჯგალაძე. 100 მაყურებელი

1:0 ბ. ბიბილაშვილი (35), 1:1 გ. არაბიძე (75), 2:1 გ. ხარაბაძე (85)

სამგურალი: ი. კუჭუხიძე, ბ. ბიბილაშვილი, ლ. ხაჭაპურიძე, მ. ჩხარტიშვილი (55. ზ. კუხალაშვილი), უ. ბანძელაძე, ა. მეტონიძე, ი. ხვადაგიანი, ლ. ყიფიანი, გ. ბუხაიძე, ა. ფანცხავა (82. გ. ხარაბაძე), გ. თევდორაძე (60. ხ. უგრეხელიძე).

სათადარიგოები: ზ. ჩხეტიანი, ზ. სალინაძე, ლ. გორდეზიანი, თ. ბრეგვაძე

მწვრთნელი: გ. გოგიაშვილი

ლოკომოტივი: გ. თებიძე, გ. გურეშიძე, გ. მაკასარაშვილი, ლ. რეხვიაშვილი, დ. ცნობილაძე, დ. მიქავა, გ. ბაქრაძე, ნ. ნიკვაშვილი, გ. ლუკავა, ბ. ბახტაძე (64. გ. თედიაშვილი), გ. არაბიძე.

სათადარიგოები: გ. ლვინიაშვილი, გ. ვარაზაშვილი, ს. ჩაჩანიძე, ს. შინჯიკაშვილი

მწვრთნელი: გ. ცეცაძე

გაფრთხილება: ა. მეტონიძე, დ. მიქავა, გ. ბაქრაძე

არბიტრი: ხ. გაგნიძე

**დინამო (ბთ)-სტუ 3:0**

13.10. ქობულეთი. ჩელო-არენა. 200 მაყურებელი

1:0 ი. ჩირიკაშვილი (27), 2:0 ბ. ჩიმაკაძე (45), 3:0 ა. მუჯირი (87)

დინამო (ბთ): მ. ალავიძე, ს. თოდუა, გ. ყვანია, ბ. ტეტუნაშვილი, კ. მაკარიანი, ვ. თევდორაძე (46. თ. ბერიძე), ი. ჩირიკაშვილი (60. დ. ადეიშვილი), ა. მუჯირი, გ. მანწკავა (46. ბ. მახარაძე), ბ. ვარშანიძე, ბ. ჩიმაკაძე.

სათადარიგოები: გ. გოგიტიძე, გ. კვერენჩხილაძე, რ. ტაკიძე, ვ. ქორიძე

მწვრთნელი: კ. ყორყიკაშვილი

სტუ: ა. ბილიხოძე, ნ. მაღრაძე, ლ. საბაძე (70. გ. ბააკაშვილი), ნ. ბინკინაშვილი (70. ნ. გოგიშვილი), გ. ჯიშკარიანი, გ. ვაშაკიძე (78. ვ. რობაქიძე), ო. გაგნიძე, ი. გოგატიშვილი, გ. თვალავაძე, კ. კახაბრიშვილი, ლ. ჯიქიძე.

სათადარიგოები: ა. ლაცაბიძე, გ. ჩიკვაიძე, რ. მამფორია

მწვრთნელი: გ. ყორყოლიანი

გაფრთხილება: ს. თოდუა, ბ. ვარშანიძე

არბიტრი: ჯ. ბუიშვილი

**ბეთლემი-საბურთალო 2:1**

13.10. ქედა. ცენტრალური. 200 მაყურებელი

0:1 ლ. ლარკი (31), 1:1 თ. ჩადუნელი (38), 2:1 ლ. ნინიკაშვილი (90)

ბეთლემი: ა. მქაცარია, გ. ნათენაძე, რ. ქობულაძე, ა. ფარტენაძე, ი. ნაჭყებია, ლ. ქანთარია (88. ი. ბოლქვაძე), თ. ჩადუნელი, ბ. ჯუგაშვილი, ი. ბარამიძე (67. ლ. ნინიკაშვილი), ბ. კახიძე, გ. ქობალია (79. გ. კახიანი).

სათადარიგოები: გ. შაველიძე, ი. ფუტკარაძე, ჯ. გორგაძე, მ. ბერიძე

მწვრთნელი: ე. იმნაძე

საბურთალო: ბ. ქურდაძე, დ. წონწავა (59. ა. ვიანე), გ. მარგველაშვილი, ჯ. ტაბიძე, ი. ბეროშვილი, გ. ხარაიშვილი, გ. თევზაძე, რ. ბარამიძე, რ. გოცირიძე, ლ. ლარკი, გ. ჩაბრაძე (75. გ. ხორხელი).

სათადარიგოები: ბ. გვარაძე, დ. ჯავახაშვილი, გ. თვარაძე, ლ. კუპატაძე

მწვრთნელი: თ. შალამბერიძე

გაფრთხილება: ლ. ქანთარია

არბიტრი: ზ. ასკარ-ოღლი

**მაჭახელა-სულორი 1:0**

13.10. ხელვაჩაური. ცენტრალური. 100 მაყურებელი

1:0 ლ. კალანდაძე (56)

მაჭახელა: გ. მამინაშვილი, დ. ბერუაშვილი, ლ. რამიშვილი, გ. ფალავანდიშვილი, ლ. ხოხონიშვილი, ა. ლაბაძე (56. ლ. კალანდაძე), ნ. შონია, ა. ლორია (72. ნ. ქორიძე, 82. ზ. ანანიძე), გ. ჩხიკვიშვილი, ი. კუტალია, მ. დავითაძე.

სათადარიგოები: კ. აკმელი, გ. გოგიტიძე გ. ქოქოლაძე, ი. ლოლობერიძე

მწვრთნელი: ა. გოგიტიძე

სულორი: დ. ხურციძე, ბ. ბელექანია, ლ. გაბუნია, ა. როხვაძე, დ. გაგნიძე, თ. ძაგნიძე (57. ა. ქებულაძე), გ. ბრეგვაძე, მ. ნაფეტვარიძე, დ. ივანიაძე (88. გ. ფირანაშვილი), თ. მაღლაკელიძე, ბ. სულაბერიძე.

სათადარიგოები: ა. მაღლაკელიძე, გ. ბალდავაძე, გ. თევზაძე, ნ. გიორგაძე, თ. მატარაძე

მწვრთნელი: გ. ბრეგვაძე

გაფრთხილება: ლ. რამიშვილი, გ. ჩხიკვიშვილი, ბ. ბელექანია, ლ. გაბუნია

არბიტრი: კ. ჭაჭუა

**ბახმარო-კოლხეთი (ხ) 1:1**

13.10. ჩოხატაური. ცენტრალური. 600 მაყურებელი

0:1 გ. პაჭკორია (60), 1:1 პ. ანტვეე (70)

ბახმარო: გ. კუჭავა, ჯ. ადოლე, დ. ჩაჩუა, ჯ. ლოლუა. პ. ანტვეე, მ. ახობაძე (84. კ. კალანდაძე), დ. სიხარულიძე, ა. შონია, მ. გიორგაძე, გ. ფალავა (70. ლ. თენაძე), ხ. დიდია.

სათადარიგოები: ს. გიორგაძე, თ. ბაზლაძე, ვ. პარასკევაშვილი

მწვრთნელი: ბ. გიორგაძე

კოლხეთი (ხ): ზ. გელაშვილი, გ. გოგენია, ო. ფიფია, გ. ლომაია, დ. ჭითანავა, ლ. ვართაგავა, ც. ბუკია, ლ. მეფიშვილი, გ. პაჭკორია, თ. ღლონტი (61. პ. გაბრავა), ი. გერგაია (66. ლ. ქაშიბაძე).

სათადარიგოები: ლ. გოგენია, ლ. ჭურღულია, რ. ცომეხია, ვ. ფირცხელავა

მწვრთნელი: ლ. ნოდია

გაფრთხილება: დ. ჩაჩუა, ხ. დიდია - დ. ჭითანავა

არბიტრი: გ. დოგრაშვილი

**ჭიათურა-დილა2 1:0**

13.10. ჭიათურა. თემურ მაღრაძე. 300 მაყურებელი

1:0 დ. ციცხვაია (9)

ჭიათურა: გ. ბადურაშვილი, თ. ხარებავა, ი. ტყებუჩავა, დ. ქირია, ლ. ცუცქირიძე, ი. ზაბახიძე, ლ. კუჭაშვილი (77. ა. ბაბლიძე), გ. ბარბაქაძე (46. გ. მეცხოვრიშვილი), ზ. ხაჭიპერაძე (75. ბ. ბარბაქაძე), დ. სევასტოპულო, დ. ციცხვაია.

სათადარიგოები: გ. სამყურაშვილი, ზ. ჯაფარიძე, გ. კაპანაძე

მწვრთნელი: ხ. ქასრაშვილი

დილა 2: ს. ცაბუტაშვილი, ლ. ნოზაძე (82. ნ. გაბელია), გ. ყურმაშვილი (38. გ. ბერიძე), ც. ქებურია, მ. აფხაზავა, ლ. ქოჩლაძე, გ. კაშია, გ. კვარაცხელია, კ. მელაშვილი, ი. ბერიძე (46. დ. გაბიჩვაძე), გ. გაფრინდაშვილი.

სათადარიგოები: ლ. შენგელია, კ. ლალანიძე

მწვრთნელი: გ. დოლიძე

გაფრთხილება: ლ. ცუცქირიძე, ლ. კუჭაშვილი, გ. მეცხოვრიშვილი - გ. ყურმაშვილი

არბიტრი: ო. ხეცაძე

**სასკო-სამტრედია 2:1**

13.10. თბილისი. შატილი. 300 მაყურებელი

1:0 შ. ფირუზაშვილი (16), 1:1 გ. ერისთავი (21), შ. ფირუზაშვილი (72)

სასკო: ა. ნონოსი, გ. მაჩაიძე, ე. საჯაია, ა. ინწკირველი, ზ. ელიავა, დ. დილმელაშვილი, შ. ფირუზაშვილი (84. თ. ქორჩილავა), ბ. ზაქარაძე, ი. ქავთარაძე (46. გ. კვარაცხელია), გ. რეხვიაშვილი (46. გ. არახამია), ო. არველაძე.

სათადარიგოები: ლ. ბრაჭული, ა. აბაშიძე, გ. ბერიშვილი, ს. მიქაუტაძე

მწვრთნელი: გ. ხიზანიშვილი

სამტრედია: მ. მუჯრიშვილი, თ. კაკუშაძე, ს. გოგია, მ. მემარნიშვილი, ბ. გედენიძე, მ. ყვანია, თ. კიკაბიძე, ლ. ბაკურაძე, ლ. ჩალაძე, გ. ერისთავი, გ. ბოხუა (71. გ. კიკნაძე).

სათადარიგოები: გ. ბ. თურმანიძე, გ. გურეშიძე, გ. ხვედელიძე, ი. გამრეკლიძე, ნ. ბანძავა

მწვრთნელი: უ. სოსიაშვილი

გაფრთხილება: ზ. ელიავა, გ. რეხვიაშვილი - ს. გოგია, მ. ყვანია, ლ. ჩალაძე, გ. ერისთავი

არბიტრი: მ. ბეუქლიშვილი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მაჭახელა | 7 | 6 | 0 | 1 | 15-4 | 18 |
| 2. სამტრედია | 7 | 5 | 1 | 1 | 11-4 | 16 |
| 3. დინამო (ბთ) | 6 | 5 | 0 | 1 | 12-4 | 15 |
| 4. ჭიათურა | 7 | 5 | 0 | 2 | 13-10 | 15 |
| 5. სამგურალი | 7 | 4 | 1 | 2 | 16-11 | 13 |
| 6. ლოკომოტივი | 7 | 3 | 1 | 3 | 10-10 | 10 |
| 7. საბურთალო | 6 | 3 | 0 | 3 | 10-9 | 9 |
| 8. კოლხეთი (ხ) | 7 | 2 | 2 | 3 | 9-13 | 8 |
| 9. ბეთლემი | 7 | 2 | 1 | 4 | 8-8 | 7 |
| 10. ს.ტ.უ. | 7 | 2 | 1 | 4 | 13-15 | 7 |
| 11. სასკო | 7 | 2 | 1 | 4 | 7-10 | 7 |
| 12. დილა 2 | 7 | 1 | 2 | 4 | 6-15 | 5 |
| 13. სულორი | 7 | 1 | 1 | 5 | 3-12 | 4 |
| 14. ბახმარო | 7 | 0 | 3 | 4 | 5-13 | 3 |

**მომდევნო ტური**

**19 ოქტომბერი**

ლოკომოტივი-სამტრედია
დილა 2-სასკო
კოლხეთი (ხ)-ჭიათურა
სულორი-ბახმარო
სტუ-ბეთლემი
სამგურალი-დინამო (ბთ)
საბურთალო-მაჭახელა

## ჭაბუკთა ლიგა

### VI ტური. 1996/97 წ.დ.

| | |
|---|---|
| მეტალურგი-დინამო (ბთ) | 4:0 |
| სპარტაკი-ნ. დინამო | 1:2 |
| დილა-35-ე სს | 4:1 |
| მერანი-ტორპედო | 0:3 |
| ვიტ ჯორჯია-საბურთალო | 4:3 |
| გურია-ჩიხურა | 0:1 |
| სიონი-ზესტაფონი | 3:1 |
| დინამო (თბ)-ზუგდიდი | 1:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მეტალურგი | 6 | 6 | 0 | 0 | 21-3 | 18 |
| 2. ტორპედო | 6 | 4 | 2 | 0 | 12-5 | 14 |
| 3. დინამო (თბ) | 5 | 4 | 0 | 1 | 13-5 | 12 |
| 4. დილა | 5 | 4 | 0 | 1 | 10-3 | 12 |
| 5. მერანი | 6 | 4 | 0 | 2 | 8-5 | 12 |
| 6. ვიტ ჯორჯია | 6 | 3 | 2 | 1 | 14-11 | 11 |
| 7. საბურთალო | 5 | 3 | 1 | 1 | 12-5 | 10 |
| 7. 35-ე სს | 6 | 2 | 2 | 2 | 7-9 | 8 |
| 9. სიონი | 5 | 2 | 1 | 2 | 9-10 | 7 |
| 10. ნ. დინამო | 6 | 2 | 1 | 3 | 10-16 | 7 |
| 11. დინამო (ბთ) | 6 | 2 | 0 | 4 | 10-14 | 6 |
| 12. ზუგდიდი | 6 | 1 | 1 | 4 | 5-8 | 4 |
| 13. გურია | 6 | 1 | 1 | 4 | 3-14 | 4 |
| 14. ჩიხურა | 6 | 1 | 0 | 5 | 3-11 | 3 |
| 15. ზესტაფონი | 6 | 0 | 2 | 4 | 5-13 | 2 |
| 16. სპარტაკი | 6 | 0 | 1 | 5 | 4-14 | 1 |

### 1998/99 წ.დ. VI ტური

| | |
|---|---|
| სპარტაკი-ნ. დინამო | 0:1 |
| დილა-35-ე სს | 0:1 |
| მერანი-ტორპედო | 0:1 |
| გურია-ჩიხურა | 0:3 |
| მეტალურგი-დინამო (ბთ) | 3:0 |
| სიონი-ზესტაფონი | 1:1 |
| დინამო (თბ)-ზუგდიდი | 5:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო (თბ) | 5 | 5 | 0 | 0 | 26-0 | 15 |
| 2. საბურთალო | 5 | 4 | 1 | 0 | 19-1 | 13 |
| 3. ტორპედო | 6 | 4 | 0 | 2 | 13-5 | 12 |
| 4. ზუგდიდი | 6 | 4 | 0 | 2 | 12-11 | 12 |
| 5. ვიტ ჯორჯია | 6 | 3 | 2 | 1 | 12-7 | 11 |
| 6. დილა | 5 | 3 | 1 | 1 | 6-2 | 10 |
| 7. მეტალურგი | 6 | 3 | 1 | 2 | 10-8 | 10 |
| 8. ნ. დინამო | 6 | 3 | 1 | 2 | 4-7 | 10 |
| 9. 35-ე სს | 6 | 2 | 1 | 3 | 3-6 | 7 |
| 10. გურია | 6 | 2 | 1 | 3 | 3-14 | 7 |
| 11. მერანი | 6 | 2 | 1 | 3 | 2-15 | 7 |
| 12. სპარტაკი | 6 | 2 | 0 | 4 | 7-14 | 6 |
| 13. ჩიხურა | 6 | 1 | 1 | 4 | 3-11 | 4 |
| 14. ზესტაფონი | 6 | 0 | 3 | 3 | 4-7 | 3 |
| 15. სიონი | 5 | 0 | 2 | 3 | 7-12 | 2 |
| 16. დინამო (ბთ) | 6 | 0 | 1 | 5 | 1-11 | 1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერი

# ინტერი გაიყიდა!

## დიდი შეთანხმება: ტოჰირი ინტერის მფლობელია

მილანის „ინტერის“ ბანაკიდან“ ისეთი ცნობა მოვიდა, რომელმაც თვით სანაკრებო ბატალიები და „სკუადრა აძურას“ სომხეთთან მატჩი დაჩრდილა. **მასიმო მორატიმ** და ინდონეზიელმა ბიზნესმენმა **ერიკ ტოჰირმა** ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს, რომლის მიხედვითაც, კლუბის აქციათა 70% სწორედ ამ უკანასკნელს გადაეცა. ამრიგად, მორატის აქციათა მხოლოდ 30% დარჩა და რადგან საკონტროლო პაკეტს ტოჰირი დაეუფლა, კლუბის მფლობელი სწორედ ინდონეზიელი ბიზნესმენი გახლავთ. ტოჰირმა კლუბის საკონტროლო პაკეტის სანაცვლოდ 375 მილიონი ევრო გადაიხადა. დარჩება თუ არა მორატი „ინტერის“ პრეზიდენტად, ეს თავად მასიმომ უნდა გადაწყვიტოს, რადგან ტოჰირმა მას თავისუფალი არჩევანის ნება მისცა. პრეზიდენტობასთან დაკავშირებით მორატის გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია, რაც მისი კომენტარიდან შევიტყვეთ:

*„შეთანხმებას მივაღწიეთ და „ინტერის“ აქციათა 70% ერიკ ტოჰირის საკუთრებაში გადავიდა. ამის შესახებ ოფიციალური პრესრელიზი უახლოეს საათებში გავრცელდება. მე მიყვარს „ინტერი“ და ამ გუნდის ერთგულ გულშემატკივრად ვრჩები - ამასთან, მშვიდად ვარ, რომ კლუბი საიმედო ხალხის ხელში გადავიდა. პრეზიდენტობა? - ტოჰირს სურს, რომ პრეზიდენტი კვლავ მე ვიყო, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიმიღია. ცხოვრების ახალ რიტმზე უნდა გადავერთო და ვნახოთ, ყველაფერს დრო გვიჩვენებს“.*

აქვე ვთქვათ, რომ მასიმო მორატი „ინტერის“ მფლობელი და პრეზიდენტი 1995 წლიდან გახლდათ. ამ პერიოდში გუნდმა არაერთი სკუდეტო, იტალიის თასი და საერთაშორისო ტროფეი მოიგო. მორატის წარმატებათა გვირგვინი **ჟოზე მოურინიოს** პერიოდი და 2009/2010 წლების სეზონი იყო, როდესაც „ნერაძურიმ“ ტრიპლეტი შეასრულა და ყველა იმ ტურნირში გაიმარჯვა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო. ჟოზეს „ინტერმა“ სკუდეტო, იტალიის თასი და მორატისთვის იქამდე მიუღწეველი მიზანი: ჩემპიონთა ლიგა მოიგო.



მასიმო მორატიმ დაადასტურა, რომ ერიკ ტოჰირმა „ინტერის“ აქციათა საკონტროლო პაკეტი შეიძინა

### ტოჰირის გეგმები

იტალიურ სპორტულ პრესაში უკვე აქტიურად იწერება, რომ ერიკ ტოჰირი „ინტერში“ დიდძალი ინვესტიციის ჩადებას აპირებს, თანხების დიდი ნაწილი კი ახალი სტადიონის მშენებლობასა და ტრანსფერებში დაიხარჯება. ახალი სტადიონის შესახებ ინდონეზიელი ბიზნესმენი ჯერ კიდევ მაშინ საუბრობდა, როდესაც მორატისთან მოლაპარაკების საწყის ეტაპზე იყო. ახალი არენის მშენებლობა „ინტერის“ ძველ მესვეურებსაც სურდათ და სტადიონის მაკეტიც კი აქვთ გაკეთებული, რომელიც 60 ათას გულშემატკივარზეა გათვლილი. საინტერესოა, სწორედ ამ მაკეტით იხელმძღვანელებს ინდონეზიელი ბიზნესმენი თუ სრულიად ახალ პროექტს გააკეთებს - ამ თემაზე მორატისაც ჰკითხეს, მისი პასუხი კი ასეთი იყო:

*„შეთანხმება დღეს შედგა და მოდით, ნუ გავუსწრებთ მოვლენებს. ტოჰირი პრესკონფერენციას გამართავს და ყველაფერზე თავად ისაუბრებს, მათ შორის ახალი სტადიონის აშენებაზე“.*

„გაძეტა დელო სპორტი“ სატრანსფერო საკითხებსაც გადასწვდა და ივარაუდა, რომ „ინტერის“ ახალი მესვეურები ახალი ფეხბურთელების გადაბირებას ამავე ზაფხულს შეეცდებიან. ითქვა ისიც, თუ ვინ იქნება ერიკ ტოჰირის პირველი სამიზნე - ლაპარაკია **ესექიელ ლავეციზე**, რომელიც ფრანგულ პსჟ-ში ასპარეზობს. შეხსენება არ უნდა გჭირდებოდეთ, რომ არგენტინელი შემტევი პსჟ-მდე „ნაპოლიში“ ასპარეზობდა, სადაც მისი მთავარი მწვრთნელი „ინტერის“ ამჟამინდელი თავკაცი **ვალტერ მაცარი** გახლდათ. მაცარიმ კარგად იცის ლავეცის ფასი და გასაკვირი სულაც არ იქნება თუ მილანელები ესეკილის გადაბირებას შეეცდებიან. მით უმეტეს, არგენტინელი პარიზში დიდად ვერ გაიხსნა და **ზლატან იბრაჰიმოვიჩის** ჩრდილშია მოქცეული.

### პირველი პრეცედენტი

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს არის პირველი პრეცედენტი, როდესაც იტალიურ საფეხბურთო კლუბს უცხოელი დაეპატრონა. მართალია, დაახლოებით ორი წლის წინ, სენსების ოჯახმა „რომა“ ამერიკელ ბიზნესმენ **ტომას დი ბენედეტოს** მიჰყიდა, მაგრამ ეს უკანასკნელი იტალიური ფესვების გახლავთ და აპენინებზე უცხოელად არც მიულიათ. აი, ინდონეზიელი ერიკ ტოჰირი კი სრულფასოვანი უცხოელია, რომელმაც იტალიური ფეხბურთის ერთ-ერთი გრანდი იგდო ხელთ. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ამ მხრივ, იტალიელები ინგლისელებზე კონსერვატორები გამოდგნენ, მაგრამ ყველაფერს აქვს დასასრული - „ინტერი“ პირველი იტალიური გუნდია, სადაც უცხოური ინვესტიცია ჩაიდება და როგორც აპენინელი საფეხბურთო ექსპერტების დიდი ნაწილი აცხადებს, ეს მხოლოდ წაადგება კალჩოს. ექსპერტთა მოსაზრებას იზიარებს ლეგენდარული იტალიელი მწვრთნელი მარჩელო ლიპი, რომელმაც უკვე გააკეთა მოკლე კომენტარი:

*„ინგლისურმა კლუბებმა მნიშვნელოვანი პროგრესი სწორედ უცხოური ინვესტიციების ხარჯზე განიცადეს და ცუდს ვერაფერს ვხედავ იმაში, თუ ეს ყველაფერი იტალიაშიც მოხდება. მორატებმა დიდი როლი ითამაშეს „ინტერის“ პროგრესში, მაგრამ დადგა დრო, ასპარეზი სხვას დაუთმონ. სენიორ მასიმომ ეს კარგად იგრძნო და ამადაც დათმო კლუბის აქციათა საკონტროლო პაკეტი. სერია A-დან ვარსკვლავები გარბიან და ეს პროცესი უნდა შეჩერდეს - ამიტომ, მორატისა და ტოჰირის შეთანხმებას მხოლოდ დადებითად ვაფასებ“.*

კომენტარი



აურელიო დე ლაურენტისი

# დე ლაურენტისი დიდი ჯახის მოლოდინში

სერია A-ს მომდევნო ტურში სუპერმატჩი გაიმართება, რომელშიც ერთმანეთის პირისპირ „რომა“ და „ნაპოლი“ წარდგებიან. ნეაპოლელთა ამბიციების და მიზნების შესახებ კარგად მოგეხსენებათ, დედაქალაქელებმა კი ჩემპიონატი ბრწყინვალედ დაიწყეს და სატურნირო ცხრილს სათავეში უდგანან. მოკლედ, „სტადიო ოლიმპიკოზე“ დიდი მატჩია, რომლის შესახებაც აქედანვე საუბრობენ. ამასთან, გულშემატკივართა შორის დაძაბულობა შეინიშნება და ბუნებრივია, სამართალდამცავი ორგანოებიც სრულ მობილიზებას აცხადებენ. მოახლოებულ ჯახზე კომენტარი „ნაპოლის“ პრეზიდენტმა **აურელიო დე ლაურენტისმა** გააკეთა:

*„დიდი იმედი მაქვს, რომ ბრწყინვალე მატჩს ვიხილავთ, რომელშიც უძლიერესი გაიმარჯვებს. მჯერა, რომ ყველაფერი იდეალურად იქნება როგორც მოედანზე, ისე მოედანს მიღმა. ჩვენი გულშემატკივრები სამაგალითოდ უნდა მოიქცნენ იმ შემთხვევაშიც კი, თუ „ნაპოლი“ წააგებს. ვფიქრობ, ფეხბურთი თითოეული ქალაქის კულტურის უმაღლესი გამოვლინებაა და თავი არ უნდა შევირცხვინოთ. წინ საუცხოო მატჩი გველოდება, რომელსაც მოუთმენლად ველოდები“.*

ინტერვიუ ანტონიო კასანოსთან

# ინტერის ქომაგად ვრჩები

## თუმცა მაცარის პატივს არ ვცემ...

**ანტონიო კასანო მხოლოდ 31 წლისაა, მაგრამ ევროპული ფეხბურთის გრანდში მისი ადგილი არ მოიძებნა - შედეგად, ის მოკრძალებული ამბიციების მქონე „პარმაში“ გადაბარგდა და ემილიურ გუნდში კარვალიო ამაურის მხარდამხარ ასპარეზობს. ბოლო ხანს, კასანო იშვიათად ჩნდება პრესის ფურცლებზე და მისი ინტერვიუს გაცნობა საინტერესო უნდა იყოს...**

**-როგორ გრძნობთ თავს ახალ გუნდში?**

- „პარმაში“ თბილად მიმიღეს, თანაც ახალი თანაგუნდელების უმეტესობას ახლოს ვიცნობდი და შესაბამისად, ადაპტაციისთვის დრო არ დამჭირვებია. ემილიაში თავს შესანიშნავად ვგრძნობ და არ ვნანობ, რომ „პარმაში“ თამაშზე უარი არ ვთქვი. არადა, ერთი ხანობა უცხოეთში წასვლაც კი მქონდა გადაწყვეტილი.

**- რა მიზნებს ისახავს „პარმა“ მიმდინარე სეზონში?**

- ჩვენი მიზანი ცხრილის ზედა ნაწილში ყოფნაა, დანარჩენს კი დრო გვიჩვენებს. „პარმაში“ საკმაოდ ძლიერი შემადგენლობაა თავმოყრილი და ვფიქრობ, ამ გუნდს გაცილებით უკეთ შეუძლია თამაში. შეთამაშების მხრივ გარკვეული პრობლემები გვაქვს და მთავარია, სწორედ ეს ხარვეზები აღმოვფხვრათ მოკლე დროში.

**- მხოლოდ 31 წლის ხართ და არ გაქვთ ამბიცია, რომ უფრო მაღალ დონეზე თამაშობდეთ?**

- კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ „პარმაში“ გადმოსვლა ერთი წუთითაც არ მინანია. ტიტულებისთვის ბრძოლა ნებისმიერი სპორტსმენისთვის უმნიშვნელოვანესია, მაგრამ ყველაზე მთავარი მაინც საყვარელი საქმით სიამოვნების მიღებაა. ახალ გუნდში თავს კარგად ვგრძნობ და დანარჩენზე არ ვფიქრობ.

**- ძნელი დასაჯერებელი იქნება თუ იტყვით, რომ „ინტერის“ გულშემატკივრად რჩებით...**

- უნდა დაიჯეროთ, რადგან ეს მართლაც ასეა. „ინტერის“ მიმართ სიმპათია არასდროს დამიმალავს და ამ გუნდს დღემდე ვქომაგობ. თუმცა ვალტერ მაცარის ნამდვილად ვერ ვუგულშემატკივრებ, რადგან მასთან კარგი ურთიერთობა არასდროს მქონია. დაინიშნა თუ არა „ინტერის“ მესაჭედ, მყისვე ჩემი გაშვება მოითხოვა. მაცარი ბრწყინვალე მწვრთნელია და მის ხელში „ნერაძურის“ წარმატების დიდი შანსი აქვს, მაგრამ როგორც პიროვნება, ჩემს პატივისცემას არ იმსახურებს.



ანტონიო კასანო „პარმაში“ თავს კარგად გრძნობს

**- ბოლო პერიოდში, აღარც იტალიის ნაკრებში გიწვევენ და ალბათ, ჩეზარე პრანდელიზეც ნაწყენი ხართ...**

- არა, პრანდელიზე ნაწყენი არ ვარ. ჩეზარეს ვესაუბრე და მან მითხრა, რომ შესარჩევ ციკლში ჩემი გამოყენების აუცილებლობას ვერ ხედავს. თუ მუნდიალის წინ კარგ სათამაშო ფორმაში ვიქნები, ბრაზილიაში გამგზავრების შანსი მექნება, ეს კი უდიდესი სტიმულია. ყველაფერს გავაკეთებ, რომ მუნდიალზე ვიასპარეზო.

**- ანუ, არის შანსი მუნდიალზეც ვიხილოთ ანტონიო კასანოსა და მარიო ბალოტელის ტანდემი...**

- დიახ, რატომაც არა. მარიო ჩემი ახლო მეგობარია და მის მხარდამხარ თამაში უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს. თანაც, ბალოტელი ჩემ თავს მაგონებს, როდესაც 20 წლის ვიყავი და მისთვის ბევრი სასარგებლო რჩევის მიცემა შემიძლია. დიდი იმედი მაქვს, რომ ბრაზილიაში მართლაც იხილავთ ანტონიო კასანოს და მარიო ბალოტელის ტანდემს.

გვერდი მოამზადა
**ლაშა ნიკლაურმა**

მუნდიალი 2014. შესარჩევი ეტაპი. ბოლო ტური. ევროპა

# რუსეთი, ბოსნია, ინგლისი და ესპანეთი მუნდიალზე

## ევროპის ყველაზე უიღბლო გუნდი – დანია



ბოსნიის ნაკრები მუნდიალზე ითამაშებს

ნუხელ ევროპაში დასრულდა 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის პირველი ფაზა - ჯგუფური ეტაპი. 9-ვე ჯგუფი დალაგდა და ჯგუფების გამარჯვებულებმა მიიღეს მუნდიალის საგზური: ბელგიას, იტალიას, გერმანიას, ჰოლანდიასა და შვეიცარიას, რომელთაც წინასწარ ჰქონდათ ბრაზილიის საგზური დაბევებული, შეუერთდნენ რუსეთი, ბოსნია, ინგლისი და ესპანეთი.

მეორეადგილოსანთაგან უიღბლო გამოდგა დანიის ნაკრები, რომელსაც ყველაზე ცოტა ქულა დაუგროვდა კონკურენტებს შორის (ჯგუფში მე-6 ადგილზე გასულ ნაკრებებთან თამაშები არ ითვლება) - 10. დანია ბრაზილიაში ვერ წავა. 21 ოქტომბერს პლეი ოფის კენჭისყრაა.

### A ჯგუფი

პირველი ადგილი ბელგიელებს ჰქონდათ განაღდებული, მეორე კი - ხორვატებს. თუმცა ხორვატიის ნაკრე-

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბელგია | 10 | 8 | 2 | 0 | 18-4 | 26 |
| 2. ხორვატია | 10 | 5 | 2 | 3 | 12-9 | 17 |
| 3. სერბეთი | 10 | 4 | 2 | 4 | 18-11 | 14 |
| 4. შოტლანდია | 10 | 3 | 2 | 5 | 8-12 | 11 |
| 5. უელსი | 10 | 3 | 1 | 6 | 9-20 | 10 |
| 6. მაკედონია | 10 | 2 | 1 | 7 | 7-16 | 7 |

სერბეთი-მაკედონია 5:1

შოტლანდია-ხორვატია 2:0

ბელგია-უელსი 1:1

### B ჯგუფი

სომხებმა მორიგი გმირობა ჩაიდინეს! იტალიაში ფრე (თუნდაც უმოტივაციო „სკუადრა აძურასთან") სომხეთის ნაკრებისთვის კიდევ ერთი სერიოზული მიღწევაა. თანაც, ჩვენი მეზობლები **ჩეზარე პრანდელის** გუნდს ორჯერ უგებდნენ, საბოლოოდ კი შეხვედრა 2:2 დასრულდა. გამოიცანით, რომელმა ფეხბურთელებმა გაუტანეს გოლები „აძურის" - რა თქმა უნდა, **მოვსისიანმა** და **მხითარიანმა**. **პრანდელის** გუნდი სირცხვილისგან **მარიო ბალოტელიმ** იხსნა.

დანიამ მალტა 6:0 გაანადგურა და მეორე ადგილზე გავიდა, მაგრამ დანიელები ცხრიდან რვა საუკეთესო მეორეადგილოსანს შორის ვერ მოხვდნენ და პლეი ოფში არ ითამაშებენ. დანია ამ შესარჩევი ციკლის ყველაზე უიღბლო გუნდია.

ბულგარეთი-ჩეხეთი 0:1

**გოლი:** 0:1 დოკალი (52)

**ბულგარეთი (4-1-4-1):** სტოიანოვი - მინევი, ი. მილანოვი, ივანოვი, ზანევი - გაძევი - მანოლევი, გარგოროვი (56. მარკინიოსი), გ. მილანოვი (46. ...

დანია-მალტა 6:0

იტალია-სომხეთი 2:2

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იტალია | 10 | 6 | 4 | 0 | 19-9 | 22 |
| 2. დანია | 10 | 4 | 4 | 2 | 17-12 | 16 |
| 3. ჩეხეთი | 10 | 4 | 3 | 3 | 13-9 | 15 |
| 4. ბულგარეთი | 10 | 3 | 4 | 3 | 14-9 | 13 |
| 5. სომხეთი | 10 | 4 | 1 | 5 | 12-13 | 13 |
| 6. მალტა | 10 | 1 | 0 | 9 | 5-28 | 3 |

### C ჯგუფი

ამ ჯგუფში პირველ და მეორე ადგილზე გასული გუნდების ვინაობა გარკვეული იყო და სწორედ ამ გუნდებმა დადგეს მორიგი სპექტაკლი - შვედეთი გერმანიას 2:0-ს უგებდა და და 3:5 დამარცხდა. გეხსომებათ, ამ გუნდებს შორის გერმანიაში 4:4 დაფიქსირდა. ბუნდესგუნდიდან საუკეთესო **ანდრე შიურლე** გახლდათ, რომელმაც ჰეთთრიკი შეასრულა.

შვედეთი-გერმანია 3:5

**გოლები:** 1:0 ჰისენი (6), 2:0 კაჩანიკლიჩი (42), 2:1 იოზილი (45), 2:2 გიოტცე (53), 2:3 შიურლე (57), 2:4 შიურლე (66), 3:4 ჰისენი (69), 3:5 შიურლე (76)

**შვედეთი (4-2-2-2):** ვილანდი - ბენგტსონი, ნილსონი, ანტონსონი, მარტინ ოლსონი - რ. ელმი (59. ა. სვენსონი), კალსტრიომი - ლარსონი, კაჩანიკლიჩი (73. დურმაზი) - ჰისენი, ტოივონენი (84. ვერნბლუმი).

**გერმანია (4-2-3-1):** ნოიერი - ლამი, ჟ. ბოატენგი, ჰუმელსი, იანსენი - შვაინშტაიგერი, ტ. კროოსი - თ. მიულერი (45. გიოტცე), იოზილი (82. დრაქსლერი, შიურლე - მ. კრუზე (75. პოოვედესი).

**მაყურებელი:** 50 000

ფარერები-ავსტრია 0:3

**გოლები:** 0:1 ივანშიტცი (17), 0:2 პრიოდლი (64), 0:3 ალაბა (67-პენ)

ირლანდია-ყაზახეთი 3:1

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გერმანია | 10 | 9 | 1 | 0 | 36-10 | 28 |
| 2. შვედეთი | 10 | 6 | 2 | 2 | 19-14 | 20 |
| 3. ავსტრია | 10 | 5 | 2 | 3 | 20-10 | 17 |
| 4. ირლანდია | 10 | 4 | 2 | 4 | 16-17 | 14 |
| 5. ყაზახეთი | 10 | 1 | 2 | 7 | 6-21 | 5 |
| 6. ფარერები | 10 | 0 | 1 | 9 | 4-29 | 1 |

### D ჯგუფი

D ჯგუფში გამარჯვებულის ვინაობა წინდაწინ იყო ცნობილი. პლეი ოფში გასვლა კი გუშინდლამდე ერთბაშად სამ გუნდს შეეძლო. პირველადგილოსანმა ჰოლანდიამ „ფეარ პლეის" წესები დაიცვა, თურქეთს გასვლაზევე სძლია და ჯგუფში ჩატოვა, რითაც რუმინეთმა ისარგებლა. კარპატელებს დიდ ტურნირზე რა ხანია, არ უთამაშიათ. საინტერესოა, რომ დასკვნითი ტური სამივე წყვილმა ერთნაირი ანგარიშით დაასრულა.

უნგრეთი-ანდორა 2:0

**გოლები:** 1:0 ნიკოლიჩი (52), 2:0 ნიკოლიჩი (76)

**უნგრეთი (4-2-3-1):** კირაი - ვანცაკი, დევეჩერი (46. ვარგა), მესაროში, ლიპტაკი (46. კორჩმარი) - კომანი, შტიბერი - ელეკი, ჯუჯაკი, ნიკოლიჩი - ტალაი (75. ნემეტი)

**ანდორა (4-2-3-1):** პოლი, სან-ნიკოლა, სონეჰე, ე. გარსია, ლიმა სოლა, მ. ვიეირა, მარტინესი, პეპე (79. ხ. ვიეირა), რიერა (63. მორეირა), ლორენცო (86. კლემენტე), მ. გარსია

რუმინეთი-ესტონეთი 2:0

თურქეთი-ჰოლანდია 0:2

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰოლანდია | 10 | 9 | 1 | 0 | 34-5 | 28 |
| 2. რუმინეთი | 10 | 6 | 1 | 3 | 19-12 | 19 |
| 3. უნგრეთი | 10 | 5 | 2 | 3 | 21-20 | 17 |
| 4. თურქეთი | 10 | 5 | 1 | 4 | 16-9 | 16 |
| 5. ესტონეთი | 10 | 2 | 1 | 7 | 6-20 | 7 |
| 6. ანდორა | 10 | 0 | 0 | 10 | 0-30 | 0 |

### E ჯგუფი

E ჯგუფში მოხდა ის, რასაც შესარჩევის დაწყებამდე ძნელად თუ წარმოვიდგენდით. წუხელ შვეიცარიამ სლოვენია დაამარცხა, ისლანდიამ კი ნორვეგიაში ქულა აიღო, რაც იმას ნიშნავს, რომ კუნძულელებს არსებობის ისტორიაში პირველად მიეცემათ მსოფლიოს ჩემპიონატზე გამგზავრების შანსი. მთავარია, პლეი ოფში ის კენჭისყრამ არ გაწიროს.

კვიპროსი-ალბანეთი 0:0

ნორვეგია-ისლანდია 1:1

შვეიცარია-სლოვენია 1:0

**შვეიცარია (4-4-1-1):** ... რონსი, ციგლერი - ინლერი, ბარნეტა (73. კასამი), ჯემაილი - მეჰმედი (87. ფერნანდესი) - სეფეროვიჩი (71. დერდიოკი)

**სლოვენია (4-3-2-1):** ჰანდანოვიჩი - შტრუნა, ილიჩი, სეზარი, ბრეჩკო - კურტიჩი, მერტელი (79. ლიუბიანკიჩი), კამპლი (86. ლაზარევიჩი) - კირმი, პეჩნიკი (43. მატავზი), - ნოვაკოვიჩი

**მაყურებელი:** 30 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შვეიცარია | 10 | 7 | 3 | 0 | 17-6 | 24 |
| 2. ისლანდია | 10 | 5 | 2 | 3 | 17-15 | 17 |
| 3. სლოვენია | 10 | 5 | 0 | 5 | 14-11 | 15 |
| 4. ნორვეგია | 10 | 3 | 3 | 4 | 10-13 | 12 |
| 5. ალბანეთი | 10 | 3 | 2 | 5 | 9-11 | 11 |
| 6. კვიპროსი | 10 | 1 | 2 | 7 | 4-15 | 5 |

### F ჯგუფი

F ჯგუფში უკანასკნელმა სათამაშო დღემ მოულოდნელობების გარეშე ჩაიარა, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ 10 კაცით დარჩენილმა აზერბაიჯანმა რუსებთან უკვე მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში გაათანაბრა. მეორე ადგილზე პორტუგალიის ნაკრები გავიდა, ვინც პლეი ოფში განთესილია და შესაბამისად, ბრაზილიის საგზურისთვის გრანდთან ბრძოლა არ უნდა დასჭირდეს.

აზერბაიჯანი-რუსეთი 1:1

**გოლები:** 0:1 შიროკოვი (16), 1:1 ჯავადოვი (90)

**აზერბაიჯანი (4-2-3-1):** აგაევი - ლევინი, შუქუ-...

ისრაელი-ჩრ. ირლანდია 1:1

**ჩრ. ირლანდია (4-2-3-1):** კეროლი - ჰოდსონი, მაკარდლი, კეტკარტი, ლაფერტი (78. ს. ფერგიუსონი) - ბერდი, ევანსი (24. ბრანტი) - მაკგინი (65. ვორდი), დევისი, კლინგანი - პატერსონი

**მაყურებელი:** 30 000

პორტუგალია-ლუქსემბურგი 3:0

**გოლები:** 1:0 ვარელა (30), 2:0 ნანი (36), 3:0 პოსტიგა (78)

**პორტუგალია (4-3-2-1):** პატრისიუ - კოენტრაუ (75. ანტუნეში), რ. კოშტა (59. სერენო), ნეტუ, ა. ალმეიდა - ველოზუ (58. უ. ალმეიდა), მოუტინიო, ჟოზუე - ნანი, ვარელა - პოსტიგა

**ლუქსემბურგი (4-3-2-1):** ჟუბერი - იენიში, ფილიპსი, იანსი, ლატერცა (71. ლუისი) - მუტში, და მოტა (82. მარტინო), ჟერსონი - ბენსი, ჟოაკიმი - პაიალი (61. პეტერსი)

**გაძევება:** - ჟოაკიმი (29)

**მაყურებელი:** 25 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რუსეთი | 10 | 7 | 1 | 2 | 20-5 | 22 |
| 2. პორტუგალია | 10 | 6 | 3 | 1 | 20-9 | 21 |
| 3. ისრაელი | 10 | 3 | 5 | 2 | 19-14 | 14 |
| 4. აზერბაიჯანი | 10 | 1 | 6 | 3 | 7-11 | 9 |
| 5. ჩრდ. ირლანდია | 10 | 1 | 4 | 5 | 9-17 | 7 |
| 6. ლუქსემბურგი | 10 | 1 | 3 | 6 | 7-26 | 6 |

### G ჯგუფი

„შტუტგარტის" ფორვარდმა **ვედად იბიშევიჩმა** ბოსნია-ჰერცეგოვინის ნაკრებს ისტორია შეუქმნა - მისი ერთადერთი გოლის წყალობით სლავებმა სტუმრად ლიტველები დაამარცხეს და პირველ ადგილზე დაასრულეს შესარჩევი ციკლი. მართალია, ბოსნიელთა კონკურენტმა საბერძნეთმა მოიგო, მაგრამ იმ ანგარიშით ვერა, რომ პირველი ადგილი მოეპოვებინა. ბერძნებს ლიხტენშტაინისთვის კიდევ 17 გოლი უნდა გაეტანათ. ბუნებრივია, ეს წარმოუდგენელი იყო.

საბერძნეთი-ლიხტენშტაინი 2:0

**გოლები:** 1:0 სალპინგიდისი (7), 2:0 კარაგუნისი (81)

**საბერძნეთი (4-1-2-3):** კარნეზისი - ვინტრა, კაცურანისი, სიოვასი, ოლებასი - კონე (46. სამარისი) - ციოლისი, კარაგუნისი - სალპინგიდისი, მიტროგლუ (86. ანასტასიადისი), სამარასი (70. ხრისტოდოლოპულოსი)

**ლიხტენშტაინი (4-1-4-1):** იელე - ა. კრისტენი (82. ერნი), კაუფმანი, შტოკლასა, ოირი - ვიზერი - დ. ჰასლერი (91. ილდიზი), პოლვერინო, ნ. ჰასლერი, ბურგმაიერი - მ. კრისტენი

**მაყურებელი:** 16 086

ლიტვა-ბოსნია 0:1

**გოლი:** 0:1 იბიშევიჩი (68)

**ლიტვა (4-4-2):** არლაუსკისი - ვიცუსი, კიანსკასი, ზალიუკასი, ვაიტკუნასი - რაზოულისი (78. მატულევიჩიუსი), ვალსკისი (69. მიკოლიუნასი), ბოროვსკი, პანკა - კალონასი, სირგედასი (85. ჩერნიხი)

**ბოსნია (4-3-1-2):** ბეგოვიჩი - ზაპიროვიჩი (70. ვრსაევიჩი), ბიჩაკჩიჩი, სპაჰიჩი, სალიჰოვიჩი - პიანიჩი, მედუნიანინი, ლულიჩი - მისიმოვიჩი- ჯეკო, იბიშევიჩი

**მაყურებელი:** 8 000

ლატვია-სლოვაკეთი 2:2

**გოლები:** 0:1 იაკუბკო (9), 0:2 სალატა (16), 1:2 საბალა (47), 2:2 როდე (92)

**ლატვია (4-1-4-1):** კოლინკო - როდე, გორკსი, ბულვიტსი, მაქსიმენკო - ლაიზანსი (53. ზიუზინსი) - კოვალოვსი, ფერტოვსი, ლაზდინგსი, საბალა - ვიშნიაკოვსი (85. ვერპაკოვსკისი)

**სლოვაკეთი (4-4-2):** კოზაჩიკი - სვენტო, პეკარიკი, დურიცა, სალატა - ივენდრიშეკი, კუჩკა (86. პეროვსკი), შესტაკი (62. გუედე), კონა - იაკუბკო (56. ბაკოში), დურისი

**მაყურებელი:** 3 813

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბოსნია | 10 | 8 | 1 | 1 | 30-6 | 25 |
| 2. საბერძნეთი | 10 | 8 | 1 | 1 | 12-4 | 25 |
| 3. სლოვაკეთი | 10 | 3 | 4 | 3 | 11-10 | 13 |
| 4. ლიტვა | 10 | 3 | 2 | 5 | 9-11 | 11 |
| 5. ლატვია | 10 | 2 | 2 | 6 | 10-20 | 8 |
| 6. ლიხტენშტაინი | 10 | 0 | 2 | 8 | 4-25 | 2 |



ინგლისმა ბრაზილიის საგზური გუშინ გაინაღდა



### H ჯგუფი

ინგლისის ნაკრები მუნდიალზეა! **როი ჰოჯსონის** გუნდის წაფორხილებას „უემბლიზე" ტყუილად ელოდნენ უკრაინელები, რომლებმაც ევროპის უსუსტეს ნაკრებ სან მარინოს (10 მარცხი, 1:54 ბურთების სხვაობა) ასტრონომიული ანგარიშით მოუგეს, **უეინ რუნის და სტივენ ჯერარდის** გოლების წყალობით ფეხბურთის სამშობლო არ დააკლდება 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატს.

სან მარინო-უკრაინა 0:8

**გოლები:** 0:1 სელეზნიოვი (13-პენ), 0:2 დევიჩი (15), 0:3 სელეზნიოვი (20), 0:4 დევიჩი (51), 0:5 იარმოლენკო (55), 0:6 დევიჩი (58-პენ), 0:7 ბეზუსი (65), 0:8 ტიმოშჩუკი

**სან მარინო (4-1-4-1):** ა. სიმონჩინი - ფ. ვიტაიოლი (84. ), ალეს დელა ვალე, დ. სიმონჩინი, პალაცი - ბერეტი (60. ა. დელა ვალე ) - ვალენტინი (73. ), ბატისტინი, ჩერველინი, მ. ვიტაიოლი - რინალდი

ჩერნოგორია-მოლდოვა 2:5

ინგლისი-პოლონეთი 2:0

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინგლისი | 10 | 6 | 4 | 0 | 31-4 | 22 |
| 2. უკრაინა | 10 | 6 | 3 | 1 | 28-4 | 21 |
| 3. ჩერნოგორია | 10 | 4 | 3 | 3 | 18-17 | 15 |
| 4. პოლონეთი | 10 | 3 | 4 | 3 | 18-12 | 13 |
| 5. მოლდოვა | 10 | 3 | 2 | 5 | 12-17 | 11 |
| 6. სან მარინო | 10 | 0 | 0 | 10 | 1-54 | 0 |

II-ადგილოსანთა ცხრილი

| | |
|---|---|
| 1. საბერძნეთი | 19 |
| 2. საფრანგეთი | 17 |
| 3. პორტუგალია | 15 |
| 4. უკრაინა | 15 |
| 5. შვედეთი | 14 |
| 6. ისლანდია | 14 |
| 7. რუმინეთი | 13 |
| 8. ხორვატია | 11 |
| 9. დანია | 10 |

პლეი ოფში ითამაშებენ

| განთესილები | გაუნთესავები |
|---|---|
| ხორვატია | საფრანგეთი |
| პორტუგალია | უკრაინა |
| საბერძნეთი | რუმინეთი |
| შვედეთი | ისლანდია |

პლეი ოფის კენჭისყრა გაიმართება 21 ოქტომბერს

გოტფრიდ ლენცი
ლევან ბიბილაშვილი
ნიკოლოზ ნეფარიძე

არგენტინა. ტორნეო ინისიალი. XV ტური

# ფურჩი: ყველაზე საშიში იარაღი არსენალში

ატლ. რაფაელა-არ. ხუნიორსი 1:0

**გოლი:** 1:0 დ. ფერეირა (32)

**გაძევება:** ლ. სანჩესი (90. არგენტინოს ხუნიორსი)

ბელგრანო-კილმესი 0:1

**გოლი:** 0:1 ალეგრე (29)

არსენალი-სან ლორენსო 2:1

**გოლები:** 0:1 ი. პიატი (74), 1:1 ფურჩი (76), 2:1 ფურჩი (90)

**გაძევება:** ლ. ნავარო (49. სან ლორენსო), ჯენტილეტი (65. სან ლორენსო)

ესტუდიანტესი-რასინგი 1:0

**გოლი:** 1:0 ხ. გომესი (47-საკ. კარში)

ველესი-ოლიმპო 1:2

**გოლები:** 1:0 სარატე (12), 1:1 პ. როსალესი (28-პენ), 1:2 ჩერუტი (34)

ბოკა-როსარიო 1:1

**გოლები:** 1:0 ჟიგლიოტი (13), 1:1 აბრეუ (89)

ნიუელსი-რივერი 1:0

**გოლი:** 1:0 ვ. ლოპესი (77)

ტიგრე-ხიმნასია 1:1

**გოლები:** 0:1 ლიხტი (12-პენ), 1:1 პერეს გარსია (18)

**გაძევება:** ბარსოტინი (45. ხიმნასია)

ლანუსი-გოდოი კრუსი 0:1

**გოლი:** 0:1 ხ. ფერნანდესი (8)

ოლ ბოისი-კოლონი 0:0

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ნიუელსი | 11 | 8 | 2 | 1 | 17-7 | 26 |
| 2. არსენალი | 11 | 6 | 5 | 0 | 13-5 | 23 |
| 3. სან ლორენსო | 11 | 6 | 2 | 3 | 16-9 | 20 |
| 4. ბოკა | 11 | 6 | 2 | 3 | 14-12 | 20 |
| 5. ატლ. რაფაელა | 11 | 6 | 1 | 4 | 14-14 | 19 |
| 6. გოდოი კრუსი | 11 | 5 | 3 | 3 | 9-4 | 18 |
| 7. ხიმნასია | 11 | 5 | 3 | 3 | 12-13 | 18 |
| 8. ესტუდიანტესი | 11 | 3 | 7 | 1 | 10-7 | 16 |
| 9. ბელგრანო | 11 | 4 | 3 | 4 | 16-13 | 15 |
| 10. რივერი | 11 | 4 | 2 | 5 | 8-7 | 14 |
| 11. არ. ხუნიორსი | 11 | 4 | 2 | 5 | 9-13 | 14 |
| 12. ლანუსი | 11 | 3 | 4 | 4 | 14-8 | 13 |
| 13. ველესი | 11 | 3 | 4 | 4 | 13-12 | 13 |
| 14. კილმესი | 11 | 4 | 1 | 6 | 6-14 | 13 |
| 15. ტიგრე | 11 | 3 | 3 | 5 | 8-11 | 12 |
| 16. როსარიო | 11 | 3 | 3 | 5 | 10-14 | 12 |
| 17. ოლ ბოისი | 11 | 2 | 5 | 4 | 9-9 | 11 |
| 18. კოლონი | 11 | 3 | 2 | 6 | 6-11 | 11 |
| 19. ოლიმპო | 11 | 2 | 4 | 5 | 11-16 | 10 |
| 20. რასინგი | 11 | 0 | 2 | 9 | 3-19 | 2 |

**ბომბარდირები:** 6 - ფურჩი (არსენალი); 5 - კაუტერუჩიო (სან ლორენსო), ჟიგლიოტი (ბოკა ხუნიორსი), მატოსი (ოლ ბოისი), მაქსი როდრიგესი (ნიუელს ოლდ ბოისი)

**ტორნეო ინისიალის მე-11 ტურში ორი გამორჩეული მატჩი გაიმართა - ლიდერმა „რივერს" უმასპინძლა, სარანდიში კი ერთმანეთს მეორე და მესამე ადგილზე მყოფი გუნდები შეხვდნენ...**



## ლიდერი ლიდერის გარეშე

„ნიუელს ოლდ ბოისს" **მაქსი როდრიგესის** სახით სერიოზული დანაკლისი ჰქონდა - გუნდის საუკეთესო ბომბარდირი ეროვნულ ნაკრებშია გამოძახებული და ბუნებრივია, კლუბს ვერ ეხმარებოდა. ამავე მიზეზით მასპინძლებს **რინალდო კრუსადო**, სტუმრებს კი **გაბრიელ მერკადო** და **ტეო გუტიერესი** არ ჰყავდათ. საბოლოოდ, როგორც გაირკვა, „რივერის" დანაკლისი უფრო სერიოზული ყოფილა, რადგან 3 ქულა „ძველ ბიჭებს" დარჩათ. შეხვედრის ერთადერთი გოლი ცენტრალურმა მცველმა **ვიქტორ ლოპესმა** გაიტანა და „ნიუელსს" ზედიზედ მეხუთე მატჩი მოაგებინა. სხვათა შორის, **ალფრედო ბერტის** შეგირდებს უკვე 4 მატჩია გოლი არ გაუშვიათ და გარდა ამისა, 42 წლის სპეციალისტმა საკლუბო რეკორდი დაამყარა - 11 ტურის შემდეგ 26 ქულა „ოლდ ბოისს" აქამდე არასდროს ჰქონია.

## ჯოკერი სახელად ხულიო

მეორე და მესამე ადგილზე მყოფი გუნდების დაპირისპირებაში გადამწყვეტი როლი **ხულიო ფურჩმა** ითამაშა. 24 წლის ფორვარდი 70-ე წუთზე ცვლილებაზე გამოვიდა, დუბლი შეასრულა და „არსენალის" წაუგებელი სვლა გააგრძელა. „არსენალის" ფორვარდი ბომბარდირთა დავას სათავეში ჩაუდგა - მის ანგარიშზე 6 გოლია და აქედან 4 ფურჩმა ცვლილებაზე გამოსვლის შემდეგ გაიტანა. სხვათა შორის, ფურჩი „სან ლორენსოს" ყოფილი ფეხბურთელია - შარშანდელი სეზონის პირველი ნახევარი მან სწორედ ამ გუნდში გაატარა, რის შემდეგაც „არსენალში" გადავიდა. ფორვარდი დღემდე ბაია ბლანკას „ოლიმპოს" ეკუთვნის და „მეთოფეებში" იჯარით არის გადასული.

ზოგადად, შეხვედრა ძალიან დაძაბული და უხეში გამოდგა - არბიტრმა **ლუის ალვარესმა** „სან ლორენსოს" ორი ფეხბურთელი გაუძევა და საინტერესოა, რომ სტუმრებმა სწორედ ამის შემდეგ შეძლეს დაწინაურება - თავი **იგნასიო პიატიმ** გამოიჩინა, თუმცა **ხუან ანტონიო პიცის** შეგირდების სიხარული მხოლოდ 2 წუთით გაგრძელდა.

ეს გუნდები ერთმანეთს რამდენიმე დღეში, ქალაქ კატამარკაში შეხვდებიან, სადაც არგენტინის თასის ფინალი უნდა გაიმართოს. ამ შეხვედრის გამარჯვებული თასთან ერთად, მომავალი წლის ლიბერტადორესის თასზე თამაშის უფლებასაც მიიღებს.

## ბოკამ დებიუტანტს ვერ მოუგო

„ბოკა ხუნიორსმა", რომელმაც წინა ტურში „სუპერკლასიკოში" იმარჯვა, „როსარიო სენტრალს" უმასპინძლა და ბოლოსწინა წუთზე გაშვებული გოლის გამო მხოლოდ ქულას დასჯერდა. სამართლიანობისთვის უნდა აღვნიშნოთ, რომ სტუმრები ქულას ნამდვილად იმსახურებდნენ. მეტიც, თუ ვინმეს ეკუთვნოდა მოგება, ეს პირველ რიგში სწორედ **მიგელ ანხელ რუსოს** გუნდზე ითქმის.

**კარლოს ბიანკის** შეგირდებმა ანგარიში შეხვედრის დებიუტში გახსნეს, მეორე ტაიმში კი „ბოკას" ფეხბურთელებს მეტოქის ნახევრისკენ აღარც გაუხედავთ, რითაც „როსარიომ" კარგად ისარგებლა - გოლამდე „სენტრალის" ფეხბურთელებმა რამდენიმე რეალური მომენტი ვერ გამოიყენეს, ორჯერ კი ბურთი მეტოქის კარის ძელსაც გაარტყეს. საბოლოოდ, დებიუტანტი 36 წლის **სებასტიან აბრეუმ** იხსნა, რომელსაც მცირე რიკოშეტიც დაეხმარა. აბრეუ ახალ გუნდს მშვენივრად შეეწყო - მის ანგარიშზე უკვე 4 გოლია და ის ...

## რასიზმს არაფერი შველის

ტატო ბაციაძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანიის ნაკრები



# დებიუტი სიბერეში

## სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს...

რომან ვაიდენფელერს გერმანიის ნაკრებში თამაში ელირსება

**რომან ვაიდენფელერი** ძალიან კარგი მეკარეა, რაშიც წლების მანძილზე არაერთხელ დავრწმუნებულვართ, მაგრამ გერმანელებს ყოველთვის ბევრი კარგი მეკარე ჰყავდათ, რის გამოც არაერთი მაღალი დონის გოლკიპერი დარჩენილა გერმანიის ნაკრებს მიღმა. დორტმუნდის „ბორუსიას" მეკარე კი უკვე 33 წლისაა და გერმანიის ნაკრებში არც ერთხელ არ უთამაშია - ჯერ **ოლივერ კანი** და **იენს ლემანი** იყვნენ, მერე **მანუელ ნოიერი** და **რენე ადლერი**, ვაიდენფელერი კი ბუნდესგუნდში მოხვედრას დიდ ტურნირებზე მესამე მეკარის რანგშიც კი ვერ ახერხებდა.

ახლა კი გაირკვა, რომ გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **იოახიმ ლიოვი** ვაიდენფელერს 15 ნოემბერს დაგეგმილ ამხანაგურ შეხვედრაში (იტალიასთან) გამოიძახებს, რაც იმას ნიშნავს, რომ რომანს ეროვნულ გუნდში დებიუტი 33 წლის ასაკში ექნება. აღსანიშნავია, რომ ასეთი გვიანი დებიუტი გერმანიის ნაკრებში მხოლოდ ორ ფეხბურთელს ჰქონია - თავის დროზე, ბუნდესგუნდში პირველი მატჩი **მარტინ მაქსმა** და **პაულ შტაინერმაც** 33 წლის ასაკში ჩაატარეს.

ამრიგად, ლიოვი იტალიასთან შეხვედრისთვის ვაიდენფელერსაც გამოიძახებს, რაც რომანისთვის გვიან დაფასებას ნიშნავს, მაგრამ როგორც იტყვიან, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. არადა, ვაიდენფელერი უკვე დიდი ხანია, მართლა ძალიან მაღალ დონეზე ასპარეზობს და გერმანელი ექსპერტების უმრავლესობის აზრით, ბუნდესნაკრებში გამოძახებას გაცილებით ადრე იმსახურებდა. ამას ეს ოთხი ფაქტი მოწმობს:

1. ჩემპიონთა ლიგის წინა გათამაშებაში რომან ვაიდენფელერმა დარტყმების 77 პროცენტი მოიგერია.

2. რომანმა ევროპის ელიტარულ საკლუბო ლიგაში 24 ე.წ. აუღებელი დარტყმიდან 14 აილო! სხვათა შორის, ამ კატეგორიაში მეორე ადგილზე „მალაგას" მეკარე ვილი გავიდა, რომელმაც მხოლოდ 5 „მკვდარი" ბურთის მოგერიება შეძლო.

3. 2010/2011 წლების სეზონიდან მოყოლებული ვაიდენფელერმა ბუნდესლიგის 103 შეხვედრაში მხოლოდ ორი უპატიებელი შეცდომა დაუშვა. შედარებისთვის, გერმანიის ნაკრების პირველ მეკარე **მანუელ ნოიერს** იმავე პერიოდში შვიდი (!) უპატიებელი შეცდომა მოუვიდა.

4. 2011/2012 წლების სეზონში ვაიდენფელერმა ბუნდესლიგაში მეტოქის რეალური საგოლე მომენტების 43 პროცენტი გააუვნებლა, რაც მის ბუნდესლიგურ კარიერაში რეკორდია.

ამ ყველაფრიდან გამომდინარე გამორიცხული არაა, რომ ლიოვმა ვაიდენფელერი ბრაზილიაში, მსოფლიოს ჩემპიონატზეც წაიყვანოს და ვერავინ იტყვის, რომ რომანმა ეს არ დაიმსახურა...

გერმანიის ნაკრების ყველაზე ასაკოვანი დებიუტანტები 1963 წლიდან

| სახ. გვ. | კლ. | ას. დებიუტ. |
|---|---|---|
| მარტინ მაქსი | მიუნხენ 1860 | 33.69 |
| პაულ შტაინერი | კიოლნი | 33.35 |
| მიხაელ პრეეტცი | ჰერტა | 31.47 |
| ოლივერ რეკი | ვერდერი | 31.27 |
| შტეფან კუნტცი | კაიზერსლაუტ. | 31.13 |
| მიხაელ შულცი | დორტმუნდი | 30.56 |
| ნორბერტ ედერი | ბაიერნი | 30.51 |
| ჰელმუტ როლედერი | შტუტგარტი | 30.47 |
| მიხაელ ცორკი | დორტმუნდი | 30.31 |
| პეტერ ნოგლი | ჰამბურგი | 30.11 |

გოტფრიდ ლენცი

ბაიერნი

# პეპის ბაიერნი იუპის ბაიერნს სჯობს?

აგერ უკვე რამდენიმე დღეა, რაც ინტერნეტში გავრცელდა და ძალიან პოპულარულია ვიდეო, რომელიც „მანჩესტერ სიტისა" და „ბაიერნის" მატჩის მეორე ტაიმის ერთ მონაკვეთს მოიცავს. 3 წუთისა და 9 წამის განმავლობაში, „სიტის" ფეხბურთელები „ბაიერნის" მოთამაშეებს ბურთს მხოლოდ ერთხელართმევენ და მაშინვე კარგავენ! ვიდეო თქვენც ნანახი გექნებათ, მაგრამ მათთვის, ვისაც არ უნახავს, ვიტყვით, რომ მიუნხენური გრანდი ბურთს იდეალურად ფლობს, ფეხბურთელები ერთმანეთს დროულად ეხსნებიან და უმეტესად ერთი შეხებით თამაშობენ, მანჩესტერელები კი აქეთ-იქით უაზროდ დარბიან და ბურთს ვერაფრით ეუფლებიან.

ვიდეოში ნათლად ჩანს, რომ **ხოსეპ გვარდიოლამ** „ბაიერნს" არა მარტო „ტიკი-ტაკა" ასწავლა, არამედ ეს სისტემა რეკორდმაისტერში კიდევ უფრო დახვეწა და „ბაიერნს" მისთვის უჩვეულო ფეხბურთს ათამაშებს. ამას არა მარტო ხსენებული ვიდეო, არამედ ზოგადად სტატისტიკური ფაქტებიც მოწმობს:

* ბუნდესლიგის მიმდინარე გათამაშების რვა ტურში „ბაიერნს" საშუალოდ ერთ შეხვედრაში ბურთის ფლობის 66.5-პროცენტიანი მაჩვენებელი ჰქონდა, რაც გერმანიის ჩემპიონატში, რა თქმა უნდა, საუკეთესო მაჩვენებელია. მეორე ადგილზე ამ კრიტერიუმში დორტმუნდის „ბორუსიაა" - 56.4 პროცენტით. შედარებისთვის, წინა სეზონში, ანუ, იუპ ჰაინკესის ხელში, როცა რეკორდმაისტერმა ბუნდესლიგა, ჩემპიონთა ლიგა და გერმანიის თასი მოიგო, ბავარიელებს საშუალოდ ერთ შეხვედრაში ბურთის ფლობის 60-პროცენტიანი მაჩვენებელი ჰქონდათ - ანუ, დღევანდელზე 6.5 პროცენტით ნაკლები.

* „ბაიერნის" ფეხბურთელებმა ამ სეზონში ჯამში 5 318 პასი გააკეთეს. შედარებისთვის, ბუნდესლიგაში ამ მხრივ მეორე ადგილზე მიონხენგლადბახის „ბორუსიაა" 4 410 პასით.

* ბუნდესლიგის განვლილ ტურში „ბაიერნმა" „ლევერკუზენთან" 1:1 კი ითამაშა, მაგრამ რეკორდმაისტერის ფეხბურთელებმა 90 წუთში 682 პასი გააკეთეს, ლევერკუზენელებმა კი მხოლოდ 171!

* ფაქტია, რომ „ბაიერნი" ამდენ პასს ადრე არასდროს აკეთებდა და თანაც, მიუნხენელებს არაზუსტი პასების უჩვეულოდ დაბალი მაჩვენებელი (13 პროცენტი) აქვთ. აღსანიშნავია, რომ პეპის „ბაიერნი" ამ მხრივაც ჯობნის **იუპ ჰაინკესის** „ბაიერნს". თუმცა საბოლოო ჯამში მწვრთნელისა და გუნდის ავკარგიანობა ტიტულებით იზომება, ტიტულები კი სეზონის ბოლოს უნდა დავითვალოთ...

გოტფრიდ ლენცი



ხოსეპ გვარდიოლას ხელში „ბაიერნი" ფეხბურთს უფრო ეფექტურად თამაშობს, მაგრამ მთავარი ტიტულებია, იუპ ჰაინკესმა კი „ბაიერნს" წინა სეზონში სამი მთავარი ტიტული მოაგებინა

ამბები

## ჯერდან შაჩირი დეკემბრამდე იუქმებს

ორიოდე დღის წინ გაუწყეთ, რომ „ბაიერნის" 22 წლის ნახევარმცველი **ჯერდან შაჩირი** შვეიცარიის ნაკრებიდან მიუნხენში ტრავმირებული დაბრუნდა. შაჩირი ალბანეთთან გამართულ მატჩში დაშავდა, რომელიც შვეიცარიელებმა ტირანაში 2:1 მოიგეს. გაირკვა, რომ შაჩირის გამოჯანმრთელებას 7 კვირა დასჭირდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ჯერდანი მიუნხენურ კლუბს დეკემბრამდე ველარ დაეხმარება.

## ვერდერი გარსიას გამოისყიდის?

სანტიაგო გარსია „ვერდერში" განათხოვრების წესით თამაშობს, მაგრამ ბრემენული კლუბის მთავარ, მწვრთნელ **რობინ დუტს** არგენტინელი მარცხენა მცველი იმდენად მოსწონს, რომ მისი კონტრაქტის სრულფასოვნად გამოსყიდვა გადაწყვიტა. „ვერდერს" მისი შეძენა საიჯარო ხელშეკრულებაში ჩადებული პუნქტის გამოყენებით შეუძლია. მენეჯერ **თომას აიხინის** თქმით, ბრემენელებს ამ პუნქტით სარგებლობა აპრილამდე შეუძლიათ და თუ ამას გააკეთებენ, **გარსიას** მფლობელ კლუბს, „ტალკას" (ჩილე) 2 მილიონი ევრო უნდა გადაუხადონ.

გოტფრიდ ლენცი

## ბრუნო მეტსიუ გარდაიცვალა



„ეკიპის" ცნობით, „ლილის", „ვალანსიენის", „ალ ვასლის", ყატარის, არაბთა გაერთიანებული საამიროებისა და სენეგალის ნაკრებების ყოფილი მთავარი მწვრთნელი **ბრუნო მეტსიუ** ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა. 59 წლის ფრანგს ონკოლოგიური პრობლემები ჰქონდა. მუსიე მეტსიუს სამჯერ დასჭირდა ოპერაცია, ასევე ქიმიური და სხივური თერაპიაც, თუმცა ამ ყველაფერმა შედეგი არ გამოიღო. ბოლო თვეების განმავლობაში ის მშობლიურ დიუნკერკში ცხოვრობდა და ამავე ქალაქის კლინიკაში მკურნალობდა. მეტსიუმ სახელი გაითქვა 2002 წელს სენეგალის ნაკრებთან მუშაობით, ვისთან ერთადაც მსოფლიოს ჩემპიონატის 1/4-ფინალში გააღწია.

## ვერმალენი წასვლაზე ალაპარაკდა



„ტელეგრაფისთვის" მიცემულ ინტერვიუში „არსენალის" 27 წლის ბელგიელმა ცენტრალურმა მცველმა **ტომას ვერმალენმა** განაცხადა, რომ სერიოზულად ფიქრობს 2014 წლის ზაფხულზე კლუბის შეცვლაზე. მისი პრობლემები არც გუშინ დაწყებულა და არც გუშინწინ. ფეხბურთელს ჯანმრთელობა დიდი ხანია შეერყა, თუმცა ტომასს „ემირეიტსზე" არც მას მერე ენდობიან, რაც სრული დატვირთვით განაახლა ვარჯიში. *„მწირი სათამაშო პრაქტიკა მსოფლიოს ჩემპიონატზე წასვლაში ნამდვილად ვერ დამეხმარება. ამ საკითხზე ვენგერს უკვე შევხვდი, თუმცა საჯაროდ დეტალებზე ლაპარაკს არ ვაპირებ. თუკი არაფერი შეიცვლება, იანვარში კიდევ ერთხელ მივუბრუნდები ამ თემას,"* - აცხადებს ფეხბურთელი, ვინც ფორმალურად ჯერ კიდევ გუნდის კაპიტნად მიიჩნევა.

## დემიჩელისი მზად არის





„მანჩესტერ სიტის" 32 წლის არგენტინელმა მცველმა **მარტინ დემიჩელისმა** ამ ზაფხულს მადრიდის „ატლეტიკო" ისე დატოვა, მისი ღირსება ერთხელაც არ დაუცავს. „ქალაქელებმა" „როხიბლანკოს" ვეტერანში 4 მილიონი ევრო გადაუხადეს. ფეხბურთელი „ეტიჰადზე" 31 აგვისტოს გამოჩნდა, თუმცა ისე მოხდა, რომ ტრავმის გამო ჯერ არც „სიტიში" უთამაშია. მას ამის შანსი უქმეებზე მიეცემა. მოგეხსენებათ, ბოლო ტურში „ევერტონთან" **ვენსან კომპანი** დაიმტვრა და მარტინს შესაძლოა, მისი შეცვლა დაევალოს. წინასწარ იმის მტკიცება, იქნება თუ არა ის ძირითადში, შეუძლებელია. **მანულ პელეგრინის** განკარგულებაში არიან **ჯოლეონ ლესკოტი** და **მატია ნასტასიჩიც**.

ლევან ბიბილაშვილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ. არსენ ვენგერი

# იოზილმა იცოდა, რომ არსენალში დიდხანს ელოდნენ

## შეიცვლება თუ არა მეთოფეთა პოლიტიკა?



„რა თქმა უნდა, დიდი პასუხისმგებლობაა, როცა ამხელა თანხას ხარჯავ, მაგრამ განსაკუთრებულ ზეწოლასაც ვერ ვგრძნობდი, რადგან ჩვენ გვქონდა ამის რესურსი"

**„არსენალის" ვებგვერდმა არსენ ვენგერთან მოზრდილი ინტერვიუ გამოაქვეყნა, სადაც 63 წლის ფრანგი რამდენიმე საინტერესო თემას შეეხო. ჩვენ მხოლოდ იმ ნაწილს შემოგთავაზებთ, რომელიც „მეთოფეთა" სატრანსფერო პოლიტიკას ეხება. ვენგერი არ გამორიცხავს, რომ „არსენალმა" იანვარში ახალი ფეხბურთელების დამატებაზე იფიქროს.**

**- მხოლოდ ნახევარი საათი რჩებოდა სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე, როცა გარიგება იოზილზე საბოლოოდ დადასტურდა. რატომ ასე გვიან?**

- იმიტომ, რომ ტრანსფერის ბედი გარეთ ბეილისა და „რეალის" მიერ დასადებ სხვა გარიგებებზე იყო დამოკიდებული. მაშინ, როცა მადრიდელებს პირველად დავუკავშირდით, ეს საკითხი ჯერაც ჰაერში იყო გამოკიდებული. „სამეფო კლუბი" კარლო ანჩელოტის გადაწყვეტილებას ბოლო მომენტამდე ელოდა. „არსენალს" გარკვეული უპირატესობა ჰქონდა. იოზილის ყიდვა მე ჯერ კიდევ სამი წლის წინ მინდოდა, მაგრამ მაშინ ფეხბურთელმა გამომიცხადა, რომ „რეალში" წასვლა ჰქონდა გადაწყვეტილი. ასე რომ, მესუთმა იცოდა, რომ მის თამაშს უკვე დიდი ხანია, ვაკვირდებოდი.

**- „არსენალმა" ორჯერ და მეტად გადააჭარბა საკუთარ სატრანსფერო რეკორდს. ალბათ განსაკუთრებით ფრთხილად მოქმედებდით, როცა სოლიდურ თანხას იხდიდით.**

- რა თქმა უნდა, ამხელა ფულის გადახდა ერთ ფეხბურთელში საპასუხისმგებლო ნაბიჯია. მეორე მხრივ, განსაკუთრებულ ზეწოლასაც ვერ ვგრძნობდი, რადგან ჩვენ გვქონდა ამის რესურსი. აი, რამდენიმე წლის წინ კი ამას ვერ შევწვდებოდით, რადგან უბრალოდ არ გაგვაჩნდა საშუალება. იმ დროს, როცა ახალ სტადიონს ვაშენებდით, ტრანსფერებს განსაკუთრებულად ვეკიდებოდით, რათა არ გავკოტრებულიყავით. მას მერე ბევრი რამ შეიცვალა და თუკი ფული გვექნება, მას აუცილებლად დავხარჯავთ.

**- ნიშნავს თუ არა ეს, რომ სატრანსფერო პოლიტიკა შეიძლება შეიცვალოს?**

- არა, ჩვენი ფილოსოფია არ შეცვლილა. ძველებურად მინდა, რომ გუნდში საუკეთესო მოთამაშეები მყავდეს, მაგრამ საუკეთესოები ადეკვატური და ხელმისაწვდომი ფასიდან გამომდინარე. „არსენალის" საფეხბურთო ფილოსოფია და კულტურა გუნდშივე იბადება. ასე იბადებიან ჩვენში უილშირი, რემსი, გიბსი და სხვები.

**- 1-2 ტოპტრანსფერს თუ შეიძლება ველოდეთ ყოველი სეზონის წინ?**

- თუკი დაგვჭირდება, დიახ. ფეხბურთელებს მარტო მარკეტინგული მიზნით არ შევიძენთ. უპირველესად გუნდის ინტერესებიდან გამოვალთ.

**- იოზილი მორიგი გერმანელია კლუბის სისტემაში.**

- და ეს დაკავშირებულია მხოლოდ ფეხბურთელის კლასთან. გერმანიაში ნამდვილად ბევრ მაღალი დონის მოთამაშეს ზრდიან. შეხედეთ მათ ნაკრებს, რომელიც 2-3 წლის წინანდელ ესპანეთს ჰგავს. თვალის დახამხამებაში წამოიზარდნენ გიოტცე, დრაქსლერი და კროოსი. ბუნდესგუნდს ყოველ პოზიციაზე 2-3 ძლიერი კანდიდატი ჰყავს. თუკი გერმანია ყურადღებას იქცევს, მხოლოდ ხარისხის გამო. თანაც ამ ქვეყნის წარმომადგენლები იოლად ახერხებენ ადაპტაციას. ისინი უფრო ჩრდილოეთ ქვეყნების წარმომადგენლებს მაგონებენ. შესაბამისად რისკიც ნაკლებია, როცა ფეხბურთელი სამშობლოდან უკვე წასულია, ისე, როგორც ეს იოზილის შემთხვევაში იყო.

**- ფეხბურთელის ყიდვა ახლა უფრო რთულია, ვიდრე 10 წლის წინ, არა?**

- დიახ, ვერ უარვყოფ.

**- იანვრის ფანჯრის გახსნამდე სპეკულაციები უკვე დაიწყო. თქვენ თუ ფიქრობთ ამ თემაზე?**

- საფეხბურთო ტრანსფერები ნამდვილად არ არის ის, რაც ყველაზე მეტად მიზიდავს. ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია იმის ყურება, როგორ თამაშობს გუნდი, თუმცა ესეც ჩემი საქმის ნაწილია და იძულებული ვარ, ხელი მოვკიდო. არ გამოვრიცხავ, ჩვენც გავაქტიურდეთ ბაზარზე. ამასთან, არ მინდა, „არსენალის" მიმართ ყურადღება გავამძაფრო. მოდი, კონცენტრაცია მხოლოდ ფეხბურთზე გადავიტანოთ.

ამბები



### ლამელას დრო სჭირდება

„ფუტბოლ იტალიისთვის" მიცემულ ინტერვიუში „ტოტენჰემის" 21 წლის შემტევმა ნახევარმცველმა **ერიკ ლამელამ** ინგლისურ ფეხბურთთან ადაპტაციის პრობლემებზე ილაპარაკა. არგენტინელის თქმით: „ვიცოდი, რომ ინგლისში სულ სხვა ფეხბურთი დამხვდებოდა, თუმცა იმისთვის, რასაც შევეჩეხე, მზად ვერ ვიქნებოდი. გუნდები აქ უფრო ძალისმიერ სტილში თამაშობენ, ტაქტიკას კი იმაზე ნაკლებ ყურადღებას აქცევენ, ვიდრე იტალიაში. ფეხბურთელები უფრო ბრძოლისუნარიანები არიან, რასთან შესაგუებლადაც დრო ჯერ კიდევ დამჭირდება. მესმის, რომ ეს რაც შეიძლება სწრაფად უნდა მოვახერხო, თუკი არგენტინის ნაკრებთან ერთად მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში მინდა".

### მაკედა ესპანეთში?

„მანჩესტერ იუნაიტედის" თავდამსხმელმა **ფედერიკო მაკედამ** ჩემპიონშიპის „დონკასტერში" გატარებული ერთი თვე საფუძვლიანად (5 შეხვედრა, 3 გოლი) გამოიყენა და საფეხბურთო სამყაროს საკუთარი არსებობის შესახებ შეახსენა. დღეს 16 ოქტომბერს იტალიელის საიჯარო ხელშეკრულებას ვადა გასდის და 22 წლის თავდამსხმელი „ეშმაკებს" დაუბრუნდა, სადაც თამაშის შანსი ისევ არ ექნება. პრემიერლიგის გამარჯვებულებს ესპანურმა „რაიო ვალეკანომ" მოთამაშის იჯარით დათმობა სთხოვა. სეზონის ბოლოს მაკედა თავისუფალი აგენტი ხდება, ასე რომ, გამორიცხული არ არის **დევიდ მოიესი** მადრიდელთა შეთავაზებას დათანხმდეს კიდეც.

ვარსკვლავი

# ბერის როლი გუდისონ პარკზე

„მანჩესტერ სიტიდან" ცენტრალური ნახევარმცველების სიჭარბეს გაქცეულმა 32 წლის **გარეთ ბერიმ** „ევერტონში" იპოვა თავშესაფარი და შესანიშნავადაც ათამაშდა. ის, რომ ასაკის მიუხედავად თამაში ჯერ კიდევ მაღალ დონეზე შეუძლია, ფეხბურთელმა „ჩელსისთან" IV ტურის შეხვედრაშივე დაამტკიცა. იმ დღეს მან ლონდონელ მეტოქეებს თავბედი აწყევლინა და საკუთარი გუნდის გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანა. ფეხბურთელს იმედი ჰქონდა, რომ ფორმაში შესულს **როი ჰოჯსონი** ნაკრებში დააბრუნებდა, თუმცა ჩერნოგორიასთან და პოლონეთთან შეხვედრებისთვის ის განაცხადს მიღმა აღმოჩნდა. ამ დღეებში ბერიმ პრაქტიკულად დაადასტურა, რომ საიჯარო ხელშეკრულების დასრულების შემდეგაც „გუდისონ პარკზე" გეგმავს დარჩენას.

ბერის „სიტისთან" ხელშეკრულება მომავალი წლის ზაფხულში უმთავრდება, ვადის ამოწურვამდე 6 თვით ადრე კი ფეხბურთელს საკუთარი სურვილისამებრ შეუძლია დაინტერესებულ კლუბებთან მოლაპარაკებების წამოწყება. როგორც ჩანს, „ევერტონთან" წინასწარ კონტრაქტზე ხელის მოწერას ის იანვარში გეგმავს: *„ევერტონში" გადასვლა ჩემთვის მხოლოდ მეორე ტრანსფერია კარიერაში. თავის დროზე „სიტიში" ფეხის მოსაკიდებლად დიდი დრო დამჭირდა, „ევერტონში" კი ყველაფერს იოლად ავუღე ალღო. აქაურები თბილად შემხვდნენ. ამასთან, ჩემი სტილის ფეხბურთელი მთავარ მწვრთნელსაც სჭირდება. ხოლო როცა შრომას გიფასებენ, ყოველთვის სასიამოვნოა. მეც მომწონს ის როლი, რომელსაც აქ ვასრულებ და შესაბამისად, ბედნიერი ვიქნები, თუკი დარჩენის შანსი მომეცემა".*



გარეთ ბერი

კარდიფ სიტი



იან მუდი (მარცხნივ) და მალკი მაკაი

# მაკაი რჩება... ჯერჯერობით

„კარდიფის" მესაკუთრემ, მალაიზიელმა ბიზნესმენმა **ვინსენტ ტანმა** რამდენიმე დღის წინ არაადეკვატური ნაბიჯი გადადგა. ისე, რომ მთავარი მწვრთნელის, **მალკი მაკაისთვის** რჩევა არ უკითხავს, გაათავისუფლა სპორტული დირექტორი **იან მუდი**. მის ნაცვლად კი პოსტი ტანის უფროსი ვაჟის მეგობარმა, 23 წლის ყაზახმა **ალიშერ ასპალიამოვმა** ჩაიბარა. ცხადია, პრესა დაინტერესდა, ვინ არის ასპალიამოვი და რას წარმოადგენს. აღმოჩნდა, რომ ის აქამდე ტანის საფეხბურთო მრჩევლად მუშაობდა. მუდი მაკაის არა უბრალოდ კარგი მეგობარი, არამედ მისი უპირველესი მრჩეველი იყო. ცხადია, მილიარდერის დაუფიქრებელმა გადაწყვეტილებამ კლუბში სიტუაცია დაძაბა. მაკაის მხარდამჭერი განცხადებები გააკეთეს „კარდიფის" წამყვანმა ფეხბურთელებმა. პირველი, ვინც მწვრთნელს თანადგომა გამოუცხადა, **კრეიგ ბელამი** იყო. ორშაბათს, კლუბის ოფისში სპეციალური შეკრება გაიმართა, რომელიც ხუთ საათს გაგრძელდა. ერთადერთი, რაც გაირკვა არის ის, რომ მალკი მაკაი პოსტზე რჩება.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**



სასტენდო სროლა

# განახლებულ სასროლეთზე



მარცხნიდან: პავლე ლაკია, დავით ქვათაძე, გივი შენგელია

დედაქალაქის ჩემპიონატი მრგვალ სტენდზე სროლაში 16 სპორტსმენის მონაწილეობით თბილისის განახლებულ სასტენდო სასროლეთზე გაიმართა მერიის სპორტის სამსახურის ხელშეწყობით. გამარჯვებული უფროს ასაკში გამოვლინდა დამატებითი სროლის შემდეგ. თავდაპირველად საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატებმა **დავით ქვათაძემ** და **გივი შენგელიამ** 125 შესაძლებლობიდან 111-111 სამიზნე დააზიანეს. ბოლოს გამარჯვება ქვათაძეს დარჩა. მესამე ადგილზე გავიდა სპორტის ოსტატი **პავლე ლაკია**, რომელიც თბილისში სპეციალურად ამ შეჯიბრებისთვის ჩამოვიდა მოსკოვიდან. აქაც დამატებითმა ჯერმა გამოავლინა მესამე პრიზიორი. ლაკიამ და **მამუკა ზარაფიშვილიმა** 125-დან 109-109 ქულა მოაგროვეს.

ახალგაზრდებს შორის თბილისის ჩემპიონი გახდა **ირაკლი ლომიძე** 102\125-დან, მეორე ადგილი წილად ხვდა **თენგიზ იმნაიშვილს** 97\125-დან, მესამე იყო **ვლადიმერ ნარჩემაშვილი** 94\125-დან.



მარცხნიდან: თენგიზ იმნაიშვილი, ირაკლი ლომიძე, ვლადიმერ ნარჩემაშვილი

მშვილდოსნობა

# ჭაბუკების ჩინური სტარტი

ჩინურ ვუქსში ორშაბათს დაიწყო ახალგაზრდა და ჭაბუკ მშვილდოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატი, თუმცა მასში ჩვენები მხოლოდ გუშინ ჩაებნენ. ჩინეთში საქართველოდან 4 სპორტსმენი გამოდის, ოთხივე 16-წლამდელთა ტურნირში: **ვლადიმერ დოლიძე, დავით მიხელიძე, ანა დუმბაძე** და **ნინო ჯვარშეიშვილი.**

გუშინ სწორედ ჭაბუკთა საკვალიფიკაციო ეტაპი გაიმართა, თუმცა ჩვენებმა არც ისე წარმატებით იასპარეზეს. ბიჭებში დოლიძე 114 მონაწილეს შორის 95-ე ადგილზეა 1146 ქულით, ბევრად უფრო გამოუცდელი მიხელიძე კი 1015-ით – 112-ე. გოგოები ცხრილში ერთმანეთის მეზობლად განლაგდნენ იმის მიუხედავად, რომ შედეგებში საკმაოდ დიდი სხვაობაა – დუმბაძემ 1120 ქულა დააგროვა, რაც 85 მონაწილეს შორის 78-ე შედეგია, ჯვარშეიშვილმა კი 1107 ქულით დაასრულა ტურნირი და 79-ეა.

სამწუხაროდ, ჩვენები ძალიან ჩამორჩებიან ლიდერებს. მაგალითად, გოგოებში კორეელმა **იური იეონმა** 1351 ქულით გაიმარჯვა, ბიჭებში მოწინავე ჩინელ **ჭივეი ჰუს** კი 1308 ქულა აქვს. თუმცა ლიდერები იქით იყოს და დოლიძე საკუთარ შედეგებსაც გვარიანად ჩამორჩა – მაისში მან ლიუბლიანაში თანატოლთა ევროპის თასზე 1199 ქულა დააგროვა, ივლისში ბუქარესტში ანალოგიურ შეჯიბრებაზე კი სულაც 1213-ით დაასრულა გამოსვლა. ამ მხრივ დუმბაძეს, პირიქით, მნიშვნელოვანი პროგრესი აქვს – სლოვენიაში 1052 ქულა ჰქონდა, რუმინეთში – 1054. თან გავითვალისწინოთ, რომ ის ჯერ მხოლოდ 14 წლისაა. რაც შეეხება დანარჩენ ორს, მათ ჯერ უცხოეთში ამდენიც არ უასპარეზიათ. ამ ოთხეულმა ოლიმპიური კომიტეტის დაფინანსებითა და დიდი მხარდაჭერით შეკრებაც გაიარა, თუმცა, შესაძლოა, ჩავარდნის მიზეზი ახალი იარაღი იყოს – ის ზედ შეჯიბრებაზე წასვლის წინ მიიღეს და მოსარგებად, ადაპტაციისთვის დრო არ ჰქონდათ. ბუნებრივია, დუმბაძის პროგრესიც გასათვალისწინებელია, მაგრამ ყველაფერი ინდივიდუალურია ანუ იქნებ მან უფრო იოლად აუღო ალღო.

ჩვენი ბიჭებიდან პლეი ოფში მხოლოდ დოლიძე გავიდა, რომელიც 1/48-ედფინალში ტაივანელ **ჩინ-ტანგ ლეეს** ხვდება, რომელმაც შესარჩევი მე-18 შედეგით დაამთავრა. გოგოებიდან ორივე გავიდა პლეი ოფში. 1/48-ედფინალში ჯვარშეიშვილს საკვალიფიკაციოში 34-ზე მყოფი უკრაინელი **სოლომია გნიპი** ერგო, დუმბაძეს – 35-ზე გასული ებრაელი **მაია რაისინი**. პლეი ოფები დღეს გაიმართება.

ბუნებრივია, ჩვენები გუნდურ ტურნირში ვერ მონაწილეობენ – საამისოდ 3 სპორტსმენი უნდა გყავდეს ცალკეულ სქესში. აი, შერეულ წყვილებში გამოსვლის შანსი ჰქონდათ, მაგრამ პლეი ოფში ვერ მოხვდნენ – დოლიძისა და დუმბაძის დუეტს 2266 ქულა დაუგროვდა, რაც მხოლოდ და მხოლოდ 31-ე შედეგი აღმოჩნდა.

ჩვენებისთვის უმნიშვნელოვანესი დღე 18 ოქტომბერი იქნება, როცა გაისად ჩინურ ნანჯინგშივე გასამართი ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების სალიცენზიო ტურნირი გაიმართება. იქ მხოლოდ უსაგზუროდ დარჩენილი ქვეყნები მიიღებენ მონაწილეობას, ლიცენზიას კი 27-27 ქვეყანა მიიღებს გოგოებშიც და ბიჭებშიც, ოღონდ თითოზე მხოლოდ თითო საგზურია გათვალისწინებული. იმედია, ამ 27-ში ჩვენებიც მოხვდებიან.

ირაკლი თავაძე

ძიუდო. ახალგაზრდული ნაკრები

# გუგავამ გუნდი შეავსო



გორში შეკრებაზე მყოფმა ახალგაზრდა ვაჟ ძიუდოისტთა ნაკრებმა საკონტროლო შეხვედრები გამართა და საბოლოოდ გაირკვა ვაკანტურად დარჩენილი ბოლო ორი წონის საკითხიც – ლიუბლიანაში, 20-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატზე წასვლის უფლება 55 კილოგრამში ევროპის ვიცე-ჩემპიონმა **ლერი ჭელიძემ** მოიპოვა, 66-ში – **გელა კელიხაშვილმა**. ჭელიძეს კონკურენციას გიორგი საჩალელი უწევდა, 66-ში კი წინააღმდეგობა ბევრად მძაფრი იყო – ბოლო სანაკრებო ადგილზე პრეტენზიას კელიხაშვილის გარდა, **ანდრო ბერუაშვილი** და **ტრისტან ფეიქრიშვილიც** აცხადებდნენ. უფრო ალსანიშნავიც აქ განვითარებული მოვლენებია – ფეიქრიშვილი უფროსებში საქართველოს მოქმედი ჩემპიონი და თბილისის საერთაშორისო ტურნირის მესამე პრიზიორია, თუმცა აგერ, ახალგაზრდულ ნაკრებშიც ვერ მოხვდა. ეს ფაქტი კელიხაშვილის წარმატებას კიდევ უფრო ფასეულს ხდის.

აღსანიშნავია, რომ ერთი თვის წინათ, სარაევოში, ევროპის პირველობაზე სწორედ ამ ორ წონაში – 55-სა და 66-ში არ გვყავდა მონაწილე, სლოვენიაში კი ასეთი 60 კილოგრამი იქნება.

ლიუბლიანაში სხვა წონებში საასპარეზოდ ახალგაზრდული გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **გია გუგავამ** შემადგენლობა ადრევე შეარჩია: **ლევან გუგავა, ფრიდონ გიგანი** (ორივე - 73), **ბექა დონლვანი** (81), **ბექა ლვინიაშვილი, ლაშა ტაველური** (ორივე - 90), **გურამ თუშიშვილი** (100), **ლევან მატიაშვილი, გიორგი ზაქარიაძე** (ორივე - +100). ამდენად, გუგავამ კვოტა სრულად გამოიყენა და სლოვენიაში მაქსიმალური რაოდენობა – 10 კაცი მიჰყავს. ამათგან ევროპის პირველობაზე მხოლოდ გიგანსა და დონლვანს არ უჭიდავიათ. ლვინიაშვილი და თუშიშვილი სარაევოში ჩემპიონები გახდნენ, მატიაშვილი მეორეზე გავიდა, გუგავა და ზაქარიაძე – მესამეზე.

გორში შეკრება ჯერაც გრძელდება, როგორც – საკონტროლო შეხვედრები. მსოფლიოს პირველობა ოთხ დღეს გრძელდება და გუგავამ საშეჯიბრო ატმოსფეროს შესაქმნელად საკონტროლოებიც ამდენივე დღეზე გაადანაწილა. ის 18 ოქტომბერს დამთავრდება, მეორე დღეს კი ნაკრები თბილისში დაბრუნდება. უკვე 20 ოქტომბერს სლოვენიაში გაემგზავრებიან. მსოფლიოს ჩემპიონატი იქ 23-27 ოქტომბერს ტარდება. აქედან პირველი ოთხი დღე პირად პირველობას დაეთმობა, 27-ში კი გუნდური პირველობა ტარდება, რაც პირველი შემთხვევაა მსოფლიოს ახალგაზრდული პირველობების ისტორიაში.

შეგახსენებთ, რომ ამ ასაკში მსოფლიოს ჩემპიონატი შარშან ოლიმპიადის გამო არ გამართულა, 2011 წელს კი კეიპტაუნში გამართულ ანალოგიურ შეჯიბრებაზე გუგავას შეგირდებმა 3 ბრინჯაო მოიპოვეს. ერთი მათგანი მომავალი ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონი **ლაშა შავდათუაშვილი** (66) იყო, ვისაც მომავალ მესამე პრიზიორთან, კორეელ **დონგ კიო ლეესთან** უფრო მათემატიკაში წააგებინეს, ვიდრე ძიუდოში – მსაჯმა ვითომ არასწორი ჩავლებები დაუთვალა და ისეთი საჭოჭმანო გადაწყვეტილებები მიიღო, დღემდე საკამათოა, რითაც ჩვენებურს სეზონში დუბლის გაკეთების საშუალება არ მისცა. კეიპტაუნში დანარჩენ მედლებს **გიორგი მესაბლიშვილი** (55) და ბექა ლვინიაშვილი დაეუფლნენ, ოღონდ ეს მაშინ ჯერ კიდევ ჭაბუკთა ნაკრების წევრი იყო და 81 კილოგრამში გამოდიოდა.

ირაკლი თავაძე

კრივი

# მეორე დანაკლისი

ალმათიში (ყაზახეთი) გრძელდება მოკრივეთა მსოფლიოს ჩემპიონატი. ქართველთაგან გუშინ რინგზე გავიდა ფოთელი **გიორგი გოგატიშვილი** (60), რომელმაც პუერტორიკოელ დანიელიტო დე ლა როსას სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწია, 0:3 დამარცხდა და შეჯიბრებას გამოეთიშა.

დღეს მედლებისთვის ბრძოლაში ჩაებმება ევროპის ბრინჯაოს პრიზიორი **ზაალ კვაჭატაძე** (თბილისი, 69), რომელიც თარინდუ გედრას (შრი-ლანკა) დაუპირისპირდება. წარმატების შემთხვევაში მეორე წრეში პირველ ნომრად განთესილ ფრედი ევანსს (უელსი) შეხვდება. მომდევნო ეტაპზე გასასვლელად იბრძოლებს **იაგო კიზირია** (თბილისი, 81). მისი მეტოქეა გერმანელი სერგ მიხელი. გამარჯვებული 20 ოქტომბერს კუბელ ხულიო პერაზასთან გაარკვევს ურთიერთობას.

ვაჟა დანელია



ჭადრაკი

# ნონა, ნინო, თამარი და სხვები

ხორვატიულ რიეკში 12-დან 23 ნოემბრამდე ვეტერან მოჭადრაკეთა მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართება. ქალებში დღეისთვის 31 მოჭადრაკეს აქვს გამოთქმული შეჯიბრებაში მონაწილეობის სურვილი. რეიტინგფავორიტია ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონი **ნონა გაფრინდაშვილი** (2312). ქართველთაგან მასთან ერთად ითამაშებენ **თამარ ხმიადაშვილი** და **ნინო მელაშვილი.** ჩვენებურებს მეტოქეობას გაუწევენ წარსულში სახელოვანი დიდოსტატები და საერთაშორისო ოსტატები - გალინა სტრუტინსკაია, ელენა ფატალიბეკოვა, სვეტლანა მედნიკოვა (სამივე-რუსეთი), ინგრიდ ლაუტერბახი (ინგლისი), მარიტა ბელცი (გერმანია) და სხვები.

მამაკაცებში რეიტინგფავორიტია ანატოლი ვაისერი (საფრანგეთი, 2523). აქ ქართველთაგან სერგო ცომაია ითამაშებს.

## მთავარი პრიზი გაიყვეს

თბილისის ჭადრაკის სასახლეში ორ დღეს გრძელდებოდა სწრაფ ჭადრაკში ქალთა გრან პრის გათამაშების დასკვნითი ეტაპი. პირველი დღის შემდეგ 3.5-3.5 ქულით **ლელა ჯავახიშვილი** და **ნინო ბაციაშვილი** მეწინავეობდნენ. ბოლო ოთხ ტურში მათ თანაბარი ქულები მოაგროვეს და საბოლოოდაც პირველი-მეორე ადგილები გაინაწილეს. 5 ქულით მესამე ადგილზე **მერი არაბიძე** გავიდა. 4.5-4.5 ქულით მეოთხე-მეხუთე ადგილები, შესაბამისად, **ნინო ხურციძეს** და **სალომე მელიას** ერგოთ.

## მეშვიდე ადგილით

არლინგტონში (აშშ) დამთავრდა მოჭადრაკეთა დიდი საერთაშორისო ტურნირი- Continental Class 2013 (საპრიზო ფონდი 40.000 დოლარი), რომლის მთავარ ტურნირში სხვადასხვა ქვეყნის 33 წარმომადგენელი იბრძოდა საპრიზო ადგილებისთვის. მათ შორის იყო ქართველი დიდოსტატი **მიხეილ კეკელიძე.** ბოლო ტურში მან რაჯა პანჯვანი (კანადა) დაამარცხა და 5,5 ქულით მეშვიდე ადგილზე გავიდა. 9 შესაძლებლიდან 7 ქულით პირველი ადგილი ალექსანდრ შამალოვმა დაიკავა და მთავარი პრიზი - 4.000 დოლარიც მას ერგო. 6,5-6,5 ქულით მეორე-მესამე ადგილები ალექსანდრ რახმანოვმა (რუსეთი) და ლეონიდ გერჟოიმ (კანადა) გაინაწილეს.

ვაჟა დანელია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხსოვნა. გიორგი ავალიშვილი-90

# დიდი პიროვნება და აღმზრდელი

**გიორგი ავალიშვილი** დაიბადა 1913 წლის 16 ოქტომბერს თბილისში. ჯერ ტანვარჯიშით იყო გატაცებული, მერე ბედი კალათბურთს დაუკავშირა და უკანასკნელ ამოსუნთქვამდე არ უღალატია მისთვის. სხვადასხვა დროს უნივერსიტეტის „მედსანშრომის", „ნაუკას" და თბილისის „დინამოს" ღირსებას იცავდა. 1938 წელს სპორტის ოსტატი გახდა.

1941-1945 წლებში მეორე მსოფლიო ომის ქარცეცხლიც გამოიარა და მედლებითა და ორდენებით მკერდდამშვენებული დაუბრუნდა „დინამოს", რომელსაც ჯერ შოთა ახვლედიანი, შემდეგ კი შალვა დიასამიძე ავარჯიშებდა. ოთხიოდე წელიწადში თავად ჩაუდგა გუნდს სათავეში. მისმა შეგირდებმა 1950 წელს მოიპოვეს პირველად საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ოქროს მედლები.

მსგავს წარმატებას 1953-54 წლებშიც მიაღწიეს. გიორგი ავალიშვილს 1955 წელს — სპორტის დამსახურებული ოსტატის, ერთი წლის შემდეგ კი საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიენიჭა.

1968 წელს ლევან ინწკირველთან ერთად „დინამო" მეოთხედ აიყვანა საკავშირო ჩემპიონატის კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე. ბატონი გიორგის ხელმძღვანელობით ქართველმა კალათბურთელებმა ორჯერ საკავშირო თასი დაისაკუთრეს, თითოჯერ სსრკ ჩემპიონატის ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები ხვდათ, ევროპის ჩემპიონთა თასის ფინალში გავიდნენ, 10 ქალაქის ნაკრებთან ტურნირში გაიმარჯვეს. ყველაზე დაუვიწყარი მაინც ის არის, რომ საბჭოთა კავშირის ხალხთა მეორე სპარტაკიადაზე 1959 წელს სამმა ქართველმა ხუთი ლატვიელი კალათბურთელი დაამარცხა და გუნდს საბოლოოდ ვერცხლის მედალი ერგო. 1970 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე ბავშვთა საკალათბურთო სკოლა „ნორჩ დინამოელს" ხელმძღვანელობდა.

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე (1971) თბილისის სპორტკომიტეტმა სპორტის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის 1984 წელს დიდი ოქროს მედლით დააჯილდოვა.

უაღრესად პატიოსანი, საქმის მოყვარული, ინტელიგენტი და ინიციატივიანი კაცი გახლდათ ბატონი გიორგი. ისეთ ოჯახში აღიზარდა, მისი ამგვარი თვისებები არც არის გასაკვირი. მამა - ერეკლე მეორის პირდაპირი შთამომავალი - ივანე ავალიშვილი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების აქტიური წევრი იყო. შესანიშნავ პედაგოგს, მთარგმნელსა და საზოგადო მოღვაწეს ახლო ურთიერთობა ჰქონდა ილია ჭავჭავაძესთან, იაკობ გოგებაშვილთან, ვაჟა-ფშაველასთან, პავლე ინგოროყვასა და სხვა ცნობილ პიროვნებებთან.

ასეთ გარემოცვაში დავაჟკაცებულ გიორგი ავალიშვილს ბავშვობიდანვე ჰქონდა შესისხლხორცებული სამშობლოს და საქმის სიყვარული. ნიჭმა, შრომისმოყვარეობამ და ცოტა იღბალმაც განაპირობა მისი მიღწევები. ალბათ, იშვიათია კალათბურთის მწვრთნელი, ვისაც ამდენი წარმატება მოეპოვებინოს.

ყოველივე ზემოაღნიშნული მხოლოდ სტატისტიკა როდია - მის უკან იდგა ფუტკარივით მშრომელი, სპეტაკი, უკონფლიქტო, მაღალი მორალისა და ზნეობის პიროვნება გიორგი ავალიშვილი, რომელსაც პატივს სცემდნენ მთელ საბჭოეთში, როგორც უზადო მწვრთნელსა და ღირსეულ პიროვნებას. მის შესახებ კალათბურთის ცნობილი სპეციალისტი ალექსანდრე გომელსკი წერდა: „გიორგი ავალიშვილის სახელი ოქროს ასოებითაა ჩაწერილი როგორც ქართული, ისე საბჭოთა კალათბურთის ისტორიაში. იგი იყო ლეგენდარული პიროვნება, რომელმაც შეძლო, სხვადასხვა დროს ერთ მუშტად შეეკრა სხვადასხვა თაობის სპორტსმენები და მნიშვნელოვანი წარმატებებისთვის მიეღწია. მე ახლოს ვიცნობდი გიორგი ავალიშვილს, როგორც უიშვიათესი ტალანტის მქონე მწვრთნელსა და გულისხმიერ პიროვნებას, რომელმაც უდიდესი წვლილი შეიტანა ქართული და, საერთოდ, საბჭოთა კალათბურთის განვითარებაში. მან დაიმსახურა უდიდესი სიყვარული და მისი სახელი არდავიწყების ღირსია. მან გააკეთა ის, რაც ტარასოვმა ჰოკეიში, ალექსეევმა კი - ძალოსნობაში. ამგვარი რამ ყველას როდი შეუძლია. ეს მხოლოდ რჩეულთა ხვედრია".



ბატონმა გიორგიმ კალათბურთელთა თაობები აღზარდა და რაც მთავარია, თითოეულს ცხოვრებისა და ადამიანებთან ურთიერთობების პირადი მაგალითით ჩაუნერგა ის საუკეთესო თვისებები, რითაც პიროვნება ღირსეულ მოქალაქედ ყალიბდება. ამას ერთხმად ადასტურებენ მისი ყოფილი შეგირდები.

ენაუთქმელი კაცი გახლდათ ბატონი გიორგი. ახლობლებსაც არაფერზე აწუხებდა. უკურნებელმა სენმა ხუთი წელიწადი ლოგინს მიაჯაჭვა, მაგრამ, როგორც მისი ქალიშვილი ქალბატონი ქეთევანი ამბობს, უხმოდ იტანდა ტკივილს, სახეზე არაფერს იმჩნევდა. ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, მისი წუწუნი და გოდება არავის გაუგონია.

გიორგი ავალიშვილი 1986 წლის 12 ივლისს გარდაიცვალა.

***საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია***

®

# ყურადღება!

**საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი 2013 წლის 16 ოქტომბრიდან აცხადებს კონკურსს აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად შემდეგ ფაკულტეტებზე:**

**1. მწვრთნელთა ფაკულტეტი;**
**2. ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტი;**

კონკურსი ტარდება სწავლების პირველ საფეხურზე (საბაკალავრო პროგრამები). კონკურსი ცხადდება შემდეგ აკადემიურ თანამდებობებზე:

**1. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის თეორიის, მეთოდიკის, მენეჯმენტისა და ისტორიის დეპარტამენტი:**

**ა) ფიზიკური აღზრდის თეორია და მეთოდიკა:**
პროფესორი - 2 (ორი) საშტატო ერთეული
ასოცირებული პროფესორი - 2 (ორი) საშტატო ერთეული
ასისტენტ-პროფესორი - 2 (ორი) საშტატო ერთეული

**ბ) ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ისტორია:**
პროფესორი - 1 (ერთი) საშტატო ერთეული
ასისტენტ - პროფესორი - 1 (ერთი) საშტატო ერთეული

**გ) სპორტის მენეჯმენტი:**
ასოცირებული პროფესორი - 1 (ერთი) საშტატო ერთეული
ასისტენტ - პროფესორი - 1 (ერთი) საშტატო ერთეული

**დ) სპორტისა და ტურიზმის სამართალი**
ასოცირებული პროფესორი - 1 (ერთი) საშტატო ერთეული

**2. პედაგოგიკის, ფსიქოლოგიისა და სოციოლოგიის დეპარტამენტი**

**ა) პედაგოგიკა:**
პროფესორი - 1 (ერთი) საშტატო ერთეული
ასოცირებული პროფესორი - 1 (ერთი)საშტატო ერთეული

**ბ) ფსიქოლოგია:**
პროფესორი - 1(ერთი) საშტატო ერთეული
ასოცირებული პროფესორი - 1(ერთი) საშტატო ერთეული

**გ) სოციოლოგია:**
ასოცირებული პროფესორი - 1 (ერთი) საშტატო ერთეული
ასისტენტ-პროფესორი - 1 (ერთი) საშტატო ერთეული

**3. ადამიანის ანატომიის, ფიზიოლოგიის, ბიოლოგიის, ბიოქიმიისა და ბიომექანიკის დეპარტამენტი;**

**ა) ადამიანის ანატომია:**
პროფესორი - 1(ერთი) საშტატო ერთეული
ასოცირებული პროფესორი - 2 (ორი) საშტატო ერთეული
ასისტენტ-პროფესორი - 1 (ერთი) საშტატო ერთეული
ასისტენტი - 1 (ერთი) საშტატო ერთეული

**ბ) ფიზიოლოგია:**
პროფესორი 1 (ერთი) საშტატო ერთეული
ასოცირებული პროფესორი - 2 (ორი) საშტატო ერთეული
ასისტენტ-პროფესორი - 1 (ერთი) საშტატო ერთეული
ასისტენტი - 1 (ერთი) საშტატო ერთეული

**გ) სამედიცინო ბიოქიმია:**
ასოცირებულიპროფესორი - 1(ერთი) საშტატო ერთეული

**დ) სამედიცინო ბიოლოგია:**
ასოცირებული პროფესორი - 1 (ერთი) საშტატო ერთეული

**ე) ბიომექანიკა:**
პროფესორი - 1 (ერთი) საშტატო ერთეული
ასისტენტ-პროფესორი - 1 (ერთი) საშტატო ერთეული

**ვ) კომპიუტერული ტექნოლოგიები**
ასოცირებული პროფესორი - 1 (ერთი) საშტატო ერთეული
ასისტენტ-პროფესორი - 1 (ერთი) საშტატო ერთეული

**4. სპორტული მედიცინის, სამკურნალო ფიზიკური აღზრდისა და რეაბილიტაციის, ჰიგიენისა და მასაჟის დეპარტამენტი;**

**ა) სპორტული მედიცინა:**
პროფესორი - 1 (ერთი) საშტატო ერთეული
ასოცირებული პროფესორი - 1 (ერთი) საშტატო ერთეული
ასისტენტ-პროფესორი - 1 (ერთი) საშტატო ერთეული

**ბ) სამკურნალო ფიზიკური აღზრდა და რეაბილიტაცია:**
პროფესორი - 1 (ერთი) საშტატო ერთეული
ასოცირებული პროფესორი 1 (ერთი) საშტატო ერთეული
ასისტენტ-პროფესორი - 1 (ერთი) საშტატო ერთეული

**გ) ჰიგიენა:**
ასოცირებულიპროფესორი - 1 (ერთი) საშტატო ერთეული

**დ) მასაჟი**
ასოცირებული პროფესორი - 1 (ერთი) საშტატო ერთეული

**ე) კვება, დიეტოლოგია**
ასოცირებული პროფესორი - 1 (ერთი) საშტატო ერთეული

**ვ) ტრავმატოლოგია და ორთოპედია:**
ასოცირებული პროფესორი - 1 (ერთი) საშტატო ერთეული

**ზ) ფარმაკოლოგია:**
ასოცირებული პროფესორი - 1 (ერთი) საშტატო ერთეული

**თ) მანუალური თერაპია:**
ასოცირებული პროფესორი - 1 (ერთი) საშტატო ერთეული

**ი) ადაპტიური ფიზიკური აღზრდა:**
ასოცირებული პროფესორი - 1 (ერთი) საშტატო ერთეული

**5. სპორტთამაშების დეპარტამენტი - (ფეხბურთი, ჩოგბურთი, ხელბურთი, რაგბი, კალათბურთი, ფრენბურთი, ჭადრაკი, მაგიდის ჩოგბურთი და მოძრავი თამაშები)**
პროფესორი - 2 (ორი) საშტატო ერთეული
ასოცირებული პროფესორი - 3 (სამი) საშტატო ერთეული
ასისტენტ-პროფესორი - 4 (ოთხი) საშტატო ერთეული

**6. ჭიდაობის, ძიუდოსა და ძალოსნობის დეპარტამენტი;**
პროფესორი - 2 (ორი) საშტატო ერთეული
ასოცირებული პროფესორი -1 (ერთი) საშტატო ერთეული
ასისტენტ-პროფესორი - 3 (სამი) საშტატო ერთეული

**7. კრივისა და აღმოსავლური ორთაბრძოლების დეპარტამენტი;**
პროფესორი - 1 (ერთი) საშტატო ერთეული
ასოცირებული პროფესორი -1 (ერთი) საშტატო ერთეული
ასისტენტ-პროფესორი - 2 (ორი) საშტატო ერთეული

**8. მძლეოსნობისა და ტანვარჯიშის დეპარტამენტი;**
პროფესორი - 2 (ორი) საშტატო ერთეული
ასოცირებული პროფესორი - 1 (ერთი) საშტატო ერთეული
ასისტენტ-პროფესორი - 4 (ოთხი) საშტატო ერთეული

**9. სპორტის საწყალოსნო სახეობების დეპარტამენტი;**
პროფესორი - 1 (ერთი) საშტატო ერთეული
ასოცირებული პროფესორი - 2 (ორი) საშტატო ერთეული
ასისტენტ-პროფესორი - 2 (ორი) საშტატო ერთეული

**10. სპორტის გამოყენებითი სახეობების დეპარტამენტი (ტყვიის სროლა, მშვილდოსნობა, ფარიკაობა, თანამედროვე ხუთჭიდი, ცხენოსნობა);**
პროფესორი - 1 (ერთი) საშტატო ერთეული
ასოცირებული პროფესორი - 2 (ორი) საშტატო ერთეული
ასისტენტ-პროფესორი - 2 (ორი) საშტატო ერთეული

**11. სპორტის ზამთრის სახეობების, ალპინიზმის, ტურიზმისა და ველოსპორტის დეპარტამენტი;**
ასოცირებული პროფესორი - 1 (ერთი) საშტატო ერთეული
ასისტენტ-პროფესორი - 3 (სამი) საშტატო ერთეული

**12. ქართული და ინგლისური ენების დეპარტამენტი**
პროფესორი - 1 (ერთი) საშტატო ერთეული
ასოცირებული პროფესორი - 1 (ერთი) საშტატო ერთეული
ასისტენტ-პროფესორი - 1 (ერთი) საშტატო ერთეული

**კონკურსი პროფესორის, ასოცირებული პროფესორის, ასისტენტ-პროფესორისა და ასისტენტის თანამდებობებზე ტარდება ცალ-ცალკე.**

**დაუშვებელია აკადემიური თანამდებობის ვაკანსიებზე სხვა აკადემიურ თანამდებობაზე მონაწილე კონკურსანტის გადაყვანა.**

**ვაკანსია შეიძლება შევსებული იქნეს მხოლოდ განმეორებით გამოცხადებული ღია კონკურსის წესით;**

**ა) პროფესორის თანამდებობაზე 6 (ექვსი) წლის ვადით** შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება. გამოქვეყნებული სასწავლო-მეთოდური ლიტერატურა (სახელმძღვანელო; დამხმარე სახელმძღვანელო; ლექციათა კურსი; მეთოდური მითითებები); ბოლო 5 წლის განმავლობაში უნდა ჰქონდეს გამოქვეყნებული ერთი სტატია მაინც საერთაშორისო მიმოქცევის ჟურნალში; მონაწილეობა კონფერენციებში (სიმპოზიუმები/კონგრესები), საოფისე კომპიუტერული პროგრამების ცოდნა;

**ბ) ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე 4 (ოთხი) წლის ვადით** შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება. გამოქვეყნებული სასწავლო-მეთოდური ლიტერატურა (სახელმძღვანელო; დამხმარე სახელმძღვანელო; ლექციათა კურსი; მეთოდური მითითებები); ბოლო 5 წლის განმავლობაში სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიები და კონფერენციებში (სიმპოზიუმები/კონგრესები) მონაწილეობა; საოფისე კომპიუტერული პროგრამების ცოდნა;

**გ) ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე** შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი 3 ან 4 წლის ვადით.

**დ) ასისტენტის თანამდებობაზე** შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორანტი 3 ან 4 წლის ვადით.

ე) შესაძლებელია პროფესიული ნიშნით კვალიფიციური პერსონალის მიერ ა,ბ,გ,დ, პუნქტებით გათვალისწინებული აკადემიური თანამდებობების დაკავება. ამ შემთხვევაში პირის კვალიფიკაცია შეიძლება დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

**კონკურსში მონაწილე კანდიდატებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:**

განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე კონკურსში მონაწილეობის მიღების თაობაზე;
პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
CV ;
დიპლომის ასლი;
სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი, სათანადოდ დამოწმებულ ასლთან ერთად;
ორი ფოტოსურათი 3X4;
სასწავლო კურსის/კურსების სილაბუსი, როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული ვერსია (კონკურსანტმა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში უნდა წარადგინოს სილაბუსში მითითებული ლიტერატურა);
ბოლო 5 წელიწადში განხორციელებული კვლევითი პროექტების ანოტაცია და გამოქვეყნებული შრომების ნუსხა;
სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის დამადასტურებელი დოკუმენტი. (არანაკლებ 6 წელი-სრული პროფესორი, არანაკლებ 3 წელი- ასოცირებული პროფესორი);

**საბუთების მიღება იწარმოებს 2013 წლის 16 ნოემბრიდან - 25 ნოემბრის ჩათვლით, მისამართზე ქ. თბილისი, ჩოლოყაშვილის ქ. N9, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს შენობის პირველ სართულზე ყოველ სამუშაო დღეს 11-დან 17 საათამდე;**

**საკონკურსო კომისია კონკურსის შედეგებს დასამტკიცებლად წარადგენს - 28 ნოემბერს.**

**კონკურსის შედეგები გამოქვეყნდება 29 ნოემბერს.**

**კონკურსანტს უფლება აქვს კონკურსის შედეგების გამოქვეყნებიდან 2 დღის განმავლობაში შეიტანოს განცხადება/საჩივარი საკონკურსო კომისიაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ საჩივარი არ მიიღება.**

**კონკურსის ჩატარების დებულება და აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი**

**იხილეთ: ვებგვერდზე (www.msy.gov.ge)**
**საკონტაქტო ტელეფონი:**
**599 58-26 -62 ჯემალ ძაგანია**

®

ვარსკვლავები თბილისში

ფრიდონ გვევეშიძის ფოტოები



**საქართველო–პოსტსაბჭოეთი 53:66**

**საქართველო:** სანიკიძე (2ქ), თორთლაძე (6ქ), კოხრეიძე (4ქ), დერიუგინი (12ქ), გოგობერიშვილი (3ქ), ნაცვლიშვილი (9ქ), ღლონტი (12ქ), მხეიძე, ჩიხლაძე, ქაჯაია, იშხნელი.

**პოსტსაბჭოეთი:** მიგლინიექსი (4ქ), მარუსიჩი (6ქ), ნოსოვი (2ქ), ფილიპოვი (6ქ), გონჩაროვი (3ქ), შეინინი (2ქ), კაიმოვი (10ქ), ნიკოლაევი (2ქ), ენდენი (7ქ), დომანი (12ქ), პერეგუდოვი (10ქ), ნოზნავცი (2ქ).

# როგორც ათწლეულების წინათ

გუშინ სპორტის სასახლეში ხალხმრავლობა იყო - კალათბურთის ქომაგებმა მოედანზე კვლავ იხილეს სპორტის ამ სახეობის ვარსკვლავები - ოლიმპიური თამაშების გამარჯვებული, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი **ივან ედეშკო,** სპორტის დამსახურებული ოსტატი, ოლიმპიური ჩემპიონი **იგორს მიგლინექსი,** ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორები, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატების ოქროს მედალოსნები - **სტანისლავ ერიომინი** და **ვლადიმირ ჟიგილიი,** მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი **ჰეინო ენდენი,** ევროპის ჩემპიონი **ალექსანდრ გონჩაროვი,** საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები - **ანდრეი პერეგუდოვი, ვიქტორ კრავჩენკო** და სხვები, რომლებიც ვეტერანთა მეგობრულ მატჩში ქართველ კოლეგებს დაუპირისპირდნენ. მასპინძელთა ღირსებას იცავდნენ ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი, საკონტინენტთაშორისო თასის სამგზის მფლობელი **ნიკოლოზ დერიუგინი,** საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და თასის მფლობელი, თბილისის „დინამოს" ყოფილი კაპიტანი **თამაზ ჩიხლაძე, ვახტანგ ნაცვლიშვილი. ზურაბ გრძელიძე,** ევროპის ორგზის ჩემპიონი, საბერძნეთისა და თურქეთის ჩემპიონი და თასის მფლობელი... **მედეა მხეიძე,** და სხვები. დიახ, სტუმრების წინააღმდეგ მასპინძლებმა ორი მანდილოსანიც გამოიყვანეს - მედეა მხეიძე და **ლიკა ქაჯაია,** რომლებმაც ეფექტური პასებით არაერთხელ მოსტაცეს ტრიბუნებს მქუხარე ტაში.

მატჩი ქართველ ვეტერანთა იერიშებით დაიწყო და პირველსავე წუთზე თორთლაძემ ზუსტი სამქულიანი ტყორცნით ანგარიში გახსნა. პოსტსაბჭოური სივრცის წარმომადგენლებმა ზედიზედ სამი შედეგიანი შეტევა განახორციელეს და დაწინაურდნენ. პირველ ტაიმში მაინც თანაბარი ბრძოლა იყო და სტუმრებმა მხოლოდ ქულით მოახერხეს წინ გასვლა - 29:28. შესვენების შემდეგ მასპინძლებს დაღლა დაეტყოთ, რითაც ისარგებლა მეტოქემ, რომელსაც უფრო გრძელი სკამი აღმოაჩნდა და პაექრობაც თავის სასარგებლოდ დაასრულა - 66:35. მატჩის საუკეთესო მოთამაშეები ნიკოლოზ დერიუგინი და **ანდრეი პერეგუდოვი** ფასიანი საჩუქრებით - მობილური ტელეფონებით დააჯილდოვეს.

მატჩის შემდეგ სასტუმრო „ჰოლიდეი ინ"-ში საერთაშორისო სტუდენტური საკალათბურთო ლიგის 2013-2014 წლების სეზონის გახსნასთან დაკავშირებით პრესკონფერენცია გაიმართა. ჟურნალისტების წინაშე წარდგნენ სტუდენტური ლიგის პრეზიდენტი ანდრეი პერეგუდოვი, აღმასრულებელი დირექტორი ვიქტორ კრავჩენკო, საქართველოს საკალათბურთო კავშირის პრეზიდენტი **მიხეილ ახვლედიანი,** სტანისლავ ერიომინი და ნიკოლოზ დერიუგინი.

**ანდრეი პერეგუდოვი:** ჩვენმა სტუდენტურმა ლიგამ შარშან აიღო სტარტი, მაგრამ არსად ისეთ საინტერესო გახსნას არ შევსწრებივარ, როგორიც დღეს თბილისში ვნახეთ. თვით ვეტერანთა მატჩზეც კი დარბაზის სამი მეოთხედი შეივსო. დღესაც კარგად მახსოვს საკავშირო ჩემპიონატებისას აგუგუნებული ტრიბუნები. სტუდენტური ლიგის წლევანდელი სეზონის გასახსნელად შემთხვევით არ აგვირჩევია თბილისი! საქართველოს ისტორიული წარსული საკალათბურთო ტრადიციებითაც გამორჩეულია. ჩვენი ლიგა პოსტსაბჭოური პირველობა არ არის - ეს არის შეჯიბრება, რომელშიც, მაგალითად, წლეულს იასპარეზებენ ბალკანელები, 3 ინგლისური, ერთი ჩინური გუნდიც. როცა სკოლის კალათბურთის შემდეგ ძალაუნებურად ისმის კითხვა - სად უნდა ითამაშონ იმ კალათბურთელებმა, რომლებიც პროფესიულ კლუბებში ვერ ითამაშებენ? სწორედ, საკალათბურთო ლიგა შეასრულებს საშუალედო რგოლის ფუნქციას. აქ დაწინაურებულ სპორტსმენებს კი დიდი კალათბურთისკენაც გაეხსნებათ გზა.



**ვიქტორ კრავჩენკო:** სტუდენტური ლიგა უბრალო შეჯიბრება არ არის. აქ გუნდი არა მარტო უმაღლესი სასწავლებლის, არამედ თავისი ქვეყნის სპორტულ ღირსებასაც იცავს, ამიტომაც არის ასეთი მოზღვავება: შარშანდელ გათამაშებაში თუ 5 ქვეყნის 24 გუნდი მონაწილეობდა, წლეულს მედლებისთვის 12 ქვეყნის 39 გუნდი იბრძოლებს, მათ შორის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდი. რაც შეეხება თბილისის სპორტის სასახლეს, მეც კარგად მახსოვს - მოსკოვის „დინამოს" შემადგენლობაში არაერთხელ მითამაშია აქ. ქართველებს ერთი მოთამაშით ყოველთვის მეტი ჰყავდათ და ის „ზედმეტი" კალათბურთელი სწორედ მაყურებელი იყო. აქ კარგად იციან კალათბურთის ფასი. ამიტომ მიმაჩნია, რომ ჩვენი ჩემპიონატი, რომლის ახალ სეზონსაც თბილისში ვიწყებთ, ხელს შეუწყობს როგორც კალათბურთის განვითარებას, ისე სხვადასხვა ქვეყნის ახალგაზრდების დაახლოებას.

**სტანისლავ ერიომინი:** დიდი ხნის შესვენების შემდეგ ისევ თბილისში ვარ - სტუმართმოყვარე ხალხში. მეც თვალწინ მიდგას სპორტის სასახლის აგუგუნებული დარბაზი, სადაც თამაში ნებისმიერი კალათბურთელისთვის ნამდვილ გამოცდა იყო. აქ ხომ ქართული კალათბურთის ვარსკვლავებს - ზურაბ საკანდელიძეს, მიხეილ ქორქიას, ნიკოლოზ დერიუგინსა და სხვებს აქტიურად უჭერდნენ მხარს მაყურებლები, ამიტომაც გვიძნელდებოდა მასპინძლების წინააღმდეგ თამაში. მოედანზე ხომ უშელავათო ბრძოლა გვქონდა, სარბიელს მიღმა კი ვმეგობრობდით და ეს გრძნობა დღემდე მოგვყვება, რაშიც, ალბათ, კოლია დერიუგინი დამეთანხმება.

ცოტა რამ დღევანდელ კალათბურთზეც მინდა ვთქვა: ამჟამინდელი ორთაბრძოლები უფრო სწრაფი გახდა, მაგრამ, მიმაჩნია, რომ სილამაზით უწინდელს მაინც ჩამოუვარდება. ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ მსოფლიოში მაშინ 4-5 ქვეყნის ნაკრები თუ დომინირებდა, დღეს თამაში ყველამ ისწავლა, დონეები, ფაქტობრივად, გაწონასწორდა და კონკურენციამაც იმატა, ამდენად, ნებისმიერი ტურნირის მოგება ბევრად უფრო ძნელია, ვიდრე ჩვენს დროს იყო.

**ნიკოლოზ დერიუგინი:** ბედნიერი ვარ - დღეს თბილისში ნამდვილი საკალათბურთო ზეიმი იყო. სტუმარ-მასპინძლებმა მატჩამდე შემახსენეს - ცსკას-თან 59-ქულიანი რეკორდის მოხსნას თუ აპირებო. ადამიანი თავს კი გრძნობ ახალგაზრდულად, გინდა, ის გააკეთო, რასაც ჭაბუკობისას აკეთებდი, მაგრამ უწინდებურად ძალა რომ არ მოგდევს? გული ხელში მეჭირა... ყველაფრის მიუხედავად, ძველ მეგობრებთან შეხვედრამ და ახალგაზრდობის გახსენებამ ყველაფერი გადაფარა. რაც შეეხება საერთაშორისო სტუდენტურ ლიგას, იქ ჩემი ხელმძღვანელობით საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდი ჩაებმება. სულ ორი კვირაა, რაც ვვარჯიშობთ და გამოცდილ კოლექტივებთან პაექრობა გაგვიჭირდება, მაგრამ უბრძოლველად არავის არაფერს დავუთმობთ. დარწმუნებული ვარ, ქართველი კალათბურთელები თავიანთ ოსტატობას საერთაშორისო სტუდენტურ ლიგაშიც დაამტკიცებენ.

**მიხეილ ახვლედიანი:** დიდი მადლობა საერთაშორისო საკალათბურთო სტუდენტური ლიგის მესვეურებს, რომლებმაც თავიანთი პირველობის მე-2 სეზონის გახსნა თბილისში დაგეგმეს. ეს ჩვენთვის დიდი პატივია. მას შემდეგ, რაც ლიგაში ასპარეზობა გადავწყვიტეთ, მაშინვე საშინაო სტუდენტური ლიგის გამართვის იდეაც გაჩნდა. შიდა ჩემპიონატში მონაწილეობის სურვილი 20-მა გუნდმა გამოთქვა, რასაც ნამდვილად არ ველოდით. მათთვის, ვინც პროფესიულ კლუბებში ვერ ხვდება, სტუდენტური ლიგა დიდი იმპულსი იქნება საერთაშორისო სარბიელზე გასასვლელად. დარწმუნებული ვარ, რომ სტუდენტური კალათბურთი ხელს შეუწყობს საქართველოში სპორტის ამ სახეობის განვითარებას.

ვაჟა ᲓᲐᲜᲔᲚᲘᲐ



ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთაშორისო საკალათბურთო სტუდენტური ლიგა

# როცა კარგი დასაწყისი საქმის ნახევარი არ არის

**15 ოქტომბერი**

თბილისი, სპორტის სასახლე

**სტუ (თბილისი)-მსუ (მოსკოვი) 75:83**

**18:9, 16:25, 24:24, 17:25**

**სტუ:** ლუდუშაური (2ქ), ანთაძე (4ქ, 7მ), დიდია (17ქ, 7მ, 4პ), გრძელიძე (7ქ), გოგოძე (5ქ, 4პ, 4ჩ), ფხაკაძე (2ქ), ცირეკიძე, მათიაშვილი (17ქ, 15მ), ლომინაშვილი (6ქ), ალხანაიძე (13ქ, 8მ, 3პ), ლობჟანიძე, დეკანოიძე (2ქ).

**მსუ:** სტრეკინი (6ქ), ვოლონსკი (11ქ, 13მ, 7პ), დემენტიევი (7ქ), მელიქიანი (10ქ), ნოვიკოვი (8ქ), კურიშკინი (10ქ), მარინი (30ქ, 7მ, 3პ, 5ჩ, 3დ), გორბანი, ვასილენკო (1ქ).

**მსაჯები:** რ. პონომარენკო, მ. ამბროსოვი.



2012-13 წლების სეზონის დასრულების შემდეგ გაირკვა, რომ არც ერთი ქართული კლუბი ევროტურნირებში არ ითამაშებდა. ეს ქართული კალათბურთისთვის იმ დროში დაბრუნებას ნიშნავდა, როცა ერთ ქვაბში ვიხარშებოდით და ქართველ ქომაგს არ ჰქონდა ემოციების დარბაზში გადმოტანის საშუალება. არადა, თუნდაც სანაკრებო მატჩებიდან ვიცით, რომ კალათბურთს ჩვენს ქვეყანაში ბევრი ქომაგი ჰყავს. სპორტის სასახლეში გულშემატკივრის შესაკრებად მთავარია არა მხოლოდ ხარისხიანი თამაშის ჩვენება, არამედ უცხოელი მეტოქე.



ჰოდა, საერთაშორისო სტუდენტური საკალათბურთო ლიგის გახსნით მატჩზე თბილისის სპორტის სასახლე რომ შეივსო მხოლოდ სტუდენტური თვითმმართველობების დამსახურება როდი იყო. მხედველობიდან არც ის უნდა გამოგვრჩეს, რომ სტუ-ს (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი) პირველი მეტოქე მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი იყო. თან, ჩვენს გუნდში საქართველოს ჩემპიონატის კვალობაზე კარგი შემადგენლობა შეიკრიბა და რუსების დამარცხების იმედიც ლვიოდა.

შეხვედრას დაესწრნენ პოსტსაბჭოელი ვეტერანები ბალტიისპირეთიდან, რუსეთიდან და ყველა გაკვირვებული ავლებდა თვალს სავსე ტრიბუნებს. აღნიშნა კიდეც სტუდენტური ლიგის პრეზიდენტმა **ანდრეი პერეგუდოვმა**:

*- ჩვენს შეჯიბრებაში ამდენი გულშემატკივარი აქამდე არც ერთ მატჩს არ დასწრებია. სწორი ნაბიჯი გადავდგით, როცა სტუდენტური საერთაშორისო ლიგის ახალი სეზონის გახსნის ოფიციალური ცერემონიალიც სწორედ თბილისის სპორტის სასახლეში რომ დავგეგმეთ.*

შეჯიბრების მონაწილე ქვეყნების წარდგენის და ცეცხლოვანი ქართული ცეკვის შემდეგ მოედანზე სტუდენტური გუნდები გამოვიდნენ. სიმბოლურად სადავო გდებისთვის მოედნის ცენტრში დადგნენ **გურამ მინაშვილი** და **ივან ედეშკო**. ბევრი დაკვირვება სულაც არ იყო საჭირო იმისთვის, რომ ქართველებს ფარქვეშ უპირატესობა ექნებოდათ - სასტარტო ხუთეულის ნევრის, 209 სმ სიმაღლის **რიჩარდ მათიაშვილის** შეჩერება რუსებს ძალიან გაუჭირდათ. კიდევ უფრო რთული აღმოჩნდა მოსკოველთათვის პირველი წუთების წნეხის დაძლევა - სპორტის სასახლის ტრიბუნებზე შეკრებილი უამრავი ქომაგის დანახვის შემდეგ თამაშის დალაგება ევროჩელენჯზე „არმიას" მეტოქეებსაც გასჭირვებიათ და რა გასაკვირია, ასეთივე სიტუაციაში აღმოჩენილიყვნენ ახალგაზრდა სტუდენტები. პირველ მეოთხედში ქართველთა უპირატესობამ 11 ქულას რომ მიაღწია, მნიშვნელოვნად მათიაშვილის დამსახურება იყო, რომელმაც დასაწყისში 10 ქულა ჩააგდო. რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ შედარებით ტანდაბალ მეტოქეს არ ჰქონდა იარაღი თამაშის შემოსატრიალებლად. სამწამიან ზონაზე უკვე ვთქვით, ხოლო პერიმეტრიდან მოსკოველები არცთუ ხშირად სტყორცნიდნენ და მიზანსაც იშვიათად აღწევდნენ.

მეორე პერიოდში კი სტუმრებმა მოგებისკენ მიმავალი გზა დალანდეს, მიუახლოვდნენ და აღმოჩნდა, რომ ემოციებიდან გამოსვლა, ფარქვეშ მეტი ჟინით ბრძოლა და თამაშის ასწრაფება სიტუაციის გამოსწორებისთვის სრულიად საკმარისი იყო. დიდ შესვენებამდე ნამები რომ რჩებოდა, მოსკოველებმა რამდენიმე სწრაფი შეტევა დაასრულეს შედეგიანად და ეფექტური ჩატენვით ანგარიშიც გაათანაბრეს - 34:34. სწორედ მაშინ გაგვახსენდა მთავარი მწვრთნელის, **ნიკოლოზ დერიუგინის** ნათქვამი: ჩვენი გუნდი ახალი შეკრებილია, შეთამაშება აკლიაო. ასეთ სიტუაციაში კი ყველაზე რთული დაცვაში მწყობრად მოქმედებაა. სწორედ ეს კომპონენტი აღმოჩნდა საბოლოოდ გადამწყვეტი. შეტევაში? იყო რამდენიმე კომბინაცია, თუმცა მათ წინასწარ დამუშავებული არ ეთქმოდა, ძირითადად ინდივიდუალური ოსტატობის ხარჯზე გავდიოდით ფონს. თუმცა ისიც შევნიშნოთ, რომ ჩვენი მონინააღმდეგე დაცვაში სათანადოდ გაწსნავლული გუნდი აღმოჩნდა.

ტაბლოზე მესამე პერიოდის ბოლოსაც თანაბარი ანგარიში ეწერა. ყველაფერი მეოთხე რაუნდში უნდა გადაწყვეტილიყო. რომელი გუნდიც უკეთეს კონდიციებში აღმოჩნდებოდა, სეზონის გახსნის მატჩიც მისი იქნებოდა. გუნდებზე რა მოგახსენოთ, მაგრამ მოსკოველთა 33-ე ნომერმა **ფიოდორ მარკინმა** მეოთხედიდან მეოთხედამდე უმატა და ბოლო პერიოდში მისი შეჩერება ისევე რთული აღმოჩნდა, როგორც პირველ მეოთხედში რიჩარდ მათიაშვილისა.

საბოლოოდ მატჩის ბომბარდირი სწორედ ფიოდორი გახდა - 30 ქულა ჩააგდო. რიჩარდმა მატჩი 17 ქულითა და 15 მოხსნით დაასრულა.

სტუ მომდევნო მატჩს თბილისში 20 ოქტომბერს გამართავს. მისი მეტოქე როსტოვის სამხრეთის ფედერალური უნივერსიტეტი იქნება.

**ვაჟა სიმონიშვილი**



ქართველები ესპანეთში

# შერმადინმა ათიანში მოარტყა

ევროთასზე ქართულმა „სარაგოსამ" სეზონის პირველი მატჩი ჩაატარა. **გიორგი შერმადინმა** ახალ გუნდში პირველი ორმაგი დუბლი მიითვალა - 10 ქულა, 10 მოხსნა. სარაგოსელებმა ბელგიურ „მონსს" უმასპინძლეს და პირველივე ტაიმში გატეხეს. მეორე ნახევარში ესპანელებმა მიღწეულის შენარჩუნება მოახერხეს და ევროსეზონი მოგებით გახსნეს - 73:56.

„სარაგოსას" ქართველ ფორვარდ **ვიქტორ სანიკიძეს** მართალია, დუბლი არ შეუსრულებია, მაგრამ გამარჯვებაში არცთუ მცირე წვლილი მიუძღვის: 27 წუთში 8 ქულა (2-დან 1 ორქულიანი, 4-დან 1 სამიანი, 4-დან 3 საჯარიმო), 7 მოხსნა და 1 ჩაჭრა მოაგროვა.

შერმადინის სრული სტატისტიკა ასეთი იყო: 26 წუთი, 7-დან 3 ორქულიანი, 4-დან 4 საჯარიმო, 1 ჩაჭრა, 2 პასი.

## „მარკა:" შერმადინი ტურის მე-2 ვარსკვლავია

გაზეთმა „მარკამ" ესპანეთის საკალათბურთო ჩემპიონატის, ლიგა ენდესას I ტურის 10 საუკეთესო კალათბურთელი დაასახელა. სასიხარულოა, რომ ათეულში ორი ქართველია - გიორგი შერმადინი მე-2 ადგილზე და ვიქტორ სანიკიძე - მერვეზე.

შეგახსენებთ, რომ პირველ ტურში მათმა „სარაგოსამ" სტუმრად დაამარცხა „ბილბაო ბასკეტი", შერმადინი კი იმ მატჩის საუკეთესო კალათბურთელი გახდა.

„მარკას" ათეულში გიორგის მხოლოდ **რასმუს ლარსენმა** აჯობა. 18 წლის დანიელი „ლა ბრუიხას" 21 ქულით და 13 მოხსნით შეეწია.

გიორგი შერმადინმა „სარაგოსას" მაისურით 20 ქულა და 7 მოხსნა მოაგროვა. მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი 29 იყო.

*„სარაგოსამ" გიორგის შეძენით ძალიან დიდი საქმე გააკეთა. შერმადინმა პირველივე მატჩში დაამტკიცა, რა შეუძლია. იგი დომინირებდა ფარზე, როგორც დაცვაში, ისე შეტევაში. მას კარგად შეუძლია მოხსნა და სროლა ახლო მანძილიდან (8-დან 8 ჩააგდო) და ძალიან კარგი წყვილი შექმნა თანამემამულე ვიქტორ სანიკიძესთან", - წერს „მარკა".*

როგორც მოგახსენეთ, სანიკიძე მე-8 ადგილზე გავიდა - 11 ქულა, 5 მოხსნა და 2 პასი (17 მქკ).

*„ტურნირი ძალიან კარგად დაიწყო. მძიმე ფორვარდის კვალობაზე შორი მანძილიდან სროლის ძალიან კარგი უნარი გამოავლინა. ყველაზე მეტად თვალს ჭრის, რომ ძალიან კარგად უგებდა თანამემამულე შერმადინს მოედანზე, მათ ბრწყინვალე ტანდემი შექმნეს",* - ისევ „მარკა".

**ვაჟა სიმონიშვილი**
**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ჩოგბურთი

# პირველი ბარიერი გადალახა

ორი ქართველი ჩოგბურთელი (**სოფიო ქვაცაბაია და ეკატერინე გორგოძე**) მონაწილეობს თურქულ ანტალიაში ქალთა 10.000-იან საერთაშორისო ტურნირში. ისინი, როგორც ერთეულებში, ისე წყვილებშიც მოსინჯავენ ძალებს. თუმცა გორგოძემ, რომელიც მეშვიდე ნომერია, გუშინ უკვე იასპარეზა. ერთეულებში ორ სეტში აჯობა პოლონელ ბარბარა სობასკიევიჩს - 6:1, 7:6. მეორე წრეში იგი ეკატერინა ნიკლაურის მძლეველ (6:0, 6:3) ყაზახს - ასია დაირთან გაარკვევს ურთიერთობას.

წყვილებში გორგოძე ანასტასია ვდოვენკოსთანაა (მოლდოვა) შეამხანაგებული. პირველ წრეში ამ დუეტმა ეკატერინა ნიკლაურისა (რუსეთი) და შტეფანი აბდის (ჰოლანდია) ტანდემს მოუგო - 6:1, 6:4. მეოთხედფინალში გორგოძე და ვდოვენკო ტურნირის მეორე ნომრებს - სვიატლანა პირაზენკასა (ბელარუსი) და იულია ვაჩაუიკს (გერმანია) ჩააბარებენ გამოცდას. რაც შეეხება ქვაცაბაიას, უკვე გაუწყეთ, რომ წყვილებში ესენ კოკჩესთან (თურქეთი) ერთად მესამე ნომერ კონიჩ (ავსტრია)-სობასკიევიჩთან (პოლონეთი) წააგო - 4:6, 3:6, ერთეულებში კი ასპარეზობის რეიტინგფავორიტ ანა ბოდგანს რუმინეთი) დღეს დაუპირისპირდება.


ეკატერინე გორგოძე

■ ■ ■

ამერიკულ როკ ჰილში დაიწყო ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირი (საპრიზო ფონდი 25.000 დოლარი), მეხუთე ნომრადაა განთესილი თბილისელი ანა ტატიშვილი, რომელმაც კვირას მაკონის (აშშ) 25.000-იანი შეჯიბრება მოიგო. ჩვენებური პირველი წრეში „უალდ ქარდით" მიწვეულ ალექსანდრა მიულერს (აშშ) დაუპირისპირდება.

■ ■ ■

ყაზახეთის ჩოგბურთელ ვაჟთა 10.000-იან საერთაშორისო ტურნირში გამოდის თბილისელი **ალექსანდრე მეტრეველი**. საკვალიფიკაციო ეტაპზე ორი მოგების შემდეგ გუშინ ძირითადი ბადის პირველ წრეში რუსი ანდრეი პლოტნი დაამარცხა - 6:4, 6:2 და მეორე წრეში ასპარეზობის მეორე ნომერ კარუნუდაი სინგხის (ინდოეთი) მძლეველ (6:2, 6:4) თემურ ისმაილოვს (უზბეკეთი) გაუწევს მეტოქეობას.

**ვაჟა დანელია**

რაგბი. ლეგიონერები



ვიქტორ კოლელიშვილის ლელო

# ყოფილი ლელოელის ორი ლელო

**საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, მეორე დივიზიონში მე-6 ტურის შემდეგ საპლეიოფო ექვსეულში ქართველ მორაგბეთა სამი გუნდია. ლიდერი კი, ისევ ვიქტორ კოლელიშვილისა და გურამ კავთიძის „ლიონია".**

ლიონელებმა მე-6 ტურში „მონ დე მარსანს" უმასპინძლეს და 34:17 მოუგეს. მატჩში შესანიშნავად გაისარჯა საქართველოს ნაკრების მესამეხაზელი **ვიქტორ კოლელიშვილი**, რომელმაც ორი ლელო გაიტანა. „ვიტომ" პირველად ჩათვლის მოედანში 30-ე წუთზე შეაღწია. ის შეტევისას მოლში ჩაერთო და მას მეტოქისთვის მოულოდნელად მოსწყდა. მისი შეჩერება სტუმრებმა ვერ შეძლეს.

მეორედ კოლელიშვილმა მეორე ტაიმის დასაწყისში, 43-ე წუთზე იყოჩაღა. მეტოქის ხაზი **სებასტიან შაბალმა** გაჭრა. მას „ვიტო" დროულად მიჰყვა და ლელო კარის ძელებს შორის გაიტანა. საქართველოს ნაკრების ფლანკერი 52-ე წუთზე შეცვალეს, კავთიძე განაცხადში არ იყო.

„ლიონი" 23 ქულით პირველ ადგილზეა. მას სამი ქულით ჩამორჩება და სატურნირო ცხრილში მესამე ადგილზეა **ტარიელ რატიანიძის** „აჟენი", რომელიც სტუმრად დამარცხდა ერთ-ერთ აუტსაიდერ „ოშთან" - 17:22. ქართველი შერკინების ბურჯი, რომელიც 57-ე წუთზე შეცვალეს, 31-ე წუთზე მატჩის არბიტრმა გაასინბინა.

„აჟენს" ორი ქულით ჩამორჩება და მეხუთე ადგილზეა **ლევან დათუნაშვილისა და გიორგი ნაცარაშვილის** „ორიაკი". ჩვენებურთა ამ გუნდმა აუტსაიდერს, **კახაბერ კობერიძის, ალექსანდრე თოდუას, ვახტანგ მაისურაძის, ვახტანგ ახობაძის, გიორგი თეთრაშვილის** და **ხვიჩა ბუჯიაშვილის** „ალბის" უმასპინძლა და 30:19 მოუგო.

დათუნაშვილმა, როგორც ყოველთვის ამჯერადაც თავიდან ბოლომდე ითამაშა, ნაცარაშვილი თამაშში 61-ე წუთიდან ჩაერთო. „ალბის" შემადგენლობაში სრულად ითამაშა თოდუამ, თეთრაშვილი მოედანზე 57-ე წუთიდან გამოჩნდა. კობერიძე, მაისურაძე, ახობაძე და ბუჯიაშვილი განაცხადში არ იყვნენ.

**გიორგი ნემსაძის, გიორგი ჩხაიძისა და ირაკლი მირცხულავას** „ტარბმა" შინ დაძაბულ ბრძოლაში წააგო პლეიოფში მოხვედრისთვის უშუალო კონკურენტ „პოსთან" - 9:12. აღსანიშნავია, რომ მასპინძლებმა პირველი ტაიმი მშრალი ანგარიშით მოიგეს - 9:0. თუმცა, შესვენების შემდეგ მათ მონაგარს ვერაფერი შემატეს. სტუმრებმა კი, ანგარიში 66-ე წუთზე გაათანაბრეს და გამარჯვების მომტანი საჯარიმო მატჩის ბოლო წუთზე გაიტანეს.

მირცხულავა თამაშში 57-ე წუთიდან ჩაერთო, ჩხაიძე მოედანზე მატჩის დასრულებამდე ერთი წუთით ადრე გამოჩნდა, ნემსაძე განაცხადში არ იყო.

სტუმრად „კოლომიესთან" დამარცხდა **ბექა შეყლაშვილის** „ბეზიე" - 12:19. ლანგედოკელებს კარგი შანსი ჰქონდათ საპლეიოფო ექვსეულში შეეღწიათ, მაგრამ... შეყლაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 53-ე წუთზე შეცვალეს.

### II დივიზიონი

### VI ტური

**ორიაკი-ალბი 30:19, ოში-აჟენი 22:17, კოლომიე-ბეზიე 19:12, დაქსი-ბურგუენი 25:25, ნარბონი-ბურგ ან ბრესი 36:26, ტარბი-პო 9:12, ლიონი-მონ დე მარსანი 34:17, ლა როშელი-კარკასონი 22:15.**

### სატურნირო მდგომარეობა

**1. ლიონი - 23 ქულა, 2. ლა როშელი - 22, 3. აჟენი - 20, 4. კოლომიე - 18, 5. ორიაკი - 18, 6. პო - 18, 7. ბურგუენი - 16, 8. ბეზიე - 14, 9. ნარბონი - 13, 10. ტარბი - 12, 11. მონ დე მარსანი - 11, 12. ბურგ ან ბრესი - 10, 13. ოში - 10, 14. დაქსი - 10, 15. კარკასონი - 7, 16. ალბი - 5.**

### VII ტური

**აჟენი-ტარბი, ოში-ორიაკი, ბეზიე-პო, ბურგუენი-ლა როშელი, კარკასონი-მონ დე მარსანი, დაქსი-ნარბონი, ბურგ ან ბრესი-ალბი, კოლომიე-ლიონი.**

**ბესიკ ჯანგავაძე**

# გორგოძე: ტულონი თუ პერპინიანი?

საქართველოს ნაკრების მესამეხაზელ **მამუკა გორგოძის** „მონპელიედან" სხვა ფრანგულ კლუბში შესაძლო გადასვლამ ადგილობრივ მედიაში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. თავდაპირველად სახელდებოდა მისი საკუთარ რიგებში ხილვის მსურველი სამი გუნდი. თუმცა, როგორც ჩანს, ერთ-ერთი მათგანის, „სტად ფრანსეს" შანსი მიზერულია.

რაც უნდა საკვირველი იყოს, ყველაზე რეალურად მაინც „ტულონის" ვერსია განიხილება. საკვირველი კი, იმიტომაა, რომ ორიოდ წლის წინათ გორგოძეს ამ კლუბთან კონფლიქტი ჰქონდა, რომელიც სასამართლოში დიდხანს ირჩეოდა. მაშინ გორგოძეს „ტულონისთვის" კომპენსაციის გადახდა დაავალდებულეს, რომელიც ბოლოს „მონპელიემ" გადაიხადა. მიუხედავად ამისა, მას „ტულონთან" კავშირი არ გაუწყვეტია მეგობრის, **გია ლაბაძის** წყალობით, რომელიც ამ გუნდის კაპიტანი იყო. ამასთან ერთად, ტულონელთა თავკაც **ბერნარ ლაპორტს** გორგოძის მიწვევა ძალიან უნდა.

მიუხედავად ამისა, უკეთეს პოზიციაში მაინც კატალონიური „პერპინიანი" იმყოფება, რომლის პრეზიდენტი ახლახან **ფრანსუა რივიერი** გახდა. მას საკმაოდ ამბიციური გეგმები აქვს და სურს მომავალი სეზონიდან „პერპინიანი" უძლავრეს გუნდად აქციოს. კულუარული ინფორმაციით, მან გორგოძეს სამწლიანი კონტრაქტის გაფორმება შესთავაზა.

**ბესიკ ჯანგავაძე**

რაგბი. საქართველოს ჩემპიონატი

# საუკეთესო შვიდეული

საქართველოს მიმდინარე სარაგბო ჩემპიონატის მეშვიდე ტური ჯერჯერობით ყველაზე სანახაობრივი გამოდგა და ქუთაისის, ბათუმისა და თბილისის სტადიონებზე მისულმა გულშემატკივარმა უშელავათო ბრძოლასთან ერთად 25 ლელოც იხილა. წარმოგიდგენთ გასული ტურის შვიდ საუკეთესო მოვლენას.

## SUPER ფრუიძე

„აიასა" და ბოლნისის „ყოჩების" დაპირისპირებას თავისი გმირი ჰყავდა. ეს ქუთათურთა შუამარბი **გიორგი ფრუიძე** გახლდათ, რომელმაც თავისი აქტიური ქმედებების შედეგად არაერთხელ გაჭრა „ყოჩების" თავდაცვის ხაზი და მეტოქეს თავბრუ დაახვია. მეხუთე წუთზე ფრუიძემ იოლად აუარა გვერდი მცველებს და ძელებს შუა გატანილი ლელოთი ანგარიში გახსნა. მეორე ტაიმის სტარტზე მან თავისი მწვავე თამაშის ფონზე მეტოქე კაცნაკლული დატოვა, მომდევნო ეპიზოდში კი, ცრუ მოძრაობათა კასკადით გადასერა მთელი მოედანი და გადამწყვეტ მომენტში დროულად გადასცა ბურთი ფულბეკ **ზურაბ ძნელაძეს**, რომელსაც აღარ გასჭირვებია ჩათვლის მოედანში ბურთიანად შეღწევა. ანგარიში - 24:3 გახდა და გამარჯვებულის ბედიც საბოლოოდ გადაწყდა.

## ნერვების ომი

„არმაზთან" პირწმინდად წაგებული პირველი ტაიმის შემდეგ - 6:18, „არმიას" მთავარმა მწვრთნელმა **ნიკო ჭავჭავაძემ** ერთდროულად შვიდი ცვლილება განახორციელა, რამაც შედეგი გამოიღო და 77-ე წუთზე შეხვედრაში ანგარიში გათანაბრდა - 23:23. ამ მოვლენიდან ერთ წუთში „არმიას" გარემარბმა **რატი ნუცუბიძემ** ჰაერში სახიფათო თამაშისთვის მთავარი მსაჯისგან ყვითელი ბარათი დაიმსახურა, რაც მშვენივრად გამოიყენეს არმაზელებმა. მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში გამოცდილმა **დავით კიკნაძემ** საჯარიმოდან ბურთი მეტოქის ძელებს შუა გაატარა და საკუთარ გუნდს ნერვების ომში გაამარჯვებინა - 26:23.

## სოსო მათიაშვილის ლელო

„ლოკომოტივისა" და აკადემიის" დაპირისპირების 63-ე წუთი მიმდინარეობდა, რკინიგზელებს თამაშის ბედი სათავისოდ დიდი ხნის გადაწყვეტილი ჰქონდათ, ისინი მშრალი ანგარიშით 24:0 იგებდნენ. აკადემიელთა მთავარმა მწვრთნელმა **პაატა ნარიმანაშვილმა** ახალგაზრდა მორაგბეებს მისცა თავის გამოჩენის საშუალება. 20 წლის **სოსო მათიაშვილმა** ბოძებული შანსი მშვენივრად გამოიყენა და ჩინებული დებიუტი მოიწყო უმაღლეს ლიგაში. „აკადემიამ" შეტევა მარჯვენა ფლანგზე გაშალა და ბურთი ახალბედა გარემარბს ჩააბარა. სოსომ რამდენიმე ცრუ მოძრაობით ერთბაშად მეტოქის სამი მორაგბე ოსტატურად მოიტოვა უკან, გაჭრა „ლოკომოტივის" დაცვის ხაზი. მერე, მან გზად საპირისპირო მოძრაობაზე დაიჭირა რკინიგზელთა ფულბეკი და მშვენიერი ლელო გაიტანა.

## ზღვისპირელთა პირველი გამარჯვება

**ლევან მგელაძის** გაწვრთნილმა „ბათუმმა" მიმდინარე სეზონის წინ არაერთი წამყვანი მორაგბე დაკარგა და ამჟამად ზღვისპირელთა მთავარი ამოცანა უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება. „ბათუმმა" რუსთავის „ხარებთან" გამართულ საშინაო მატჩში ძალების სრული კონცენტრირება მოახერხა, **თომა მჭედლიძის** და **გურამ ევგენიძის** გატანილი ლელოებით 12:7 დაამარცხა პრინციპული მეტოქე და მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა სატურნირო მდგომარეობა.

## ფეხჩუბინთა ბედ-იღბალი

გუნდში ფეხჩუბინი მოთამაშის ყოლა უდიდესი პლუსია. გავიხსენოთ თუნდაც 2003 წელს მსოფლიოს ჩემპიონატის მომგები ინგლისის ნაკრები, რომლის წარმატება მეტწილად დამოკიდებული იყო მგეზავი **ჯონი ვილკინსონის** ფეხით ზუსტ გარჯაზე.

ქუთაისურ მატჩში „აიას" მგეზავმა **გაგა სინაურიძემ** ბენეფისი მოიწყო, მან 100%-იანი სიზუსტით ურტყა ბურთი „ყოჩების" კარისკენ და ჯამში 13 ქულა დააგროვა (ხუთი გარდასახვა და ერთი საჯარიმო). საპირისპირო მდგომარეობა იყო „ლოკომოტივი" „აკადემიას" დაპირისპირებისას. მატჩის პირველ ნახევარში აკადემიელთა დამრტყმელმა **ილია მელიამ** ხუთჯერ გააცუდა საჯარიმო დარტყმა და ანტირეკორდი დაამყარა.

## სატურნირო მდგომარეობა

ეროვნულ ჩემპიონატში რეგულარული გათამაშების მესამედი მიილია და სატურნირო ცხრილს „აია" 24 ქულით დამსახურებულად ლიდერობს. მას ერთი ქულით ჩამორჩება მოქმედი ჩემპიონი „ლელო", მესამე - მეოთხე ადგილებს „არმაზი" და „ლოკომოტივი" იყოფენ, მეხუთეა „ყოჩები", ხოლო შარშანდელი სეზონის ვერცხლის პრიზიორი „არმია" მხოლოდ მეექვსე პოზიციაზე იმყოფება, თუმცა მას ერთი საშინაო მატჩი თადარიგში აქვს „ბათუმთან". „ჯიქები" 10 ქულით ჯერჯერობით საპლეიოფო ექვსეულის მიღმა იმყოფებიან. კიდევ უფრო დაიძაბა სიტუაცია ქვედა სამეულში - „აკადემიას" და „ბათუმს" 5-5 ქულა აქვთ, ხოლო აუტსაიდერის როლი, ამჯერად, რუსთავის „ხარებმა" მოირგეს, რომელიც ჯერჯერობით ერთადერთ გუნდად რჩება, ვისაც გამარჯვება არ უზეიმია საქართველოს XXIV სარაგბო ჩემპიონატში.

**გიორგი ბარბაქაძე**


გიორგი ფრუიძე
ზურაბ ჯავახაძის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# ქვირის სამი ვარსკვლავი

გასული კვირის პირველ ვარსკვლავად დასახელდა "სან ხოსე შარქსის" 19 წლის ფორვარდი **ტომაშ ჰერტლი**, რომელმაც კვირა იმით დაიწყო, რომ "რეინჯერსთან" 9:2 მოგებულ შეხვედრაში ოთხი შაიბა გაიტანა. აქამდე, უფრო ახალგაზრდა ასაკში პოკერი მხოლოდ სამ ჰოკეისტს ჰქონდა შესრულებული. სულ ჩეხი ჰოკეისტის მონაგარი სამ მატჩში ხუთი გოლი იყო. ამ მომენტისთვის ჰერტლი ლიგის ლიდერია გატანილი გოლების რაოდენობით - შვიდი, ხოლო რვა ქულით (7+1) საუკეთესოა დებიუტანტებს შორის.

მეორე ვარსკვლავის სტატუსი "კოლორადოს" მეკარეებმა – **სემიონ ვარლამოვმა** და **ჟან-სებასტიან ჟიგერმა** გაიყვეს. მათ ჯამში სამი მატჩი მოიგეს, "კოლორადოს" კი თავისი არსებობის ისტორიაში საუკეთესო სტარტი გამოუვიდა (ხუთიდან ხუთი მოგება). ვარლამოვმა ორი მოგება ჩაიწერა აქტივში. ის საშუალოდ ერთ შაიბას უშვებდა მატჩში და მეტოქეთა დარტყმების 97.1 პროცენტს იგერიებდა. ჟიგერს კი დებიუტი ჰქონდა სეზონში "ბოსტონის" წინააღმდეგ მატჩში. მან 39 დარტყმა მოიგერია და კარიერაში 37-ე შათაუტი შეასრულა.

მესამე ვარსკვლავი გახდა "პიტსბურგის" ფორვარდი **სიდნი კროსბი**, რომელმაც სამ მატჩში შვიდი ქულა (3+4) დააგროვა. "პინგვინების" კაპიტანმა განსაკუთრებით გამოიჩინა თავი "ტამპა ბეისთან" მატჩში, როცა კარიერაში მერვე ჰეთ-თრიკი შეასრულა. კროსბის სეზონის ხუთ მატჩში 9 ქულა (5+4) აქვს და ლიდერობს ბომბარდირთა დავაში.

**ბოსტონი–დეტროიტი 2:3**

1:1, 0:2, 1:0

**გოლები:** 0:1 ზეტერბერგი-5 (დაციუკი-4), 1:1 ლ. ერიქსონი-2 (ბოიჩაკი-3, რ. სმიტი-3), 1:2 ვაისი-2 (ფრანცენი-3, ლაშოფი-1), 1:3 ქლირი-1 (ალფრედსონი-5, ჟ. ანდერსონი-1), 2:3 ლუჩიჩი-3 (საიდენბერგი-1, კრეიჩი-4).

**ვაშინგტონი–ედმონტონი 4:2**

1:1, 3:0, 0:1

**გოლები:** 0:1 გორდონი-4 (შულცი-4), 1:1 ლეიჩი-1 (ოლეკსი-2), 2:1 ჯ. უორდი-1 (ბექსტრომი-5, ოვეჩკინი-3), 3:1 ოვეჩკინი-6 (იოჰანსონი-5, ბექსტრომი-6), 4:1 ბროუერი-1 (გრაბოვსკი-3, ბექსტრომი-7), 4:2 ეკტონი-1 (პეტრი-1, პერონი-4).

**ბაფალო–მინესოტა 1:2**

0:1, 1:1, 0:0

**გოლები:** 0:1 ბროძიაკი-1 (კუკი-3, ბროდინი-3), 1:1 ფლინი-1 (გირგენსონსი-1), 1:2 პომინვილი-2 (მ. კოიფუ-4, სპარჯონი-3).

კალათბურთი

# სტატისტიკა ლაპარაკობს: დურანტი ვერ გაჩემპიონდება

ერთვნული საკალათბურთო ასოციაციის ყოფილ ვარსკვლავს კრის **უებერს** არ სჯერა, რომ ახალ სეზონში "ოკლაჰომა-სიტი" ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლაში ჩაებმება. მისი აზრით, გუნდი ისე სწრაფად არ ვითარდება, როგორც სხვა პრეტენდენტები. „თანდერისთვის" სერიოზული დანაკარგი გახდა **ჯეიმს ჰარდენი** და **კევინ მარტინი**, მათი ადეკვატური შემცვლელები კი ვერ იპოვეს. უებერი ამბობს, რომ **რასელ უესტბრუკი** ძალიან კარგია, მაგრამ მხოლოდ მასში გამარჯვების იმედის ძებნა საკმარისი არ არის. ამასთან, კრისი კომენტარს არ აკეთებს **კევინ დურანტისა** და **სერჟ იბაკას** შესაძლებლობებზე.

სხვათა შორის, სტატისტიკოსებმა დურანტთან დაკავშირებით ერთ საინტერესო ფაქტს მიაგნეს. ლაპარაკია "ოკლაჰომას" ლიდერის სათამაშო დროზე. სტატისტიკოსებმა დაითვალეს, რომ ბოლო ცხრა სეზონის განმავლობაში, არც ერთ მოთამაშეს, რომელიც სეზონში დაახლოებით 3 ათას წუთს თამაშობს, NBA-ის ჩემპიონატი არ მოუგია. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **სკოტ ბრუქსმა** განაცხადა, რომ დიდად არ ინტერესდება ამგვარი სტატისტიკით და მისი ნება რომ იყოს, ის დურანტს მოედანზე 48 წუთს დატოვებდა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



კევინ დურანტი

ამბები

## ჩხუბი ბრუკლინის ვარჯიშზე

"ბრუკლინში" მომხდარი ცვლილებების გამო, ეს გუნდი ხშირად ექცევა ყურადღების ცენტრში. ამ კლუბთან დაკავშირებული მორიგი სიახლე სკანდალურია: გუშინ, ვარჯიშზე იჩხუბეს **მირზა ტელეტოვიჩმა** და **ანდრე ბლეტჩმა**. ჟურნალისტებმა მხოლოდ ის გაარკვიეს, რომ ინციდენტი ამოწურულია, ხოლო ჩხუბის მიზეზსა და წამომწყებზე ვერანაირი ინფორმაცია ვერ მოიპოვეს.

ამბობენ, რომ მოსამზადებელი პერიოდის სწორედ ამ ეტაპზე ყველა გუნდში სამუშაო და დაძაბული ატმოსფეროა და ხშირად წარმოიშვება კონფლიქტური სიტუაციები. ერთი დღის შემდეგ, რა თქმა უნდა, ამგვარი ჩხუბები ყველას ავიწყდება და პრესას არ აქვს მომხდარის გაბუქების საბაბი.

## ლენდრი დიდი ხნით დაიმტვრა

"საკრამენტო კინგზის" ფორვარდმა **კარლ ლენდრიმ** მარცხენა ბარძაყის კუნთი გაიწყვიტა და იძულებულია, 3-4 თვე გამოემშვიდობოს აქტიურ სპორტს, - იტყობინება "მეფეების" ოფიციალური ვებგვერდი. 30 წლის კალათბურთელმა ტრავმა ერთ-ერთი ვარჯიშის დროს მიიღო. დღეს მას ოპერაციას გაუკეთებენ.

ამ ზაფხულს, "კინგზმა" ლენდრისთან ახალი კონტრაქტი გააფორმა, რომელიც 4 წელი იქნება ძალაში. გასულ სეზონში კარლი "გოლდენ სტეიტში" თამაშობდა და საშუალოდ 10.8 ქულასა და 6.0 მოხსნას აგროვებდა.

## კიდევ ერთი ჩინეთში

NBA-ის კიდევ ერთი მოთამაშე გადავიდა ჩინეთის ლიგაში სათამაშოდ. თავისუფალმა აგენტმა **სებასტიან ტელფეირმა** კონტრაქტის პირობები შეათანხმა ჩინურ კლუბ „ტიანძინთან". ხელშეკრულების თანახმად, გამთამაშებელს 2014 წლის თებერვალში შეეძლება NBA-ში დაბრუნება.

ტელფეირმა გასული სეზონი „ტორონტოს" რიგებში დაასრულა. მისი საშუალო მონაგარი 4.3 ქულა და 3.0 პასი იყო.

NBA. საკონტროლო მატჩები

**ფილადელფია–ბრუკლინი 97:127**

32:38, 17:27, 21:26, 27:36

ფ: ტერნერი (23+5 მოხსნა), იანგი (12+5 მოხსნა), კარტერ-უილიამსი (12).
ბ: ჯ. ჯონსონი (21+5 მოხსნა), ტელეტოვიჩი (21+7 მოხსნა+5 პასი), ჯ. ჯონსონი (18+6 პასი), ლოპესი (17+5 დაფარება), ლივინგსტონი (17+9 მოხსნა+8 პასი), ბლეტჩი (14), ევანსი (3+10 მოხსნა).

**დალასი–ორლანდო 94:102**

19:30, 29:22, 25:20, 21:30

დ: ნოვიცკი (24+3 დაფარება), ელისი (16+5 პასი).
ო: ჰარკლესი (16), მური (13), ჰარისი (12), ოლადიპო (12+11 მოხსნა), ჯონსი (11+8 მოხსნა), ჯონზეფი (11).

**დენვერი–სან ანტონიო 98:94**

27:22, 14:15, 20:29, 37:28

დ: ფარიდი (22+9 მოხსნა), ჰიქსონი (15+5 მოხსნა), ფოიე (15), ლოუსონი (10+8 პასი).
ს-ა: ლეონარდი (13+12 მოხსნა), ჯოზეფი (13), ხმლიტერი (12).

**საკრამენტო–კლივლენდი 99:88**

25:24, 31:23, 26:18, 17:23

ს: კაზინსი (31+11 მოხსნა), ტომასი (16+5 პასი), სალმონსი (10), თორნტონი (10), ტომპსონი (6+11 მოხსნა).
კ: კროუფორდი (25), კოლისონი (20+10 პასი+4 ჩაჭრა), მალენსი (16+7 მოხსნა), გრინი (12+5 მოხსნა).

TV პროგრამა

**16 ოქტომბერი. ოთხშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 მსოფლიოს ჩემპიონატი 2014. შესარჩევი ტურნირი. ევროპა. შოტლანდია-ხორვატია.
12:00 საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
13:30 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
14:00 მსოფლიოს ჩემპიონატი 2014. შესარჩევი ტურნირი. ევროპა. ჰოლანდია-უნგრეთი.
16:00 არგენტინის ჩემპიონატი. XI ტური. ბოკა ხუნიორსი-რონსარით.
18:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. IX ტურის მიმოხილვა.
19:00 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა.
21:00 არგენტინის ჩემპიონატი. XI ტურის მიმოხილვა.
22:00 გერმანიის ჩემპიონატი. VIII ტური. ლევერკუზენ-ბაიერნი.
00:00 მსოფლიოს ჩემპიონატი 2014. შესარჩევი ტურნირი. ევროპა. ესპანეთი-ბელორუსი.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. სპორტინგი-სეტუბალი.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ჩემპიონის გზა. ინდიანა-მაიამი.
15:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. ნოვაკ ჯოკოვიჩი-რაფაელ ნადალი. ტოკიო. იაპონია.
17:00 რაგბი. პაინეკენის თასი. ტულუზა-ოსპრეი.
19:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
19:30 სპორტ-NEWS.
20:00 ფეხბურთი. პოლანდიის ჩემპიონატი. აიაქსი-უტრეხტი.
22:00 კალათბურთი.
23:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ჩემპიონის გზა. ინდიანა-მაიამი.
00:15 მსოფლიო კალათბურთის ლეგენდები. საუკეთესო ფინალური სერიები. ჩიკაგო-ფინიქსი. 1992-93 წლები.

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ვალენსია. ესპანეთი.
13:15 სპორტ-NEWS.
13:45 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ვალენსია. ესპანეთი.
19:00 სპორტ-NEWS.
19:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ვალენსია. ესპანეთი.

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**მსოფლიოს თასი 2014**

| ევროპა | |
|---|---|
| სერბეთი-მაკედონია | 5:1 |
| ბელგია-უელსი | 1:1 |
| შოტლანდია-ხორვატია | 2:0 |
| ბულგარეთი-ჩეხეთი | 0:1 |
| დანია-მალტა | 6:0 |
| იტალია-სომხეთი | 2:2 |
| ფარერები-ავსტრია | 0:3 |
| ირლანდია-ყაზახეთი | 3:1 |
| შვედეთი-გერმანია | 3:5 |
| უნგრეთი-ანდორა | 2:0 |
| რუმინეთი-ესტონეთი | 2:0 |
| თურქეთი-ჰოლანდია | 0:2 |
| კვიპროსი-ალბანეთი | 0:0 |
| ნორვეგია-ისლანდია | 1:1 |
| შვეიცარია-სლოვენია | 1:0 |
| აზერბაიჯანი-რუსეთი | 1:1 |
| ისრაელი-ჩრ. ირლანდია | 1:1 |
| პორტუგალია-ლუქსემბურგი | 3:0 |
| საბერძნეთი-ლიხტენშტაინი | 2:0 |
| ლიტვა-ბოსნია | 0:1 |
| ლატვია-სლოვაკეთი | 2:2 |
| ინგლისი-პოლონეთი | 2:0 |
| ჩერნოგორია-მოლდოვა | 2:5 |
| სან მარინო-უკრაინა | 0:8 |
| საფრანგეთი-ფინეთი | 3:0 |

| აფრიკა | |
|---|---|
| განა-ეგვიპტე | 6:1 |

**ევრო 2014**

| UNDER 21 | |
|---|---|
| უელსი-სან მარინო | 4:0 |
| მოლდოვა-ფინეთი | 1:0 |
| ინგლისი-ლიტვა | 5:0 |
| რუსეთი-დანია | 0:2 |
| სლოვენია-ბულგარეთი | 2:1 |
| ალბანეთი-ბოსნია | 0:1 |
| ირლანდია-რუმინეთი | 0:1 |
| გერმანია-ფარერები | 3:2 |
| მალტა-საბერძნეთი | 0:4 |
| თურქეთი-პოლონეთი | 1:0 |
| აზერბაიჯანი-პორტუგალია | 0:2 |
| ნორვეგია-ისრაელი | 1:3 |
| სერბეთი-ჩრ. ირლანდია | 3:1 |

| UNDER 19 | |
|---|---|
| უკრაინა-რუსეთი | 1:1 |
| ესტონეთი-მალტა | 2:2 |
| პოლონეთი-რუმინეთი | 1:1 |
| ლიტვა-სომხეთი | 1:0 |
| ბოსნია-ირლანდია | 1:1 |
| შვედეთი-აზერბაიჯანი | 5:1 |
| საფრანგეთი-ბელგია | 2:2 |
| ისლანდია-ჩრ. ირლანდია | 1:0 |
| შოტლანდია-გერმანია | 1:1 |
| ლატვია-ბელარუსი | 2:1 |
| ინგლისი-შვეიცარია | 1:0 |
| სლოვენია-ანდორა | 7:0 |

| ამხანაგური მატჩები | |
|---|---|
| ყირგიზეთი-ტაჯიკეთი | 1:3 |
| ფილიპინები-პაკისტანი | 3:1 |
| ს. კორეა-მალი | 3:1 |
| ბრაზილია-ზამბია | 2:0 |
| ბელარუსი-იაპონია | 1:0 |
| კანადა-ავსტრალია | 0:3 |

**გერმანია**

| რეგიონალლიგა (ბაიერნი) | |
|---|---|
| ბამბერგი-ვიურცბურგი | 1:1 |

**უნგრეთი**

| ლიგის თასი | |
|---|---|
| ვარდა-მტკ | 3:1 |
| მეზოკოვესდი-ნირედიაზა | 2:2 |
| დიოშდი-ლომბარდი | 2:2 |
| პალადაში-აიკა | 7:2 |

| ავსტრია | |
|---|---|
| კლაგენფიურტი-ვენა | 3:7 |

| დანია | |
|---|---|
| ოდენსე-ჰერლევი | 1:2 |
| სონდერიისკი-როდოვრე | 7:1 |
| ესბერგი-ჰერნინგი | 3:0 |

| სლოვაკეთი | |
|---|---|
| ჟილინა-პიეშტანი | 0:1 |
| მარტინი-პოპრადი | 0:3 |
| ნიტრა-კოშიცე | 3:2 |
| ბისტრიცა-ზვოლენი | 2:1 |
| ტრენჩინი-სკალიცა | 1:3 |

| ფინეთი | |
|---|---|
| ილვესი-კაიპა | 4:2 |
| პელიკანსი-ტაპარა | 1:2 (ო) |
| საიპა-ლუკო | 3:1 |
| ტპს-კერპეტი | 0:2 |
| იუვიასკიულა-ბლუზი | 6:3 |

| ჩეხეთი | |
|---|---|
| ბრნო-ტრშინეცი | 6:3 |

| შვეიცარია | |
|---|---|
| ამბრი პიოტა-ცუგი | 5:1 |
| ბილი-ლუგანო | 2:1 (ო) |
| კლოტენი-რაპერსვილი | 3:0 |
| სერვეტი-ლოზანა | 1:4 |
| ფრიბურგი-ბერნი | 3:1 |
| ციურიხი-დავოსი | 2:3 (ბ) |

| შვედეთი | |
|---|---|
| ფრიოლუნდა-ბრინასი | 3:2 |

**ჩოგბურთი**

| ATP. მოსკოვი | |
|---|---|
| ვოლანდრი-ლორენცი | 6:3, 5:7, 1:6 |
| ბოგომოლოვი-კუკუშკინი | 4:6, 1:6 |
| ნედოვესოვი-გოლუბევი | 2:6, 5:7 |
| ბალდატისი-დონსკოი | 3:6, 6:3, 4:6 |
| სელა-კარაცევი | 6:4, 6:3 |

| ATP. სტოკჰოლმი | |
|---|---|
| შტრუფი-სეკულიჩი | 6:3, 6:0 |
| სოკი-ტომიჩი | 6:4, 6:2 |
| შარდი-გულბისი | 3:6, 6:3, 6:7 |
| ლანგერი-გარსია ლოპესი | 6:7, 3:6 |
| იოჰანსონი-ფალა | 6:1, 6:3 |
| დიმიტროვი-კოპილი | 6:3, 6:4 |

| ATP. ვენა | |
|---|---|
| რასელი-ბაშიჩი | 3:6, 4:6 |
| ჰაიეკი-ბემელმანსი | 2:6, 0:6 |
| ბრანდსი-ჰაიდერ მაურერი | 6:4, 7:6 |
| ბოჟოლიაკი-ჰაასე | 7:5, 2:6, 2:6 |
| ტიემი-ხიმენო ტრავერი | 6:4, 5:7, 6:4 |
| მეჩირი-ანდუხარი | 6:4, 6:4 |
| პოუიტი-პოსპიშილი | 6:7, 4:6 |
| მელცერი-ლაჩკო | 6:7, 1:6 |

| WTA. ლუქსემბურგი | |
|---|---|
| ბარტელი-ფოგელი | 6:1, 4:6, 6:7 |
| პიტერი-ფლიპკენსი | 6:4, 6:2 |
| დომინგესი-კარ. პლიშკოვა | 7:5, 5:7, 1:6 |
| ბაშჩინსკი-სტივენსი | 3:6, 3:6 |
| მოისბურგერი-ბეგუ | 6:4, 6:2 |
| კნაპი-კარატანჩევა | 4:6, 6:3, 6:3 |
| ვოზნიაცკი-მინელა | 6:3, 7:6 |
| ლისიცკი-ვეკიჩი | 2:6, 6:3, 6:0 |

| WTA. მოსკოვი | |
|---|---|
| რიბარიკოვა-პერვაკი | 7:5, 6:2 |
| დუშევინა-სუარეს ნავარო | 4:6, 3:6 |
| კოვინიჩი-ზაკოპალოვა | 4:6, 3:6 |
| დოლონცი-ციბულკოვა | 3:6, 7:5, 6:3 |
| არვიდსონი-ვოსკობოევა | 0:6, 6:1, 6:3 |
| პარა სანტონხა-პანტუხოვა | 1:6, 2:6 |
| ვესნინა-შვედოვა | 6:1, 6:2 |

**კალათბურთი**

| ევროთასი | |
|---|---|
| ბანვითი-კალევი | 86:60 |
| ვეფ რიგა-სკოპიე | 80:71 |
| ტელეკომი-ალბა | 65:86 |
| პაოკ-ბუდუჩნოსტი | 85:84 |
| ბილბაო-ცედევიტა | 82:77 |
| პარიზი-ვალენსია | 68:85 |
| სარაგოსა-მონსი | 73:56 |

| ესპანეთი | |
|---|---|
| რეალი-ვალიადოლიდი | 87:53 |

| საფრანგეთი | |
|---|---|
| ლიმოჟი-შოლე | 76:85 |

**ჰოკეი**

| კჰლ | |
|---|---|
| სლოვანი-ლევი | 5:2 |

## ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 10 | 21 | (მცირე წვიმა) |
| ქუთაისი | 15 | 27 | (მზე) |
| ბათუმი | 14 | 23 | (მზე) |
| ფოთი | 13 | 26 | (მზე) |
| ზუგდიდი | 12 | 26 | (მზე) |
| გორი | 8 | 22 | (მზე) |
| თელავი | 11 | 20 | (მზე) |
| სიღნაღი | 10 | 19 | (მცირე წვიმა) |
| ბაკურიანი | 2 | 18 | (მზე) |
| ბორჯომი | 4 | 21 | (მზე) |
| მესტია | 3 | 19 | (მზე) |

## ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.2482 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6677 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.6551 |
| 100 რუსული რუბლი | 5.1683 |

ფორმულა 1

# ხუთეულიც საკმარისი იქნება

## ფეტელის გაჩემპიონებას ინდოეთში ველოდებით



იაპონიის გრანპრის შემდეგ, საჩემპიონო რბოლას გამოეთიშნენ **კიმი რაიკონენი** და **ლუის ჰემილტონი** და ჩემპიონატის დასრულებამდე ოთხი რბოლით ადრე, ტიტულს ორი პრეტენდენტი ჰყავს - **სებასტიან ფეტელი** და **ფერნანდო ალონსო**.

ფეტელისთვის საკმარისია ერთ რბოლაში დაიკავოს მინიმუმ მერვე ადგილი და სამში - მინიმუმ მეცხრე, რათა გაინალდოს ტიტული ალონსოს ნებისმიერი შედეგის მიუხედავად. თუ ფერნანდო მოიგებს ოთხივე რბოლას, მაშინ ქულების თანაბარი რაოდენობის შემთხვევაში, გერმანელი ჩემპიონი გახდება უფრო მეტი მოგებული ეტაპის რაოდენობით (9 6-ის წინააღმდეგ).

ფერნანდო ალონსოს სჭირდება ყოველ რბოლაში გამარჯვება და იმის იმედად ყოფნა, რომ ფეტელი ყოველ ჯერზე მეცხრე ან უფრო დაბალ ადგილს დაიკავებს.

■ ■ ■

სპეციალისტების შეფასებით, ყველაზე სავარაუდოა ფეტელის ვადაზე ადრე ჩემპიონობა ინდოეთის გრანპრიზე. ეს შემდეგ შემთხვევაში მოხდება:

- თუ ფეტელი პირველ ხუთეულში მოხვდება;
- ფეტელი დაიკავებს მე-6, მე-7 ან მე-8 ადგილს, ხოლო ალონსო ვერ მოიგებს რბოლას;
- ფეტელი გავა მე-9 ან უფრო დაბალ ადგილზე, ხოლო ალონსო ფინიშზე მესამე ან უფრო დაბალ პოზიციაზე მივა.

ალონსო ინდოეთის გრანპრის შემდეგ შეინარჩუნებს ტიტულის თეორიულ შანსს იმ შემთხვევაში, თუ:

- მოიგებს რბოლას, ფეტელი კი მეექვსე ან უფრო დაბალ ადგილს დაიკავებს;
- მეორე ადგილზე დაასრულებს რბოლას, ფეტელი კი მეცხრე ან უფრო დაბალ ადგილზე გავა.

# ერთწლიანი თუ სამწლიანი ბატონისთვის



ჯენსონ ბატონი

ბრიტანული საჯინიბოს „მაკლარენის" ხელმძღვანელობამ ადრე დაადასტურა, რომ **ჯენსონ ბატონი** მომავალ წელს გააგრძელებს გამოსვლას გუნდში, თუმცა გაზეთ „დეილი მეილის" გუშინდელი ინფორმაციის თანახმად, „მაკლარენი" ბრიტანელ პილოტს არა ერთწლიან, არამედ სამწლიან კონტრაქტს სთავაზობს.

2015 წლის სეზონში ფორმულა 1-ში დაბრუნდება კომპანია „ჰონდა" - ის ძრავებით მოამარაგებს „მაკლარენს", ბატონს კი დიდი ხნის ურთიერთობა აკავშირებს იაპონურ კომპანიასთან: ბრიტანელი 2003-08 წლებში გამოდიოდა BAR Honda-სა და Honda Racing-ის რიგებში. ჭორების თანახმად, იაპონელები მზად არიან გააგრძელონ მასთან თანამშრომლობა.

ამასთან, „დეილი მეილის" ინფორმაციით, ბატონით დაინტერესებას გამოთქვამენ სხვა ტოპ-გუნდები, რომლებშიც 2015 წლისთვის, შესაძლოა, ვაკანსიები გაჩნდეს - „რედ ბული", „ფერარი" და „მერსედესი". მათთვის ჯენსონის გამოცდილება სასარგებლო იქნება. ამიტომაც ბატონი მზადაა მხოლოდ ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმოს „მაკლარენთან", რათა მომავალი სეზონის ბოლოს შეაფასოს სიტუაცია და ჰქონდეს გუნდის შეცვლის შესაძლებლობა.

# მალდონადო ფორს ინდიაში მიდის?



პასტორ მალდონადო

ოქტომბრის დასაწყისში ვენესუელელი პილოტი **პასტორ მალდონადო**, რომელიც ადრე ყოველთვის კორექტული იყო „უილიამსთან" მიმართებაში, საკმაოდ მკვეთრად ლაპარაკობდა თავის სურვილზე - მიელო უფრო სწრაფი მანქანა. იაპონიაში კრიტიკა ისევ გაისმა - თავიდან მალდონადომ ხისტი მანევრით გაუსწრო თანაგუნდელს არაფრისმომცემ მე-16 ადგილისთვის ბრძოლაში - **ვალტერი ბოტასს** ტრასის მიღმა გადასვლამ მოუწია შეჯახების თავიდან ასაცილებლად. რბოლის შემდეგ კი ვენესუელელმა განაცხადა, რომ გუნდმა მცდარი ტაქტიკა აირჩია.

გავრცელდა ჭორები, რომ პასტორის ვენესუელელი სპონსორები არ არიან მზად თანხა გადაიხადონ არაკონკურენტუნარიანი მანქანით გამოსვლაში, არადა, „უილიამსთან" კონტრაქტი 2015 წლამდეა ძალაში. ამიტომაც, მალდონადომ სხვა ვარიანტის ძებნა გადაწყვიტა. არაოფიციალური ინფორმაციით, მან შეიძლება კონტრაქტი გააფორმოს „ფორს ინდიასთან" და ამ გუნდში მომავალი სეზონისთვის **პოლ დი რესტა** შეცვალოს. ამით მალდონადო ინდურ საჯინიბოში ვენესუელურ ფულს მიიტანს.

კრივი

# დაბრუნება დისკვალიფიკაციის შემდეგ



ანტონიო ტარვერი

კრივში მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი, ამერიკელი **ანტონიო ტარვერი** მომდევნო ბრძოლას 26 ნოემბერს ჩაატარებს. 44 წლის მოკრივის მეტოქე იქნება თანამემამულე **მაიკ შეპარდი**, - იტყობინება ESPN. ტარვერისა და შეპარდის ჩხუბი ფლორიდაში საკრივო საღამოს მთავარი დაპირისპირება უნდა გახდეს.

ტარვერისთვის ეს ბრძოლა პირველია ერთწლიანი დისკვალიფიკაციის შემდეგ, რომელიც მან ანტისადოპინგო კანონმდებლობის დარღვევის შემდეგ მიიღო. 2012 წლის ივნისში, ნიგერიელ **ლატიფ კაიოდეს** დამარცხების შემდეგ, ამერიკელის დოპინგსინჯმა დადებითი შედეგი აჩვენა სტეროიდებზე.

საბოლოოდ, ანტონიოს დისკვალიფიკაცია მისცეს, 2.5 ათასი დოლარით დააჯარიმეს და კაიოდესთან ბრძოლის შედეგი გააუქმეს. სულ ტარვერს პროფესიულ რინგზე 36 ბრძოლა აქვს ჩატარებული, რომელთაგანაც მოიგო 29 (20 - ნოკაუტით) და ექვსჯერ დამარცხდა.

38 წლის შეპარდის სტატისტიკა 37 ბრძოლაში 21 მოგება (9 - ნოკაუტით) და 15 წაგებაა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

კვირის გოგონა. ეჟენი ბუშარი

# მარიასგან მოწონებული



დღეიდან „ლელო" გთავაზობთ ახალ რუბრიკას - „კვირის გოგონა", რომელიც შემოგთავაზებთ ქალთა სპორტის ვარსკვლავების ან მამაკაცი სპორტსმენების მეორე ნახევრების შესახებ ინფორმაციასა და ფოტოებს.

დღეს გთავაზობთ შეაფასოთ კანადური ქალთა ჩოგბურთის პირველი ნომრის **ეჟენი ბუშარის** სილამაზე. ამ გრძელფეხება ქერათმიანმა გოგონამ გასულ კვირას პირველად ითამაშა WTA-ის ტურნირის ფინალში და თვით **მარია შარაპოვასგან** დაიმსახურა შექება.

ბუშარმა გასულ წელს იუნიორთა უიმბლდონი მოიგო, ამ სეზონში კი ორჯერ დაამარცხა რეიტინგის ტოპ-ათეულის წევრები, კვირას ითამაშა ოსაკას ტურნირის ფინალში და სულ მალე კლასიფიკაციის TOP 30-ში შევა.

მარია შარაპოვა, რომელიც არასოდეს გამოირჩეოდა კოლეგების მიმართ კეთილგანწყობით, ეჟენის „კარგ გოგონას" უწოდებს, რომელსაც ყურადღება უნდა მივაქციოთ. ბუშარი სწორედ რუსი ვარსკვლავის მიერ შექმნილი Nike-ს ხაზის სპორტული ტანსაცმლით იმოსება, დები **უილიამსები** და **ენდი როდიკი** კი ერთხმად უწინასწარმეტყველებენ კანადელს დიდ საჩოგბურთო მომავალს.













დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე გია თვალაბეიშვილი (599 56 17 38); მოადგილეები: ნიკოლოზ ნეფარიძე (595 09 03 28), გია ტუხაშვილი (555 50 05 13);
მხატვრული რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: თამუნა ყულუმბეგაშვილი.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 19 60 13. ელფოსტა: leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge
ხელმოწერილია დასაბეჭდად: 01:50. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონი: 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ტელ: 238 84 44 (შიდა ნომ. 413); 238 74 44; ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გვერდით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608